

დათო გარბაძაძე
ხედიგები
ტომი VI

მერწყული

დათო ბარბაქაძე

შედეგები

ტომი VI

**მრავალტომეულის ცალკეულ წიგნთა
პირველი - ელექტრონული - გამოცემა
სახელწოდებით შედეგები
განხორციელდა 2012 წელს.**

**გამომცემლობა მერწყული
თბილისი 2014**

ISBN: 978-9941-0-7001-3 (ყველა ტომის)

ISBN: 978-9941-0-7027-3 (მეექვსე ტომის)

დათმ ბახაქაძე

ახსენიანი თახტმანები

პოეზია

გეორგ თრაკლი

1887-1914

მუსიკა მირაბელის ბალში

საამოდ იმღერს შადრევანი. მტრედისფერ ცაზე
გარინდებულან ფაფუკი და თეთრი ღრუბლები.
ძველ ბალში უტყვად მიმოდიან მიმწუხრის ჟამზე
დიდნიც, მცირენიც, საფიქრალით დაბანგულები.

აქ წინაპართა მარმარილოს ქანდაკებანი
გარუხებულან. ზეცას სერავს ფრინველთა გუნდი.
მკვდარი თვალებით ჩაჰკირკიტებს დროდადრო ფავნი
ჩრდილებს, რომლებსაც გამოუჩენს ბალის ბინდბუნდი.

მოედარცვება ფოთლეული ბებერ ხეს წითლად,
ბზრიალ-ბზრიალით მიაშურებს გაღებულ სარკმელს.
სივრცეში ხანძრის ანარეკლი ვარვარებს სისხლად
და მღვრიე, საზარ მოჩვენებებს ხატავს და აკმევს.

სახლში ანაზდად შეაბიჯებს თეთრი უცნობი.
გავერანებულ დერეფანში ძალღი არ ცხრება.
მოახლე გოგო სანათს აქრობს, ფიქრჩაუქრობი.
ლამით ყურს ისევ სონატების ჰანგები სწვდება.

მწუხრის მელანქოლია

მკვდარ ტყეს, რომლითაც სანახები გადაფარულა,
შემოჯარვია აჩრდილები, როგორც სხლტეები.
ფრთხილად ტოვებენ სამალავებს ტყის ფრინველები,
და ნაკადულიც გასუსულა და გაპარულა

და მისდევს გვიმრებს, ბებერ ქვებსაც გვერდს არ
აუქცევს,
ვერცხლისფრად ბრწყინავს და კამკამებს
ფოთოლწნულეებში.

მალე მისი ხმა ჩაეცემა შავ უფსკრულებში –
ვინ იცის, იქნებ, ვარსკვლავიან ღამეს გვაუნყებს.

ისე ჩანს, შავი ველ-მინდვრები არ დამთავრდება,
მიმოფანტული აქ სოფლები, ქაობი, ტბორი,
და გეჩვენება, აბრიალდა შენს წინ კოცონი.
გზებს გადასერავს მეყვსეულად ცივი ნათება.

იგრძნობა, ცაში რაღაც ხდება, რაღაც მოძრაობს.
ველურ ფრინველთა ლეგიონი მიფრინავს მრეში
ქვეყნიდან ღამაზე, საოცნებო, უცხო მხარეში.
ქარი ხრის ლერწამს, იმართება და ისევ ზვაობს.

მშვენიერი ქალაქი

ქალაქში ძველი მოედნები მზიურად სდუმან.
ღრმად სილურჯეში და ოქროში ჩახშირებული,
გათანგული და ზღაპრულ ფიქრებს დაშურებული
ჰაეროვანი მონაზვნები ნიფლნარში სდუმან.

რუხი სინათლით მოლიცლიცე ეკლესიებში
სიკვდილის წმინდა სურათები თვალს ეგებება
და – დიდმთავართა მშვენიერი გერბების წყება.
კვლავ გვირგვინები ელვარებენ ეკლესიებში.

ამოჩნდებიან ხის ცხენები შადრევნის ირგვლივ.
ხეებს ყვავილი გაფურჩქვნიათ ცეცხლის ენებად.
ხოლო სიზმრებით დაბნეული ცეროდენები
მიმწუხრზე წყნარად თამაშობენ შადრევნის ირგვლივ.

გამოფენილან გოგონები, დგანან ჭიშკრებთან,
აცქერდებიან შიშნეულად ფერად ცხოვრებას.
მათი ნოტიო ბაგეები გასცემს ოცნებას
და, მოლოდინით აღსავსენი, დგანან ჭიშკრებთან.

საცნაურია მოძაგძაგე ზარების ჟღერა,
ისმის მარშის ხმა და გუშაგთა გადაძახილი.
თითოეული უცხოელი დუმს თავდახრილი.
შორს, სილურჯეში ხანგრძლივია ორლანის ჟღერა.

ინსტრუმენტები გარჯილან და ამღერებულან.

ბალებში ლამაზ ბანოვანთა დაქრის სიცილი,
რიალ-რიალით, უხვი ფოთლით გარემოცული.
ნორჩი დედები მოკრძალებით ამღერებულან.

იდუმალ ხარობს ყვავილებით მორთულ სარკმლებთან
გუნდრუკის, ფისის, იასამნის უცხო სურნელი.
დალლილ წამწამთა ვერცხლისფერი ციმციმი ნელი
საჩინოვდება ყვავილებით მორთულ სარკმლებთან.

მიტოვებულ ოთახში

სარკმელი, ჭრელი ყვავილნარები,
ოთახი, სავსე ორღანის ხმებით.
ჩრდილები, ზღაპრულ გუნდს სადარები,
კედლის ფარდაგზე ცეცხლოვან ცეკვით.

ქარი ძრავს აბრიალებულ ბუჩქებს
და კოლოს კომტი წუის, ზუზუნებს.
შორს, ველად, მოცლა არა აქვთ ცელებს,
ძველი მდინარე გაბმით დუდუნებს.

ეს ვისი სუნთქვა მომესათუთა?
მერცხლებს ცთომილი ნიშნები ნუსხავს.
იქ ოქროვანი ქვეყანა ტყეთა
უსაზღვრობაში წყნარად მიცურავს.

კვლებში ელავენ ცეცხლის ენები
და მოყვითალო ყველა ფარდაგმა
გასცა შეშლილი როკვა ფერების
და შემოალო კარი მავანმა.

დგას მსხლის, საკმევლის ტკბილი სურნელი.
სარკმელს და ზანდუკს ბინდი ეხება.
მხურვალე შუბლი ნელ-ნელა თეთრი
ვარსკვლავებისკენ გადმოიხრება.

ავდრიანი მიმწუხრი

ო, კვლავ მიმწუხრის ნითელი ჟამი!
ვაზის ფოთოლი, ლურჯად ხვეული,
ღია სარკმელთან ნათობს, ირწევა,
მოჩვენებათა ბუდედ ქცეული.

მტვერი შმორიან თხრილებში ცეკვავს.
ქარი ზრიალით მინებს აწყდება.
როგორც ველური ცხენების რემას,
თეთრ ღრუბლებს აფრთხობს ელვათა წყება.

გუბურის სარკე ხმაურით ტყდება.
შეჰყაპყაპებენ სახლს თოლიები.
ცეცხლის მხედარი გორაკს მოსწყდება,
ტყეს მოებნევა ცეცხლის ფთილები.

ჰოსპიტალს ავსებს მოთქმა-ვაება.
ღამეს გასერავს ფრთა მტრედისფერი,
და სახურავებს თავს დააცხრება
კოკისპირული, ელვით ნაფერი.

შემოდგომაზე

ამონთებულან ღობურებთან მზესუმზირები,
მზენათელს წყნარად მისხდომიან ავადმყოფები.
ხნულებს დამღერენ მუყაითად ქალთა რიგები,
ირგვლივ იღვრება ზართა რეკვის საამო ხმები.

მოგიყვებიან ფრინველები შორეულ ამბებს,
ირგვლივ იღვრება ზართა რეკვის საამო ხმები.
ეზო-კარიდან ვიოლინოს ჰანგები აღწევს.
დღეს ღვინომუქად იწურება ყურძნის მტევნები.

სახე კაცისა აღსავსეა ლალი ფერებით.
დღეს ღვინომუქად იწურება ყურძნის მტევნები.
ფართოდ განხვნილი დაშთენილან საცხედრები,
მზის სხივთა მიერ ნაჩუქურთმევ-ნაალერსევი.

ჩემი გული სალამოობით

სალამოყამი ღამურების ძახილს მოუცავს.
მინდორზე როკავს წყვილი ცხენი
და წითელი ნეკერჩხალი გაბმით შრიალებს.
მგზავრს გზად ფუნდუკი აუჩნდება მოულოდნელად.
დიდებულია სურნელება კაკლისა და ახალი ღვინის.
დიდებულია: დაბინდულ ტყეში მთვრალი კაცის
მიმოხეტება.
შავ ტოტებს მიღმა მტკივნეული რეკენ ზარები.
სახე ცვარით დაინამება.

გლებები

სარკმელს სიმწვანე და სინითლე მოეფინება.
შავად შეკვამლულ და ჭერდაბალ დარბაზში ერთგან
მოახლეები და გლებები სადილად სხედან;
პური ტყდება და გრილ კათხებში ღვინო ისხმება.

შუადღის ჟამია, მიცემული უღრმეს სიჩუმეს,
ხანად და ხანად ძუნწი სიტყვა ჩამოვარდება.
სარკმელში მოჩანს სავარგულთა მწირი ნათება
და - შორი ზეცა, ტყვიასავით მძიმე და მრუმე.

კერაზე ცეცხლი იკლავება და იგრიხება
და მიმობზუის ბუზთა გუნდი ერთხმა ბზუილით.
გასუსულ ქალებს მორევიათ ჩლუნგი დუმილი
და ღვივის მათი საფეთქელი, სისხლით ივსება.

ხარბად მზირალი, ნაანყდება ზოგჯერ თვალს თვალი,
ძროხის ხვითქი რომ მოეფრქვევა ოთახს მსუბუქად.
მსახური ლოცვას წამოიწყებს მონოტონურად,
ხოლო კარს მიღმა თავის სათქმელს ამბობს მამალი.

და კვლავ - სათიბში, სადაც ხშირად ძრწოლა
შეიპყრობს
მათ, თავთავების ფორიაქში გამოხვეულებს,
და გამყინავად და თანაბრად მოქნეულ ცელებს
ხმა აქვთ იმ ცელის, ერთადერთი აჩრდილი რომ ფლობს.

სიცოცხლის სული

ჩაშლა, ფოთლელს მსუბუქად რომ ჩამოაბნელებს, -
ტყეში ბინადრობს უშორესი მისი დუმილი.
მიინავლება, ვით აჩრდილი, მალე სოფელი.
დაიკოს ბაგე შავ ტოტნარში ჩუმად მეტყველებს.

მიეფარება მალე მზერას კაცი ეული,
იქნებ მწყემსია, შავ ბილიკს რომ დასწრაფებია.
გამოაბიჯებს წყნარად მხეცი ხეთა ტევრიდან,
თვალი ღვთაებრივს სადაც ხედავს გაოცებული.

ლურჯი მდინარე მილივლივებს, კოხტად მარები,
მწუხრის ცა ღრუბლის გამოჩენით არის მოცული;
და იქვე - სულის მდუმარება ანგელოზური.
ნადგურდებიან წარმავალი სურათ-ხატები.

გასხივოსნებული შემოდგომა

ილევა წელი, უხვი ბალებით
და ოქროს ღვინით ანამზევები,
და - მარტოსულის თანამგზავრები –
ირგვლივ ზღაპრულად სდუმან ტყეები.

გლექაცია ამბობს: ჩინებულია!
მნუხრის ზარებო, წყნარი, ხანგრძლივი
ხმით შეხვდით ბოლო ხალისს გულიანს.
უკვე ცას სერავს ფრინველთა მწკრივი.

სიყვარულისთვის სათნო ჟამი დგას.
ლურჯ მდინარეზე ლივლივა ნავში
ლამაზად ერთვის სურათი სურათს
და განიღვრება მდუმარებაში.

გარდასახვა მე-2 რედაქცია

ბალები, წითლად დაფერილი, შემოდგომური:
სიცოცხლე სრულად წარმოჩნდება ამ სიჩუმეში.
კაცს ყავისფერი ლერწის ღერი უჭირავს ხელში,
მისი მზერა კი ყრუ ტკივილით არის მოცული.

მნუხრზე: ნაბიჯი, შავმა მიწამ რომელიც იცის,
წითელ წიფელთა მდუმარებას უეცრად არღვევს.
ლურჯი ნადირი ცდილობს სიკვდილს მუხლმოყრით
დახვდეს,
შემაძრწუნებლად განილევს სამოსი მისი.

ტრაქტირის ირგვლივ ნეტარება სუფევს ნამდვილი,
მწვანე ბალახში ჩაკარგულა იერი მსმელის.
ანწლის ნაყოფი, ღვინით თრობა, ფლეიტა ნელი,
რეზედის სურნელს მიმოაბნევს ქალი ჩავლილი.

კაცობრიობა

ცეცხლოვან უფსკრულს შერჩენილი კაცობრიობა,
ბნელ, მებრძოლ შუბლთა მიმოქცევა, ცემა დაფდაფთა,
სისხლის ბურუსში მწყობრად სვლა და რკინის ზეობა,
სასონარკვეთა და წყვდიადი მგლოვიარ თავთა:
წითელი ფული, ევას ჩრდილი და ნადირობა.
ღრუბელი, შუქით დარღვეული, ეს ზიარება.
პური და ღვინო აღსავსეა სათნო დუმილით
და აქ თორმეტი მოციქულის არის შეკრება.
ზეთისხილის ქვეშ, ისმის ძილში მათი ყვირილი;
თომას ხელი კი ჭრილობაში ჩაიძირება.

DE PROFUNDIS

ველი ნამკალი, აი, სად წვიმს შავბნელი წვიმა.
ხე მოჟამული, აი, რა დგას განმარტოებით.
ქარი ავსული, აი, რაა უკაცური ქოხმახების ბატონ-
პატრონი.
ჰოი, რარიგად მწუხარეა სალამო ესე.

ობოლი გოგო
სოფლის პირს ძუნნად შემორჩენილ თაველს მშვიდად
მიმოაგროვებს.
მწუხრის ბინდ-ბუნდში გავლებული მისი თვალეები
ოქროვანი ბრწყინვალეებით აღივსებიან,
ზეციურ საქმროს მოუთმენლად ელოდება მისი წიაღი.

უკუქცევის ჟამს
ეკალ-ბარდში მწყემსებმა ნახეს
გახრწნილებამორევნილი ტკბილი სხეული.

მე ვარ აჩრდილი, უკუნ სოფლებს მოშორებული.
ღმერთის სიჩუმეს მივირთმევდი
ჭალის წყაროდან.

ჩემს შუბლს შეეხო ცივი ლითონი.
ობობები ეძებენ ჩემს გულს.
აი, სინათლე, ჩემს ბაგეზე რომელიც ქრება.

ღამით, ვერან და უკაცრიელ ალაგად შთენილს,

გარს მეჯარვოდა ნაგავი და მტვერი ვარსკვლავთა.
კვლავაც გალობენ
თხილნარში ბროლის ანგელოზები.

ვირთხები

შემოდგომური მთვარე ეზოს თეთრად ანათებს.
სახურავიდან ეცემიან უცხო ჩრდილები.
შეკედლებია მდუმარება ცარიელ სარკმლებს;
გამოძვრებიან სიბნელიდან ფრთხილად ვირთხები

და მერე სტვენით დაქრიან და დაშლივინებენ,
და ნაცრისფერი ანაორთქლით გაბრუებული
ყნოსვა და გეში უმაღ ჩეჩმას აგნებინებენ,
და აჩენს, როგორც მოჩვენებებს, მთვარის ნათელი

გავეშებულებს სიხარბით და, როგორც შეშლილებს,
დამიზნებულებს ერთმანეთზე, და შესევთან
სახლსაც, ბელლებსაც, ხორბლით, ხილით
გადავსებულებს.
ცივი ქარები სიბნელეში ჩივილით ქრიან.

ფსალმუნი მე-2 რედაქცია

ედღვნება კარლ კრაუსს

აი, ნათელი, ქარმა რომ დანთქა.

აი, ტრიალი ველ-მინდორი, ნაშუადღევს რომ დატოვა
მთვრალმა.

აი, ვენახი, ხრიოკი და ობობებით სავსე ხვრელებით
გაშავებული.

აი, სივრცე, რძით რომელიც გადაათეთრეს.

განუტევა სული შეშლილმა. აი, სამხრეთის ზღვის
კუნძული,
მზის ღვთაებასთან შესახვედრად გამზადებული. ისმის
დოლის ხმა.

საბრძოლო ცეკვებს ასრულებენ მამაკაცები.

ხოლო ქალები ლიანებში და ყაყაჩოებში განაგრძობენ
თეძოთა რხევას,
როცა ზღვა იმღერს. ო, დაკარგული ჩვენო ედემო.

ნიმფებმა უკვე მიატოვეს ოქროს ტყეები.

სადღაც უცხოს ასაფლავებენ. მერე ჟუჟუნა წვიმა
ინწყება.

მინის მთხრელად პანის ვაჟი განუცხადდებათ,
შუადღისას რომ ადუღებულ ასფალტზე სძინავს.

აი, ეზოში, ციციქნა კაბებით, გულისდამფლეთი
სიღარიბით სავსე, ბავშვები!

აკორდებით და სონატებით განმსჭვალული ოთახები.

აი, ჩრდილები, თვალისმომჭრელ სარკეებს რომ
 შეერევინან.
 ჰოსპიტლის სარკმლებს ათბებიან მოკეთებული
 ავადმყოფები.
 ჩვენთვის თეთრ გემს არხით მოაქვს სისხლოვანი ეპიდემია.
 ვილაციის ბოროტ სიზმარეულში კვლავ აღჩნდება უცხო
 დაიკო,
 მის ვარსკვლავებს თხილნარში რომ გულსაკლავად
 ეთამაშება.
 სტუდენტი ვინმე, შესაძლოა ორეული, სარკმლით
 მზირალი, მას თვალს ადევნებს.
 ხოლო მის უკან გარდაცვლილი მისივ ძმა დგას, ან
 დაეშვება ქვემოთ ძველი, ხვეული კიბით.
 რუხი ნაბლნარის სიბნელეში ნორჩი მორჩილის სახე
 ფითრდება.
 ბალი სალამოს დაენტქმება. ხოლო მონასტრის
 გალერეაში ღამურები დაშრიალებენ.
 თამაშს შეწყვეტენ მნის ბავშვები და ზეციურ ოქროს
 ეძებენ.
 ბოლო აკორდი კვარტეტისა. პატარა გოგო,
 თვალდავსილი, ხეივანში ცახცახით გარბის,
 მოგვიანებით, ცივ კედლებთან, საცნაურია მისი
 აჩრდილი,
 ზღაპრებით და ნათლიერი ლეგენდებით გარემოცული.

აი, ნავი ცარიელი, მიმწუხრზე რომ შავი არხის დინებას
 მოაქვს.

ძველი საყუდრის ყიამეთში ბოლოვდება ნანგრევები
კაცობრიობის.
ბალის კედელთან გარდაცვლილი ობლები წვანან.
სიბინძურით დალაქავებულფრთებიანი ანგელოზები
გამოდინან მოჟამული ოთახებიდან.
გადაყვითლებულ მათ ქუთუთოებს წვეთ-წვეთად სდის
მატლი და ჭია.
როგორც ახსოვთ ბავშვობის დღეებს, ეკლესიასთან
მოედანი ისეთივე ქუფრი და ყრუა.
იქვე ვერცხლისფერხამლიანი ოდინდელი
ცხოვრებანი ჩაიქროლებენ
და მგლოვიარე წყლისკენ დაძრულან აჩრდილები
შეჩვენებულთა.
თეთრი გრძნეული სამარეში თავის გველებს ეთამაშება.
განიხვნიბიან მღუმარედ ღმერთის ოქროს თვალები
სანამებელ ადგილთა ზედა.

ფერისცვალება

სალამოჟამი როცა დგება,
ლურჯი მზერა უჩუმრად გტოვებს.
თამარინდის ტოტზე გალობს პანია ჩიტი.

ქვადქცეულ ხელებს გულზე იკრეფს
სათნო მოწესე.
მარიამს თეთრი ანგელოზი გამოუჩნდება.

საცნაურმყოფლის ჟამი თუა
იით, თავთავით, ალისფერი ყურძნით წნული
ლამის გვირგვინი.

შუბლს რომ ვერცხლისფერ ხელებში ჩარგავ,
შენს ფეხებთან
გარდაცვლილთა კუბოები განიხსნებიან.

უჩუმრად მკვიდრობს შენს ბაგეზე
ბნელი სიმღერის ყაყაჩოს წვენი
მთვრალი მთვარე შემოდგომისა;

გაყვითლებულ ქვიანებში წყნარად მჟღერი
ლურჯი ყვავილი.

თბილი მშრალი ქარი

ბრმა მოთქმა ქარში, მთვარიანი ზამთრის დღეები,
ყრმობა, შავ სხლტესთან ნაბიჯები წყნარად კვდებიან.
მწუხრიყამის ხანგრძლივი ზარი.
ახლოვდება თეთრი ღამე წყნარად და ზანტად,

ქვოვანი ყოფის ტანჯვას და ტკივილს
მოზრდღვიალე სიზმრებად აქცევს,
რომ არასოდეს გაეცალოს ლპობად სხეულს მწარე
ეკალი.

ღრმად ოხრავს თვლემას მიცემული სული მოშიში,

მიმომსხვრეულ ხეებს შორის ღრმად ოხრავს ქარი,
და მგოდებელი დედა, ლასლასით მოარული
ამ უთქმელი მწუხარების

მარტოსულ ტყეში; ღამენი,
ცრემლით აღსავსენი, ცეცხლოვანი ანგელოზებით.
ჩონჩხი ბავშვისა, ვერცხლისფრად რომ მიეფშვნება
შიშველ გაღავანს.

მგზავრი მე-2 რედაქცია

ისევ და ისევ, თეთრი ღამე იმ გორაკზე ჩამოისვენებს,
სადაც ალვის ხე ვერცხლოვანი ხმოვანებით
გამორჩეულა,
ვარსკვლავნი და ქვანი სუფევენ.

მოეთალება მთის ნაკადულს მთვლემარე ხიდი,
ასდევნებია ყრმას მკვდარი სახე,
ნამგალა მთვარე ვარდისფერ ხევში

სიშორისთვის სადიდებლის აღმომთქმელ მწყემსთა
. ძველ ქანებს შორის,
ბროლის თვალებით გადმოიმზერს ირგვლივ გომბეშო,
მოყვავილე ქარი იღვიძებს, მკვდრის მსგავსის
ფრთოსნურ ხმას და ნაბიჯს
წყნარად მოსავს ტყეში სიმწვანე.

მეხსიერებას ხეს და ნადირს წარმოუდგენს ეს
ყოველივე. ხავსის ნელი სვლა;
და კვალად მთვარე,
ელვარედ რომ იძირება მწუხარე წყლებში.

ის კვლავ ბრუნდება და წრიალებს მწვანე ნაპირთან,
მიმორწეული შავი გონდოლით განვლის ქალაქს, უკვე
ჩაქცეულს.

კარლ კრაუსი

ჭეშმარიტების დიადი და თეთრი მონესე,
ხმა ბროლიადი, რომელშიც უფლის სუნთქვა სუფევს
ყინულოვანი,
განრისხებული ჯადოსანი,
ხოლო ცეცხლოვან სამოსელქვეშ - მეომრის ლურჯი
აბჯრის ფლრიალი.

დადუმებულთადმი

ო, სიგიჟე დიდი ქალაქის, სადაც მწუხრის ჟამს
შავ კედელთან სახიჩარი ხეები სდუმან,
ვერცხლისფერ ნიღაბს შეხიზნული ავი სული ირგვლივ
მზერას მიმოატარებს;
ქვოვან ღამეს განაძევებს შუქი, მაგნიტის მათრახიანი.
ო, დასაძირული ხმოვანება მწუხრის ზარების.

აი, მეძავი, ყინულოვანი ძაგძაგით რომ დაბადებს
მკვდარ ბავშვს.
ემმაკეულით პყრობილი შუბლი უფლის რისხვით
გაიროზგება;
დამამსხვრეველი მწვანე თვალთა, - ალისფერი ქირი,
შიმშილი.
ო, როცა ოქრო საზარი ხმით დაიწყებს ხარხარს.

მაგრამ ადამის მუნჯი მოდგმა ბნელ მღვიმეში
უხმაუროდ იღვრება სისხლად,
და უმტკიცეს ლითონთაგან მხსნელ თავს აშენებს.

ვნება

მე-3 რედაქცია

მწუხრის ბაღში რომ ორფეოსი მკვდარს დაიტირებს
და ირგვლივ ჰანგი ვერცხლისფერი მიმოიღვრება,
ვინ ხარ შენ, მაღალ ხეთა ჩრდილქვეშ განსვენებულო?
იგლოვს ლერწამი შემოდგომის,
ლურჯი ტბორი,
მწვანე ხეებქვეშ სულის მლაფავი
და დის აჩრდილს ადევნებული;
ბნელით მოცული სიყვარული
ველური მოდგმის,
ოქროსეტლიან დღენათელს რომ უდიდება.
მდუმარე ღამე.

ულრან ნაძვნარში
წყვილი მგელი სისხლს ურევდა
ქვოვან ალერსში; გაუჩინარდა
ხიდურის თავს ოქროს ღრუბელი,
მოთმინება და მდუმარება ბავშვობის ჟამის.
ისევ და ისევ საცნაურია სათუთი გვამი
ტრიტონის ტბორთან,
ძილს მიცემული, სუმბულისებრკულულიანი.
დე, საბოლოოდ ჩამოიმსხვრეს ეს გრილი თავი!

რამეთუ მიწყვი თანამდევია ლურჯი ნადირი,
მწუხრის ხეებქვეშ გამომზირალი,
ამ ბნელ ბილიკთა

მოთვალთვალე, აღელვებული ღამეულ
კეთილხმოვანებით,

ნაზი სიგიჟით;
ან, სულაც, ისევ ხმოვანებდა
ქვოვან ქალაქში,
მონანიე ქალის გრილ ფერხთით,
საკრავი, სავსე ბნელი ექსტაზით.

სიკვდილის შვიდხმიანი საგალობელი

ცისფრად ბინდდება გაზაფხული; წყალს დახარბებულ
ხეთა ტოტებში
წყვილია დაძრწის დაისის და დასასრულის ჟამს,
შავი შაშვის მსუბუქ ჩივილს ყურმიპყრობილი.
ლამე - მღუმარედ მანათობელი; მხეცი, სისხლისგან
განლეული,
გორაკზე რომ ნელა ეცემა.

მიმოირწევა სველ ჰაერში მოყვავილე ვაშლის
ტოტნარი,
გამოხლართული, თავს ვერცხლისფრად
ითავისუფლებს,
ლამეულ თვალებს ნება-ნება გარდაეცვლება;
ვარსკვლავთცვენა;
უნაზესი გალობა ყრმობის.

მოხილვადი, შავი ტყისკენ დაეშურა ძილსმიცემული,
და ლურჯი წყარო მიწას გაბმით ჩაჰბუტბუტებდა,
თოვლითფენილ მის სახეზე
რაოდენი სიმსუბუქით განიხსნებოდნენ გაფითრებული
ქუთუთოები;

და ბუნაგიდან
წითელი მხეცი განდევნა მთვარემ;
ქალების ბნელ გვრინს სული ოხვრით ამოუვიდა.

თეთრი უცხო
საკუთარი ვარსკვლავისკენ მოელვარედ იწვდიდა
მკლავებს;
მკვდარმა დუმილით დაუტევა ჩაშლილი სახლი.

ო, ადამის ძის ლპობადი სახე: ყინულოვანი ლითონებით
ჩამონაკეთული:
ღამე და შიში დაძირულ ტყედა,
მხეცის დამწვარი სამკვიდრებლის;
საამური ქარი სულისა.

ის შავი ნავით მიჰყვებოდა
აღისფერი ვარსკვლავებით სავსე დინებას, და
იხრებოდა
ამწვანებული ტოტნარი მისკენ, მშვიდობის ნიშნად,
ვერცხლოვანი ღრუბლის ყაყაჩო.

ზამთრის ღამე

თოვლი მოვიდა. შუაღამე როცა გადავა, ალისფერი ღვინით გამომთვრალ ადამიანთა ბნელ გარემოცვას და მათი კერის წითელ ცეცხლს ტოვებ. ო, უკუნეთი!

შავი ყინვა. მკაცრია მიწა, სიმწრის სუნი მოიცავს ჰაერს. ავს მოასწავებს, როცა შენი ვარსკვლავები იხურებიან.

რკინისგზის ყრილზე ქვადქცეული ნაბიჯებით მძიმედ მავალი, მრგვალი თვალებით, ჰგავხარ ჯარისკაცს, შავ სანგარზე მოიერიშეს. წინ!

უმწარესი თოვლი და მთვარე!

წითელი მგელი, ანგელოზი რომელსაც ახრჩობს. შენი ფეხები ისე, როგორც ლურჯი ყინული, ჩხრიალებენ სიარულისას, ხოლო სახეზე შეგყინვია გლოვითა და ქედმაღლობით სავსე ღიმილი და შენი შუბლი ფერმიხდილა ავხორცი ყინვით;

ან იგივე შუბლი უტყვად იხრება ხისგან შეკრულ ქოხს შეხიზნული დარაჯის ძილის მიმართულებით.

ყინვა და კვამლი. ვარსკვლავუხვი თეთრი ფარაჯა ამოწვავს მძლავრ მხრებს და ღმერთის ძერებს დარჩენიან საძიძვნად შენი ლითონის გული.

ო, ქვის გორაკი. ჩუმად ლღვება და ავინყდებათ ვერცხლისფერ თოვლში ჩარჩენილი გრილი სხეული.

შავია ძილი. ყინულზე ყური დიდხანს მისდევს ვარსკვლავთა ნაგზევს.

გაღვიძებასთან ერთად სოფლად ზარები რეკდნენ. აღმოსავლეთის კარიბჭიდან ვერცხლოვანი ნაბიჯებით მოდიოდა ვარდისფერი დღე.

ვენეციაში

მდუმარება – ღამის ოთახში.
ვერცხლისფრად ბჟუტავს სანათური
მარტოსულის
მოგალობე სუნთქვის წინაშე;
ჯადოსნური ღრუბელი ვარდთა.

ჩამოაბნელებს ქვოვან სივრცეს
ბუზანკალთა მოშავო გუნდი
და აღსავსეა ოქროვან დღის
ტანჯვით თავი
უსამშობლოსი.

ზღვა უძრავად ჩამოაბნელდება.
ვარსკვლავი და მოშავო სვლა
განიმქრა არხთან.
ბავშვო, სნეული შენი ღიმილი
ძილში მცხრალად ამდევენებოდა.

განსაზმენდელი

შემოდგომის გალავნებთან, აჩრდილები დაეძებენ
გამხმარ ჭადართა სიჩუმეში
გორაკის თავს მონკრიალე ოქროთა მწყემსებს -
მიმნუხრის ღრუბლებს.
უბნელეს ცრემლებს სუნთქავს ეს დრო,
წყევლა, როს გული მეოცნებისა
მობრდღვიალე მნუხრის სინითლეს გადმოელვრება,
აკვამლული ქალაქის სევდა;
უცხოს, გზად მავალს,
ოქროს სიგრილე მიენევა სასაფლაოდან,
ასდევნებოდეს თითქოს ჩრდილში სათუთი გვამი.

წყნარად ჩამორეკს ქვის შენობა;
ობოლთა ბალი, ჰოსპიტალი ბნელით მოცული,
ხოლო არხში - წითელი ნავი.
წამოინევენ მეოცნებედ და კვლავ წყვდიადს
ინთქმებიან

კაცნი, ლპობამორევნილები,
და კუპრისფერი კარიბჭიდან
გამოდინან ანგელოზნი ცივშუბლიანნი;
სილურჯე, დედის სიკვდილის ზარი.
მის ხშირ თმინში
ცეცხლოვანი მიგორავს თვალი, დღემრგვალი და
მინის ტანჯვა უდასასრულო.

გრილ და უაზრო ოთახებში

ლპება ავეჯი, დაჩონჩხილი ხელებით ეძებს
სილურჯის წიაღ
თავის ზღაპრებს უღვთო ბავშვობა,
კარს და ზანდუკს ქონიანი ვირთხა შემოღრღნის,
თოვლიანი მდუმარება
გულს გააქვავებს.
ხოლო შიმშილის ცეცხლოვანი შეჩვენებები
ექობად იბნევიან მძაღე ყომრალში,
კუპრისფერი ხმლები სიცრუის,
დაიხურაო თითქოს მძიმედ რკინის ჭიშკარი.

სიზმრადმარები

სად ხარ, მხარდამხარ ვინც მომყვებოდი,
სად ხარ ძვირფასის სახევ ციურო?
სულელი! – ყურში ჩამქირქილებს სასტიკი ქარი –
სიზმარი იყო! სიზმარი! ბრიყვო!
და მაინც, მაინც! ხომ იყო ერთ დროს,
ვიდრე ღამის და სიმარტოვის კარს შევაღებდი?
ჯერ კიდევ გახსოვს, სულელი, ბრიყვო!
სასტიკი ქარი, იგივე ექო ჩემი სულისა:
სულელი! ბრიყვო!
განა არ იდგა ის ვედრებით ხელებგანვდილი,
და მისი ბაგე არ დაეპყრო მწუხარე ღიმილს,
არ ხმობდა განა ღამეში და სიმარტოვეში!
მაინც რას ხმობდა! შენ ეს არ იცი?
ვით სიყვარული გაისმოდა. არ უბრუნებდა,
ეს სიტყვა ექოს არ უბრუნებდა.
განა თუ იყო სიყვარული? ვწუხვარ, არ მახსოვს!
რაც ირგვლივ მაკრავს, ღამეა და სიმარტოვეა,
და ქარი – ექო ჩემი სულისა!
რომ არ წყვეტს ქირქილს: სულელი! ბრიყვო!

სული ღამისა

უტყვად დაეშვა შავი ტყიდან ლურჯი ნადირი
თავქვე სულისკენ,
სადაც ჰგებდა ღამე, ხავსიან საფეხურებზე –
ნაკადული თოვლდაფენილი.

სისხლის და აბჯარ-იარაღის ფორიაქი გარდასულ
დროთა
ყრუდ ჟღერს ფიჭვებქვეშ.
მთვარე მცხრალად გაანათებს ჩაშლილ ოთახებს,

ბნელ სანამლავთა ძალით მთვრალი, ვერცხლის ნილაბი
ჩამოხრილა მწყემსთა თვლემისკენ;
თავი, მისივე ლეგენდები მდუმარედ რომ დაუტევებენ.

ო, მერე ნელ ხელთ განხვნის მავანი
ხრწნამორევნით მენამულ ძილში
და მაშინ ზამთრის ყვავილები ტყის პირს
ვერცხლისფრად

განიშლებიან, გაბრწყინდებიან ბნელი გზები
ქვოვან ქალაქში;
შავნალვლიანი ბუკიოტი მონდომებით უხმობს
დაბანგულს.

ფსალმუნი

მყუდროება; შემოდგომურ გალავანთან თითქოს
ბრმანი წარცემულანო,
ფუტუროდქცეულ საფეთქლებით ყვავთა ფრენას
ყურმიგდებულნი;
ოქროვანი მყუდროება შემოდგომისა, მცხრალი მზის
შუქით ანთებული მამის იერი.
დაისის ჟამზე ჩაიქცევა ძველი სოფელი, რუხი მუხების
მშვიდობით რომ გარემოცულა.
მჭედელთა წითლად უროსცემა, ძგერა გულისა.
მყუდროება; მსახური გოგო აუჩქარებელ ხელებში
მალავს სუმბულის შუბლს
მოფრთხილვე მზესუმზირებქვეშ. დამსხვრეულ
თვალთა
ძრწოლას და დუმილს აღუვსია ოთახი
ნათელგანრინებული, და – ფრთხილ ნაბიჯებს
დედაბერთა, წყევლა-კრულვას ალისფერი ბაგეებისა,
ნელი-ნელ რომ ქრებიან ბნელში.
უტყვი საღამო ვენახებში. ჭერდაბალი სახურავის
კოჭებიდან
ჩამოვარდა ღამის ფარვანა, მოლურჯო ძილში
დაფლული ნიმფა.
მოჯამაგირე კრავს ეზოში ყელს გამოლადრავს,
სისხლის სურნელი
მოელრუბლება ჩვენს შუბლებს და – ჭის ბნელ
სიგრილეს.

სიცოცხლის ხანა

გონის მისარგო არის ველურ
ვარდთა ნათება ბალის ლობესთან;
ჰოი, სული გარინდებული!

ნეტარებს ვაზის გრილ ფოთლებში
მზე ბროლიადი;
ჰოი, წმინდა უმანკოება!

კეთილშობილი ხელით ეხება
ბერიკაცი მწიფე ნაყოფებს.
ჰოი, მზერა სიყვარულისა!

მზესუმზირები

ოქროვანო მზესუმზირებო,
მთელი არსებით სიკვდილისკენ გადახრილებო,
მოკრძალებით აღსავსე დებო,
ასევეთარ სიჩუმეში
განილევა მთიურ სიგრილის
წელიწადი ჰელიანისა.

აქ უფითრებენ კოცნანი
მთვრალ შუბლს,
მწუხარების ამ ოქროვან
ყვავილთა შუაგულ
სულს დაადგენს
უტყვი წყვდიადი.

კანს ანკო

1886 - 1966

შტრასბურგული კონფიგურაცია

1

მე ბუნებაში დავიბადე. მე შტრასბურგში დავიბადე. მე ლრუბელში დავიბადე. მე ტუმბოში დავიბადე. მე ბოლოკაბაში დავიბადე.

ოთხი ბუნება მაქვს. ორი ნივთი მაქვს. ხუთი გრძნობა მაქვს. გრძნობა უნივერსობაა. ბუნება უაზრობაა. ადგილი და ბუნებისთვის და. ბუნება თეთრი არწივია. ადგილი და და ბუნებისთვის დადა.

მე ხუთლილიან ნიგნს ვძერწავ. ხელოვნების კაფვა შავი ჭკუასუსტობაა.

დადა ციურისში დაიბადა. ციურისს რომ შტრასბურგი გამოვაკლოთ დარჩება 1916.

2

ნიმფა სიცოცხლის კუთვნილებაა.

გენერალს ბუნებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

პირამიდულ ტუმბოს აქვს ოთხი დიდი ორი ხვრელი. პირამიდული ტუმბო ბუნებაში შავ ფრთოსნებს ტუმბავს. მე ვტუმბავ ბუნებას. შენ ტუმბავ ხელოვნებას.

შტრასბურგი ღრუბელზე მდებარეობს.

ხუთი ცოცხი წევს. ოთხი ცოცხი ზის. ორი ცოცხი დგას.

იცი ბუნება ღილია. იცი ბუნება შავი ხვრელია. იცი ხელოვნება შავი ხვრელია. ყველა ხვრელში ღრუბელია. გამომიძერწე ხვრელში ხვრელი და ამ ხვრელში ორი ხვრელი და თითოეულ ამ ორ ხვრელში ოთხი ხვრელი და თითოეულ ამ ოთხ ხვრელში ხუთი ხვრელი.

სიხარულთა შორის ღრუბლის ტუმბო ბოლოკაბიან ღრუბლებს ტუმბავს. ღრუბლის ტუმბო ტუმბავს ნიმფური ხელოვნების ბოლოკაბის საპირისპიროდ.

3

მე შტრასბურგში დავიბადე.

მე ლექსების ხუთი წიგნი გამოვეცი. ამ წიგნთა სახელებია სამი ფრინველი - ღრუბლების ტუმბო - პირამიდების ბოლოკაბა - თეთრცოდნობ შავტუხობ - ოთხი დიდი ორი ხვრელი ოთხი ცოცხი.

1916-ში ციურიხში სიხარულთა შორის დადა ვშობე. დადა არის უაზრობისთვის ეს არ ნიშნავს სისულელეს. დადა უაზროა როგორც ბუნება და სიცოცხლე. დადა არის ბუნებისთვის და ხელოვნების საპირისპიროდ. დადას ისე როგორც ბუნებას სურს ყოველ ნივთს მისი არსებითი ადგილი მიანიჭოს.

გარდა ამისა ნაწილობრივ მჯდომარე ნაწილობრივ ფეხზემდგომი ქანდაკებას ვეკუთვნი. ვერავინ დამიმტკიცებს რომ ოდესმე ერთი ნიმფა ერთი გენერალი ან ერთი არწივი მაინც გამომიძერწავს.

4

იცი ვერავინ დამიმტკიცებს რომ მე არ ვარ არწივი. არწივი სიცოცხლეს ეკუთვნის. იცი არწივს ხუთი სიცოცხლე და ოთხი ბუნება აქვს. იცი არწივს გარდა ამისა სახელწოდებაც აქვს. შენ შავტუხობ გენერალს ხუთი სახელწოდება აქვს ხუთი ღილი თავის ორ გრძნობაზე და ოთხი ხვრელი თავის სიხარულებში. მაგრამ ბუნება და მე სიხარულთა და შობილ ნივთთა წინააღმდეგი ვართ. ბუნება ნევს ზის თუ დგას სიცოცხლეს ეკუთვნის.

თეთრბოლოკაბიანი შავი ღრუბელი სიხარულთა შორის ფრინველნივთს ბადებს.

* * *

ვაი ჩვენი კეთილი კასპარი მოკვდა.

ვინ უნდა ატაროს ამის მერე შავი ხუმრობით ღრუბლის კულულში გადამალული მობრდღვიალე დროშა.

ვინ დაფქვავს ამის მერე ყავას ძველ კასრში.

ვინ დაამზადებს ამის მერე გაქვავებული პარკისგან იდილიურ შველს.

ვინ აურდაურევს ამის მერე გემებს ზღვაში მისალმებაში ქოლგაში ხოლო ქარებს მეფუტკრის ძახილში ოზონის თითისტარში თქვენო უდიდებულესობავ-ში.

ვაი ვაი ვაი ჩვენი კეთილი კასპარი მოკვდა. ცაონმიდავ კასპარი მოკვდა.

მისი სახელი როცა ჩაესმით ზართა ბელლებში მნუხარებისგან გულსაკლავად გრუხუნებენ ჩალის გემები. ამიტომაც განვაგრძობ მოთქმით მისი გვარის გამეორებას კასპარ კასპარ.

რატომ დაგვტოვე. რა სახით მოგზაურობს ახლა შენი მშვენიერი დიადი სული. ვარსკვლავად იქეც თუ მხურვალე ქარიშხალში წყლის ჯაჭვად ან იქნებ შავი სინათლის ჯიქნად ან კლდოვანი არსის მკვნესარე დაფდაფის გამჭვირვალე აგურად.

ახლა კი შრება ჩვენი ქოჩორი და ფეხისგულები და კოცონი აქვთ შენთებული ნახევრადდანახშირებულ ფერიებს.

მზის უკან ახლა შავი კეგელბანი ქუხს და აღარავინ ამუშავებს კომპასებს და ურიკის თვლებს.

ვინ მიუჯდება ამის მერე ფოსფორიზებულ ვირთხას-
თან ერთად სადილად მარტოსულ ფეხშიშველ მაგიდას.

ვინ განდევნის ამის მერე სიროკოს ეშმაკს როცა მას
ცხენების შეცდენა სურს.

ვინ განგვიმარტავს ამის მერე მონოგრამებს ვარსკვ-
ლავებზე.

მისი ბიუსტი დაამშვენებს ჭეშმარიტად კეთილშობილ
ადამიანთა ბუხრებს მაგრამ ეს არ არის თავის ქალასთვის
ნუგეში და საყნოსი თუთუნის.

* * *

დიდგვაროვანი ქალბატონი საზეიმოდ ტუმბავს ღრუბლებს გათრიმლული ტყავისა და ქვის ტომრებში.

გიგანტური ამწეები უხმოდ ეწევიან მორაკრაკე ტოროლებს ცისკენ.

ბამბის თოჯინებით გამოტენილა ქვიშის კოშკები.

რაბებში ამონიტები დისკოები და დოლაბებია გაგუჯული.

გემებს ჰანსი და გრეტა ჰქვიათ და ცურვას ისე განაგრძობენ რომ ვერაფერს ხვდებიან.

დრაკონი დალდასმულია ნარნერით კუნთგუნდულა და თოკზეა გამობმული.

ქალაქებს ფეხები მოხერხილი აქვთ სამრეკლოებისთვის კი მხოლოდ სარდაფებში გადაადგილების სრული თავისუფლება მიუნიჭებიათ ამიტომაც არ გვევალება ბრწყყალების რქების და ფლუგერების გასუფთავება.

* * *

გადაყლაპული ბიჭუნები ჯადოსნურ ბუკს აჟღერებენ.

ოქროს ფეხსაცმლიანი ანგელოზები წითელი ქვეებით სავსე ტომრებს აცარიელებენ.

უკვე ისახება ანძები და თანავარსკვლავედები.

მონყალების დები საჰაერო ციხე-დარბაზთა საფულეთა მიგდებულ ბავშვთა ოხშივრიან ძროხის ნაჭერთა დარბაზულ კურდღელთა და ახლად გატიკინებულ ლომთა ნაკვალევებს მიუთითებენ.

ცეცხლოვან მანაზე ამხედრებული ფრინველები ზეცას სერავენ.

ცვილისცხვირა ვარსკვლავები თაიგულებს აცემინებენ.

კაცი და თაგვი დამთვრალან და რბილ თითებზე მიცურავენ.

მოცახცახე არყის ხეების თავზე აღმოდებული ლომები მიმოქრიან.

ვისაც კუდი აქვს ის ამ კუდზე ფარანს იმაგრებს. მთელი ღამე თავდაყირა დგანან და დრაკონზე ამხედრებული ცეკვავენ. ლატანზე ცოცვა და სპორტული ჭიდაობა ღამეს ვაუ-ვაუთი ავსებს.

* * *

რკინის ტოლჩებიდან მოხარხარე მხეცები ქაფდები-
ან.

ღრუბლის საგორავები მხეცებს მათივე ძვალ-რბილი-
დან ერეკებიან.

ქვის ხანის ქვებზე ფლოქვები შიშვლად დამდგარან
და გატრუნულან ტოტებთან და თევზის ფხებთან.

ირმის რქები თოვლის გუნდებს ჩხვერენ.

მეფეები სკამებს მთებისკენ მიაჭენებენ და დეკემბრის
ბუკით ასე ქადაგებენ: დაუშვით ჩალის ხიდები მოიტანეთ
რკინის წერილები უხმოდ და კარგად გასაგონად.

ყინულის ბოთლში გვრიტები იყინებიან.

* * *

ფოთლოვან ტყეებში ავარიაში მოხვედრილ ფრინველთა ბენვახერხები ჟღურტულებენ
სინგურისფერი კათხის ცხოველები ერთმანეთში ჩინური კოლოფებივით ლაგდებიან
მარიონეტი ვარსკვლავები მარიონეტი ყვავილები და მარიონეტი კაცუნები სამართავ ძაფებს წყვეტენ
კარტეზიანელი მყვინთავები თავიანთი ტარსიკონიანი კარეტებით მიქრიან მარილსახდელებში რომლებიც ლუდოვიკო XIV-ის ბაღებზე უფრო მშვენიერია
ნიშნულიან ჭოკს ნელ-ნელა მაღლა მივუყვები
ჩემს კვერცხებს საგზაო მანძილის აღმნიშვნელი ქვის სვეტების ხვრელებში ვათავსებ

წამმზომი

მე რომ როცა
ერთი ორი
მე რომ როცა
სამი ოთხი
მე რომ როცა
რომელია
მე რომ როცა
ნიკ-ნიკ-ნიკ-ნიკ
მე რომ როცა
ხუთი ექვსი
მე რომ როცა
შვიდი და რვა
მე რომ როცა
შეჩერდა და
მე რომ როცა
ამოძრავდა
მე რომ როცა
ცხრა და ათი
მე რომ როცა
თერთმეტი და
აი უკვე
თორმეტია.

საჭიროება

დაიძინე უმოკლესო შენ პანიავ ძინ ძინ ძინ
ნაბორძიკდა მამრობითი
ნითელია მამრობითი
ნითელია შენ და შენ
რა თქმა უნდა მამლაყინნაც
რა თქმა უნდა ყველა ვერძიც
რა თქმა უნდა ვირის ძეხვიც

ვაუ ვაუ გლირვირლი ცირ
ნაბორძიკდა საშუალო
ნითელია საშუალო
ნითელია შენ და შენ
რა თქმა უნდა დადას ცხენიც
რა თქმა უნდა დადას სახლიც
რა თქმა უნდა ჩაიდანიც

დაიძინე უმოკლესო შენ პანიავ ძინ ძინ ძინ
ნაბორძიკდა მდედრობითი
ნითელია მდედრობითი
ნითელია შენ და შენ
რა თქმა უნდა ფურირემიც
რა თქმა უნდა ძუც და ნეზვიც
რა თქმა უნდა ჩეჩმის ყელიც

დაბნეული ანგელოზების საქმენი და უხამსობანი

დეზერტირი ანგელოზები თოვლივით ბზუიან
კეთილი იყოს თქვენი ფეხი ახალ სამყაროში
მოელვარენი ერთმანეთში სიგრძივ ძვრებიან
ისე როგორც უძირო კასრში
სახერხ ხარისხაზე ნაპერწკლებს აკვესებენ
ათავისუფლებენ მიჯაჭვულ ყვავილებს
და ქვებს ზღვაში გადაუძახებენ
ქვები მათ ფილტვებს ისეთი სასონარკვეთით ებლაუჭ-
ებიან
როგორც დასაძირად განწირული ბგერები მწვანე შე-
ჯამების ფოთლებს
საგალობელთა კრებულებისგან აგებული ბარიკადებ-
ის უკან ანგელოზები ყვირიან "კოზირი"
ხელიდან იძრობენ ხელთათმანებს
ოთხფეხა სითხეებზე იძინებენ
და წრიულ სულისსაწმენდად გარდაისახებიან
რომელიც უსასრულობაზე ოდნავ მაღლაა დაკიდებ-
ული
და ათეისტურ სცენისთავზე უსახელო სხეულად წარ-
მოსდგება
ასეთია ერთ წელს საქმის ვითარება
მეორე წელს დროშების მონაცვლეობა წყდება
შეძახილი კეთილი იყოს თქვენი ფეხი ახალ სამყარო-
ში
მხოლოდ ფხრინფხრენის რიტუალის აღსრულებისას
გაისმის

მაგალითად როცა დროით სავსე ქოთანს მსოფლიოს
ქურიდან გადმოდგამენ
მესამე წელს ახალი სამყარო უკვე ძველია
ანგელოზები ფრთებს ინომრავენ
და ტყავის ლარნაკის მსგავსი მოხეტიალე ქარებივ-
ით აქროლსურნელება მონდომებიან
თუმცა ამ სურნელს რაღაც უფრო მძაფრი სურნელი
ისე მძლავრად ახშობს
რომ ანგელოზები ამ დროს ორ თანაბრად დიდი ზომ-
ის ცივ პორციად მიმოიშლებიან
შავ ფერს აღიარებენ
სახელითა-ს ამინ-ად აქცევენ
გალობის დასაწყისს კი სიმღერის დასასრულად
და ეს მაშინ როცა განუბანელ ორიგინალში
ბოლოსდაბოლოს ანგელოზები ვარსკვლავთა ეტლის
ხელნაში ჩაებმებიან
და ქიმერებთან ერთად სამუდამოდ უჩინარდებიან

ვარდები მიაბიჯებენ ფაიფურის ქუჩებზე

ზღაპრის კიდეზე ღამე ვარდებს იქსოვს.
იშლება თაიგული ყარყატთა ნაყოფთა ფარაონთა არ-
ფათა.

სიკვდილი თავის კაპკაპა თაიგულს სიცარიელის ფეს-
ვებქვეშ დაატარებს.

საკვამურებზე ყარყატები კაპკაპებენ.
ღამე ჩალით გამოტენილი ზღაპარია.

ვარდები მიაბიჯებენ ფაიფურის ქუჩებზე თავიანთი
წლების გორგლისგან ვარსკვლავს ვარსკვლავზე იქსოვენ.

ვარსკვლავთა შორის ნაყოფს სძინავს.

ცარიელი ქვეყნები ჩალით გამოტენილი წლები მოცი-
ნარი ჩემოდნები ცეკვავენ.

ყარყატები ფარაონებს ნთქავენ.

საკვამურებიდან ვარდები იზრდებიან.

სიკვდილი ერთმანეთის მიყოლებით ნთქავს წელიწა-
დებს.

ფარაონები ნთქავენ ყარყატებს.

ნაყოფთა შორის ვარსკვლავს სძინავს. ზოგჯერ ძილ-
ში ნაზად იცინის როგორც ფაიფურის აფრა.

ჭრიალნი ზღაპარნი ქსოვანი ქუჩანი შეფუთულნი ყა-
რყატნი ცეკვავენ.

ვარდისანი არიან ფესვნი ფარაონთა.

ყარყატები ალაგებენ თავიანთ საკვამურებს თავიანთ
ჩემოდნებში და ფარაონთა ქვეყანაში მიფრინავენ.

ადამიანი ფლეიტისტია

ადამიანი ფლეიტისტია.

ადამიანი ქნარზე დამკვრელია.

ადამიანი ტაძრის მშენებელია.

მაგრამ ადამიანი სიკვდილის მომტანი ხმლის მჭედელიც არის.

საქმის როგორი ცოდნით არის აღნუსხული ჰომეროსის სიმღერებში ხოცვა-ჟლეტის შედეგები.

ადამიანი მშვენიერებით გაბრუებული ობობაა.

ადამიანი დაუნდობელი მგელია, რომელიც გუგუს იძახის.

ადამიანი მშვილდოსანია, რომელიც ფუტკარას კლავს, უიმედოდ გონებაშეზღუდული მკვლეელია, ატომსოკოების მომყვანი მეზაღეა, თავზე რომ მამაპაპური ჩაჩი ახურავს და ყველაფერს, რისთვისაც დღემდე მიუღწევია, მიმღწევებითურთ, სამუდამო ჩრდილში გასარიყად წირავს.

ადამიანი ვაუვაუს მყეფარი მოსამართლეა, არასაკმაო საფუძვლის ოთხმაგი ფესვია, რომლის კენწეროზეც ურიცხვი პანია ფლუგერია დამაგრებული, ბიძია თომას ქობია, კუთვნილ ფეხებზე მოჯირითე საკონცერტო როიალია.

მაგრამ ადამიანი, ყოვლის უწინარეს, განსახიერებაა უზნეო საქმის, რომელმაც მას, როგორც ჩანს, ფიქრი და ლოცვა დაავინყა. ადამიანის დანახვისთანავე კისრისტეხით გაქცევა და დედამიწის უღრმეს, უბნელეს ნაპრალებში გადახვეწა სჯობს.

ადამიანი მიმზიდველად მოჩარჩოებული თავისი რვა ლიობიდან გამუდმებით უშვებს ცისფერ ორთქლს, ყავისფერ ბურუსს, რუხ კვამლს.

უგუნური, უსასტიკესი, ცოფით სავსეა მისი სწრაფვის მიზანი. ადამიანს ბუნებრივი ჰგონია არაბუნებრივი მოთხოვნილებები. რაკი ფრთები არ გააჩნია, სურს ფრთები ჰქონდეს და იფრინოს. ფრთები მას განსაკუთრებით იზიდავს. თავი ღმერთად წარმოუდგენია, ტრაკქვეშ ამოდებული ერთი კასრი ბენზინის იმედად ცაში როცა მიჰქრის.

მაგრამ ადამიანი სულჩადგმული კვირტიც არის.

მაგრამ ადამიანი პოეტიც არის.

მაგრამ ადამიანი წმინდანიც არის, ცისარტყელასფერებიანი ანგელოზი.

სიბნელე ხდება უფრო ბნელი

უფრო და უფრო ბნელი ხდება მინის სიბნელე.
სწორედ სიბნელები მრავლდებიან პარაზიტისებრნი
ხმაურადამიანები
ბომბმზარეულები
მანქანსაყვარლები
კენტავრები, ნახევრად ადამიანი ნახევრად მანქანა
ფეხბურთის ბურთის თავიანი ადამიანები
ადამიანები რომლებსაც აღარაფერი აკავშირებთ ოდ-
ინდელ გულთან
ადამიანები, რომლებიც თავდაყირა დგანან და ფიქ-
რობენ, რომ ყველა სხვაც თავდაყირა დგას და დადის.
რაც უფრო მოჩვენებითად უაზროდ მრისხანებენ, ხმა-
ურობენ, ფეთქდებიან, უმავთულოდ ვრცელდებიან, განი-
ბნევიან, ზებგერითი სიჩქარით ფრენენ,
მით მეტად ბნელი ხდება სიბნელე ჩვენს მინაზე.
რაც უფრო მძლავრად ამოიქმნენ ადამიანები პროგ-
რესის ფოლადოვანი კომპებიდან,
რაც უფრო აბეტონებენ მთებს და ველებს ადამიანე-
ბი,
მით მეტად ბნელი ხდება სიბნელე ჩვენს მინაზე.
რაც უფრო მონდომებით ფუთფუთებენ ადამიანები
ღმერთის სამოსის ნაკეცებში,
რაც უფრო ზარატუსტრობენ და გაურიშანკარობენ,
მით მეტად ბნელი ხდება სიბნელე ჩვენს მინაზე.

ტყვიის ბრტყელი ღრუბელი

კაცი
რომელიც ბაყაყს ჰგავს
ზურგზე ახტება
მეორე კაცს
რომელიც ბაყაყს ჰგავს.
გოგონა
რომელიც მტრედს ჰგავს
ნატიფი კლანჭიანი თითებით
ცის ჯიქნიდან
ჯამში მცირეოდენ ცისფერ რძეს წველის.
ადამიანები
რომლებიც ბოცვრებს ჰგვანან
მოედანზე სკუპ-სკუპით დახტიან.
რა ხანია უდარაჯებდა
ტყვიის ბრტყელი ღრუბელი
ამ ბოცვრის მსგავს ადამიანებს.
ფრთხილად და სწრაფად ეშვება და
ჭყლეტს ბოცვრის მსგავს ადამიანებს.
როცა ღრუბელი ცას უბრუნდება
ბოცვრის მსგავსი ადამიანები მოედანზე
წვანან ბრტყლად და სუფთად
და სულ მალე შრებიან მზეზე.
ისინი გასრესილ ყვავილებს ჰგვანან.
მიმინოს მსგავსი
ფხიანი ვაჭარი
ჭირისუფლებისგან

ყიდულობს გაბრტყელებულ ადამიანებს
და დიდსულოვნად იხდის სოლიდურ თანხას
და ასეთივე დიდსულოვნებით მაშინვე ყიდის მათ
უმნიშვნელო საფასურად
ოქროს რასის წარმომადგენელ მოგზაურზე
რომელიც ნიანგს ჰგავს.

ადამიანები

რუხად შეღებილი თავმდაბალი სკამადამიანები
რომლებსაც არ სურთ სხვა რამედ ყოფნა
თუ არა სკამად რომელზეც სხვები სხდებიან.

•
ღრუბელადამიანები რომლებიც თავს თვითვე იშობენ.

•
უჭიპო არა-ადამიანები რომლებსაც გაუმჯობესება
მონდომებით
და ბრმებით ფრთხილად
ისინჯავენ ადამიანის საჭიპე ადგილს.

•
ხვრელადამიანები რომლებშიც ლარივით სწორი
გზა მიდის პროგრესული ჯოჯოხეთისკენ.
ხვრელადამიანები რომლებიც ფიჭას აწარმოებენ
მაგრამ ცოტა თაფლს.

•
თეთრი აუნერელი ძაფისგან შემდგარი
გრძელი გრძელი წვრილი ძაფადამიანები
კოჭზე რომელთა დახვევა და
შარვლის ჯიბით ტარება მოსახერხებელია.

•
ადამიანები რომლებსაც ისეთი შეგრძნება აქვთ
რომ მალე ქვები დამნიფდებიან.

•
ადამიანები რომლებიც ფიქრობენ
რომ აზრი არა აქვს
ორ წინა ფეხთან ერთად
უკან კიდევ ორი ფეხი გამოისხან
და რომ უფსკრულში გადასახტომად
ერთადერთი ფეხიც საკმარისია.

•
მაჩვენებელადამიანები რომლებიც კედელზე საჭი-
როებისამებრ მიმაგრებულები
მაშინვე ისარივით ბრუნვას იწყებენ
კუკუკუკუ კუკუკუკუ-ს იძახიან
და დროს აჩვენებენ.

•
ადამიანები რომლებიც სიკვდილის მერე მანათობე-
ლი მზეები ხდებიან.

•
ადამიანები რომლებიც არიან ზღვა
რომელიც თაიგულებით კამათელს აგორებს.

- ადამიანები რომლებიც ნაზად მანათობელი კვერცხ-ადქცეული მთვარეები არიან.

- ადამიანები რომლებიც არაბული ერთიანივით ადიან მატარებელში იქიდან კი ჩამოდიან რომაული ერთიანივით.

- ადამიანები თავიანთ თავს ეუბნებიან:
განუწყვეტლივ დავრგოთ და დავრგოთ
სულერთია ქოლგები იქნება თუ პოტიომკინის ხიშტე-
ბი
ჩეხური თუ ესპანური სოფლების უკან
მძვინვარების გამომწვევი.
სჯობს ცივი საზღვრების დანესება.
სჯობს სანამ არსებობს
პერიდრომი არ მივატოვოთ.

- ადამიანები რომლებიც კენჭებს აცხიკინებენ.

- კენტავრადამიანები ნახევრადადამიანი ნახევრად-მანქანა.

•
ჭორიკანა ადამიანები რომლებიც გაუთავებლად ლაყ-
ბობენ.

•
ადამიანები რომლებიც
საინტერესოს ვერაფერს ხედავენ პირველმიზეზში
და ურჩევნიათ ამ ცხოვრების დინებას მიჰყვნენ
ხოლო ცხვირნაგვრილ მათ სახეზე
სამი ერთმანეთზე მკაცრად დალაგებული და მოვლი-
ლი
ჰერალდიკურად სტილიზებული ულვაში
ყოველთვის ბეჯითად ივარცხნება იქანდება და ლაკ-
ით იფარება.

•
კატისთავიანი ადამიანი
კატის უჩვეულოდ დიდთავიანი ადამიანი
კნავილით ამოხტება
შავმწვანე ჭაობიდან
და გაუთავებლად მოთქვამს
ამ დროს კი მისი ხახა შემაშფოთებლად ფართოდ ილ-
ება.
მრავალი შიშველი არსება იხრჩობა მის ირგვლივ
ისინი მწვანე შლამიან წყალში
სასონარკვეთილი იქნევენ ხელებს.
ჩანს საგანგებოდ წყალში დასახრჩობად
გამიშვლებულან

უკანასკნელ სამოსამდე.
გრძელი თრევადი კუდით აღჭურვილი
უკანალი კი
წყალზე ისე დააბიჯებს
როგორც ჩვენ მიწის ზედაპირზე.
უკვე ჰაერში მიმოცურავს თევზების გუნდი
ხოლო ფრინველთა გუნდი ღრმა წყალში ფრენს.
შავმწვანე ნაპრალებიდან და ხახებიდან ორთქლი ამ-
ოდის.
დროდადრო ერთი ბუჩქიდან მეორე ბუჩქისკენ
აკივლებული შიშველი ქალი გარბის.
გააუპატიურეს
თუ კივილით ლამობს
თავისი გაუპატიურების
სურვილის გამოთქმას?
რაკი სიბნელე ძლიერდება
კლანჭებში ჩირაღდანმომარჯვებული დიდი ფრინვე-
ლები ჩნდებიან
ლანდშაფტი რომ ოდნავ მაინც გაანათონ.
დაპატიუებული სტუმრები ერთმანეთს ეკითხებიან
სად მოვხვდით
და რას ნიშნავს ეს ყველაფერიო.
უფრო და უფრო ბნელდება ჰაერი.
ჰაერში მატულობს თევზების გუნდი.
წყალი პირიქით უფრო ნათდება
მიუხედავად იმისა რომ ფრინველების გუნდი
წყლის სიღრმეში სულ უფრო მრავლდება.

•
ადამიანს სურს იფილოსოფოსოს
მაგრამ ჩანგალი ეუბნება: ან შენ და ან მე.
არც ადამიანია ცუდი ოპონენტი.
იგი მოხერხებულად უსხლტება ჩანგალს.
ჩანგალი კი მაინც ახერხებს
დიდი რკალით
თავის თავზემთ მის მოსროლას.
ადამიანი თეფშების კოლონის პირისპირ მოადენს
ზღართანს.
თეფშები ნამსხვრევებად ქცევამდე ხარხარებენ.
ადამიანი წამოხტება
და ყლაპავს ჩანგალს.
აი მაშინ კი მისი თვალები
შუშის ღილებად იქცევიან
და თავიდან ცვივიან.
ბავშვები
რომლებსაც არც ადამიანები ადარდებთ
და არც ჩანგლები
ამ თვალებს
სათამაშო კენჭებივით მალავენ ჯიბეში.

თაგვები და კატები

კატისთავიანი თაგვები
და თაგვისტანიანი კატები.

რუხი ღრუბლის დიდი თაგვები.

კატა რომელსაც კუდად ეზრდება
ცოცხალი თევზი
და ჯერ ბოლომდე არ გაზრდია
ხოლო კატა მას უკვე სანსლავს
მაგრამ თევზი ისევ და ისევ
ზრდას განაგრძობს უმაღლეს ხელახლა.

კატა რომლის შუბლზეც
ბრილიანტის კოცნებით განყოფილი დიადემა ბრწყინავს
უფსკრულის
მღელვარე მკერდზე ჩამომჯდარა.

კატების თვალები ელვარედ
ელავენ.

კატები რომელთაც
ეტყობათ
ერთი მხრივ ომი სწყურიათ
მეორე მხრივ კი კარგად ხედავენ
რომ უფრო მომგებიანია

გაგუჯული ტრომბონებით
სავაჭროდ მორჩილად ხეტიალი.

მოედანზე
თავისტანიანი კატები ცეკვავენ
კატისტანიანი თავების
დაკრულზე.

სად

სად არიან ოცნებები?

ბროლის გემებზე.

სად არიან ბროლის გემები?

პირველ-იების ქვეყანაში.

სად არის პირველი იების ქვეყანა?

მეოცნებეთა გულებში.

მომზირალი

საუცხოო პროფესია აქვს
მომზირალს
კაცს რომელიც მზერაზეა
თავდავინყებით შეყვარებული.
მეზღვაურის პროფესია
ანუ იმ კაცის პროფესია ვინც ზღვას მიაპობს
ზღვაოსნის პროფესია
დასანუნი სულაც არ არის
მაგრამ მომზირლისას
ცხრა ზღვა ამორებს.
მომზირალი თავისი მზერით
არა მარტო ზღვას მიაპობს
არამედ ჰაერსაც მიწასაც ცეცხლსაც.
მომზირლის მზერა მზერებს აპობს
იგი ცაში ვარსკვლავებს კოცნის.
დღისით თუ ღამით
მისი თვალები ოცნების სიღრმეებს ეამბორებიან.
ის არ იბნევა
როცა ზღაპრის კაპიტან მანდილოსნებს
თავიანთი ზღაპრული გემებით
ნათლის ღუზები ნათლის შუქი ნათლის წერტილები
და იმედის სხივები მოაქვთ.

სამწუხაროდ არა

ვინ ვარ მე?

იქნებ უგზო-უკვლოდ გამქრალი გუგული ვარ
მარადისობიდან

სულ რაღაც წამით რომ უნდა გაჩნდეს
და გუგუ დაიძახოს?

ვინ ვარ მე?

რატომ ჯერაც არ მომხდარა

რომ ერთხელ მაინც ჩემთვის

ხელი გულიანად ჩამომერთმიოს.

ვინ ვარ მე?

იქნებ ნაგლეჯი ვარ

მამულის სისხლად მომდინარე წყეული ფერხულის?

იქნებ ქარსმიცემული უაზრობის

ზებგერითი სიჩქარის ჩქარი ფიტულის

დაფლეთილი ურჩი ჩანჩქერის ნაფლეთი ვარ?

ვინ ვარ მე?

არა მე არ ვარ სამწუხაროდ

ქალთევზას რჩეული.

Who is who

Who is who.

Where is where.

ვინ არის ვინ.

Who is who.

იცის ვინ რა.

რა არის ის.

იქნებ ქაფია.

იქნებ მოჩვენებაა.

იქნებ ლივლივია შავ ჰაერში.

სად არის ის.

ჭიპში.

პირში.

თვალში.

ის კბენს ნაკბენებს და ბზარებს

იოლად მისანვდომ ზედაპირულ წყლებში.

იქნებ გადაცმულია

და თავის თავს ველარ ცნობს

მედუზისებრ ლორწოვან მელნებში.

ან იქნებ სულაც

თვალის დახამხამებაში ჩაიქროლა.

გონს მალე მოეგება.

ვინ არის ვინ.

Who is who.

ის ზუზუნებს.

ყარყუმის ბენვით შემოსილი ბობოქრობს.

სწრაფი ვარდნით ჩაეზრდება საკუთარ თავს.

საკუთარ აბლაბუდაში ქუხს.
ის ყველა ამბებს
მაგრამ ურჩევნია ნაზი თვალები ჰქონდეს
და დაცინვით გული იჯეროს.
მას ზღაპრები აღარ გაათბობს.
აღისფერი მკბენარები სულ კბენ-კბენით იკბინებიან.

ლოცვა

ნმინდაო ნათელო
გვიხსენ ჩვენ უაზრობისგან.
გვიხსენ ჩვენ უაზრობის
უაზრო ავადმყოფობისგან.
არ კმარა
დროდადრო
ცრემლის ნვეთი
რომ ეცემა
დედამინის გახურებულ ქვას.
გვიხსენი ჩვენ
უაზრობის სუტენიორებისგან
მოზეიმე კაციჭამიებისგან
მოტრაბახე მყვირალა მაიმუნებისგან.
თავგზა აგვბნევია უაზრო ტანჯვაში.
ჩვენ ქვიშის მარადიული მგზავრები ვართ.
ჩვენ გახურებული ქვიშის
ქვეშაგებში ვბრუნავთ.
ეს სასაცილოა
ეს სატირალია
ეს ყველაფერი ჭკუიდან შეგვშლის.
ვაი ჩვენ უპოვართ უგუნურთ.
რა შეშლილობას შევუპყრივართ.

* * *

დაინყო
დიდი უსასრულო დღესასწაული.
ჩვენ ყველა
მბრწყინავ ანგელოზებად
გადავიქცით.
ჩვენი თვალები
მანათობელი ვარსკვლავებია.
ენით აუწერელია
ჩემი ათეისტი მეგობრების
გამომეტყველება.
ისინი უხარისხოდ შეღებილებს
ჰგვანან.
გაუპატიურებულებს გაკვირვებულებს
ძველი ჩვეულებით
გემრიელი მკრეხელობების ამონთხევა მონდომებიათ.
ამაოდ
ბერავენ ისინი
ლოყებს
რადგან
მათი პირიდან ამოსულ
ერთ ალელუიას
უმალ მეორე ენაცვლება.

ოცნების მარადიული ყვავილები

მინის საგიჟეთიდან
გაქცევა მონდომებია სანყალ კაცს.
ამაოდ ეძებს გამოსავალს
და ამასთან მშიერიც არის.
ღიას სრულიად არაფერი აბადია
არც ხილული არც უხილავი.

•
თუმცა მოახერხა
და მოგზაურ სულთა
შავი კარიდან
აქლემის სახით
გააღწია.
მაგრამ ამითვე ჩამოერთვა
სამოთხეში მოსახვედრად
ნემსის ყუნწში გაძვრომის უფლება.

•
მისი უკანასკნელი პურის მარცვალი
მაგიდის ქვეშ ჩავარდა.
მისი ბოლო იმედი
მაგიდის ქვეშ
უფსკრულში
შავ ვარდთან ერთად აღმოჩნდა.

•
ის დასრულებული ოვალის წინ
კედლის დაცხრილულ ფარდაზე ტირის.

•
ის კვლავ განაგრძობს

ოცნებას
მინაზე
აპოკალიფსურად
მოყვავილე
ბალნარზე

•

იქიდან უკვე
კარგად ხედავს ყველა იმ გზას
რომელიც თავისი ცხოვრების გზად
უნდა ექცია.

•

იმ თავის ნაცვლად
მხრებზე რომ ადგას
ვარსკვლავს
ისურვებდა.
თავის ნაცვლად
ვარსკვლავების
თაიგულს
ისურვებდა.

•

შეშლილები
და
გარდაცვლილები
მარად
ნორჩები
იქნებიან
როგორც
ოცნების
მარადიული ყვავილები.

ერნსტ მანინტიერი

1911-1979

ჩვენება

აქ იყო,
აი, აქ იყო მეთქი,
მეზღვაური,
ტალღებს შორის სამუდამოდ გამომწყვდეული.

მან,
ტალღებს შორის სამუდამოდ გამომწყვდეულმა,
წყალთა სარკე გამოამტვრია
და ჩვენ გვიჩვენა,
ჩვენ გვიჩვენა, წინმსწრაფ მეზღვაურთ,

ერთი მუჭა
სირუხე ფსკერის.

დაკითხვა

ქვა
დუმილით გინცობს
დაკითხვას.

ან
გამოხრწნილი
ჰო და არა-დან

მკვდრეთით აღმდგარს
ძალგის უშიშრად

გაძვრე მსგავსი შესაქმის
ყუნში.

მთვარე

ან შენ,
უნყინრად ხელჩავლებულს მაჯის სახსრებში,
გატყვევებს მთვარე
მბრწყინავი გარსით. - და

შენ არ იძვრი
და მსურველი ხარ
ლამეული სიმღერის შეთხზვის,

ვით - გუშინდელნი,
აი, ასე გარდაცვლილები.

შესაძლოდ მყუდრო

მცხოვრები სწორედ იმ სფეროზე,
რომელიც მკვდრებმა შესაძლოა ჯერაც უწყიან.
მასზე ნამდვილი, ათასფერი ყვავილების
მოელვარე დიადემა დაკიდებულა,
მოჭიდებიან მას მსუბუქად
კაკლის ტოტებიც.

და წრის შუაგულში,
მკვლელობის თავზე, მაინც არის სიესტა ბაღში,
სადმე სხვაგან კი ციგურებით სრიალიც არის,
ერთობლივი,
დახანებული, თუ არა
მყუდრო
ნათება, ერთობ
გასაოცარი.

ზამთრისეული

I

აქ, სად ნადირის
სისხლიანი კვალი მთავრდება,
სად გაბანრული მონადირე წევს
და მისი ძალღი, შავი ძალღი,
თოვლს შექცევია,
ბროლი, ჰაერში არსებული,
მზერის ძალას ანიჭებს ჩემს თვალს.

IV

ცვივა ფანტელი. და წამნამნი,
გაჯარჯლებულ,
ზეაპყრობილ თვალთა წამნამნი,
თეთრნი, მრავალნი,
თავდახსნილნი, მიმოცვივიან.

ახალი, ძველი,
ძილით ფხიზელი,
სინმინდე, - ეჰა,
დაუნდობლად
ზამთრისეული,
ტანის გამლღობი...

ბავშვთა პირებში ექცვივიან
თოვლის ფიფქები.

უბრალო შესაქმე

ჩიტის გალობა
მიმოარწევს
ტოტს
უნინარეს,
და უბრალოა
ტოტისა და გალობის
გეგმა.

იგალობებდე ამას, ამ გეგმას.
თვალთვალს დაუნყებ
იმის თვალისჭრილს,
ვინც საკუთარ თავს
აოცებს ფრიად,
თუმც,
ამავე თვალისჭრილიდან
დამშეული ნადირი ცვივა,

მგლები ცვივიან,
და ყოველი იმათგანი,
როცა გარბის,
ფლეთს საკუთარ თავს.
ამის მერე კი, აი, რა რჩება:
ბენვი, რომელიც ფრიალებს და -
შიფრების წყება.

ბავშვი

დროით სავსე გარსს
თვალს შეავლებს,
წრუპავს და ხედავს
ვეებერთელა რუხ
პეპელას,

ბავშვი,
და მიდის,
წყვდიადში
შავი ცხვრების
სამწყემსად.

იმ ჰარმონიაში

ჰერკულესი და სხვები ცურავენ
ჰარმონიაში, რომელსაც უკვე
გამოაცალა სიკვდილმა ძალაც,
მშვენიერებაც,
ხოლო ის,
რასაც ეს დღეები თავს უყრიან
ნაგავთან და ნასულელევთან,
მავანთა მიერ
მზის შუაგულში
ამოინთხევა.

ერთხელ
მტვრის მთელი ამ ბულიდან
გამოვა ბავშვი,
ამ ჯანსაღ
ტვინებს
რომელიც შეცვლის.

მინას არ ძალუძს მეტყველება

ის არ წერს დღიურს,
მინა, რომელიც, მკვდრებს და ტოტემს დაფუძნებია,
რომელსაც აკრავს წყლის სვეტები
და ნიადაგ
ნადგურცემული ფლოტი სიტყვების...

ის, დახუნძლული ლპობით, სიბნელით,
უსაყლაპავოდ უმარცვლებო,
მხოფავ ლასტების, მოგზაური გემების ქვემოთ!

ჩემს ქვეშ რამეს რომ მივწარცხებოდი?
ვფიქრობ, რომ წყვილია მისწვდებოდი,
ვით ნამხდარ აბედს
ფინიკიელი ბავშვის სამოსი,
აშვებული საძირავი,
ცდომილი ექო,
ბარბითის ნაშთი...

რომ ჩამეყვინთა?
მოვიძიებდი სანათურით და მივაგნებდი
დღიურს გემისას, თუმც,
მკვდრადყოფნის გარემოებას
ის არ განმარტავს, მხოლოდ -
დაძირვის დასაწყისისას:

ჩვენ ვიძირებით.
მინად ვიქცევით.

მორიელი

ზედმინვენით ზუსტის წინაშე
(შემეცნებასთან ერთადვე და
სინამდვილის სიყვარულითაც)
ოხუნჯობს სარკე
ზღვისა, ლითონის.
ამღვრევამდე კი, ამასთანავე,
ნაკვაღევი მოიხილება.

რაც გაქრა, გაქრა. მორიელი.
მესმოდა,
თევზს რომ ეუბნებოდა:
ჩვენ რაც გვჩხვლევტს, იგი,
ნეტავ, რააო.

მე ვხედავ ღელვას, საავდრო ღრუბლებს;
მე ვხედავ ფერფლის მი-და-მო ტრიალს.
ის ფრთა, ფრინველს რომ ამოაცალეს,
ჩაენობა სველ
ხრწნაში. ის წერს,
რაც ჩვენს მერეა.

ღამურების სტვენა

თითოეული თმის ღერი თავზე,
მაგრამ ასევე მქრქალი ლაქა,
შერჩენილი ოთახის კედელს

და მირიადი
ნისლი მტვრისა,
ამ ოთახებს მოშორებული...

მაინც რას ნიშნავს
ღამურების მიმოსტვენა,
მიმწუხრის ჟამი

ჰორიზონტს ზუსტი ვარსკვლავების
თვალებქვეშეთში
ფერფლს რომ შეაფრქვევს?

ფრინველთღრუბელი

დაისის ჟამი,
შოშიებით გაშავებული...
და, დაე, იყოს
ეს სიტყვების თამაში, მაინც
წარმოგვიდგება ჭეშმარიტებად,
ასეთია მათი შავი მიმოჭიკჭიკი,
ლაბირინთში
გაუგონარი.

ეს შემოდგომა
უნდა იყოს. ის
წარბებს იკრავს:
მოსწყდება
დასვრილ კენწეროებს
ფრინველთღრუბელი

და გეზს აიღებს
ჩრდილოეთის
აუხსნელი მიმართულებით.

ჩალის სინათლე

ნახევრად
სრულად საზრის-
მზიანი. ვისაც ჭრიჭინი

კეთილად უჩანს,
ნებისმიერი დღისმიერი
ჩალის სინათლის
ღეროებსაც იმან ჩაჰბეროს...

ნებისმიერი დღეთაგანი, და
ეს დღე ჩასცქერს
ობობას
ბუდეს, და მარტოოდენ
შენ
გაოცებს ნამდვილ-
ჩვენებით

სრულ-
ცარიელი
ქიტინები,
ძაფებით ძრული,
როცა
ასერიგ შორს-
მოსროლილი
კათხიდან
ბზარი გალავნისა
ქარს ენაფება.

შაშვი

რარიგ იცინის
ცის სირუხე, ასეთ მიმწუხრში
ბალახისა და სიჩუმის ზრდა
ხმამალაღია, ფარფატებს ჩრჩილი
და - ფურცლები ყვავილებისა,
მცენარის თესლი მოიპნევა ბილიკზე! ჰოი,

შაშვის გალობა - მაშინ, როცა
ზარმაცობს ფიქრი. და ფოთოლ-
ბნელი ნიფელი! მძიმე
ჩვენება, თითქოს ამოზრდილა
ბალახში ყელი,
და იქვე - ყბები, მომუშავე, საზარი
მხეცის. ზარმაცობს

ფიქრი (და, შესაძლოა,
თავად ღმერთი აბლაბუდაში
ჰკითხავს თავის თავს,
თუ ჰგეებს იგი, და თუ
ამაში დარწმუნდება, ღმერთი ყოფილა
იგი ასევე
პირველდროის). ზარმაცობს

ფიქრი, ჩასცქერს
უფრო და უფრო უსიერს. - სამშვინველი,
გვიან, შენთვისვე

უუმძიმესი, არ ჩაუგდო
შენი ტყვია
შაშვის გალობას. დამთავრდება
სულ მალე იგი.

ღამეული

შიგნივმბრუნავი: მწვანე
ადგილი ღამის, საითაც
ოხრვის გრძელ თოკზე
ასხმულ თავებს ვექაჩებოდი
(თქვენ, სიყვარულით აღსავსენო,
უკვე დაღუპულდროინდელნო!) და

გარეთ: ჰაერის
ბინადარნი და ბზემსუბუქად
ნათურის ირგვლივ თავმოყრილნი, ცდომილი გზებით
მორიალენი ჩემს სახესთან,
ჩემი ყურის ნიჟარასთან მოფრიალენი,
ჩემს ქუთუთოს და
ბაგეს მოხლილნი.

შემორაგვული ღამის მიერ
(გამხსენებელი თქვენი,
თქვენი,
სიყვარულით სავსენო) - ახლა

მჭახე, და-
მწვარი, გან-
ნაჭუჭებით შიგნივ-
მბრუნავი,
საითაც

ოხვრის
გრძელი თოკით
თავისქალებს ვექაჩებოდი.

თქვენ, ტიტებო, ნარგიზებო

რაკილა ვნანობ
მე ჩემს სიზმარს:
თქვენ, ტიტებო, ნარგიზებო,
გიმხელთ ამ სიზმარს:

აკლდამების თავს,
ძველი
კოშკის
კიბეზე ვიდექ,
მძარცველი ზართა,
რეკვით დროის მაუნყებლთა;

და მე მათ ქვემოთ ვუბიძგებდი,
თანხლებული ანგელოზთა მრისხანებით
და დემონთა შეძახილებით.

თქვენ, ტიტებო, ნარგიზებო,
გიმხელთ
ამ სიზმარს.

თანამდევი ვარსკვლავი

ერთი ღანვია ძონისფერი, მეორე -
თეთრი; საით
გავწიოთ, მამანო
ჩემნო, დედანო ჩემნო,
ძალს რომ მოვუხმობთ,
სამიათასი წლის წინ წარცემულს
ეგვიპტის მტვერში?

გაიღე მინა დასარწყულებლად,
შესაძენად გაიღე წყალი,
შემამკობელი ეჭვის ვარსკვლავი,
ვარსკვლავი რძის წილ და სისხლის წილ:
თანამდევი ვარსკვლავი იგი!

განმეორებულ ჟამთა კვალად,
ოდეს თითქმის აუთვლელი
ბორცვი ბორცვად მოიკვალთება,
ამოყვირებაც უმრწემესი,
აღმომხდარი გორაკქვეშ წიაღს,
ისიც ისწავლის,
რაც უწინვე იყო განცდილი:

აღსრულებულან უკვე ღმერთნი,
მაგრამ თავად აჩრდილნი მათნი
შურს ანაყრებენ?

მე ვიტყვი მოსვლას

I

დიახ, სინათლე,
სვეტად მდგომი
უფსკრულის თავზე.

მის სიბრძნეს
განა ვინ თამაშობს?
განა ვინ უწყის
სისავსე მისი შემლილობისა?

მე ვიტყვი
მოსვლას
აქ, სინათლის
ნამდვილ ლელქაშში.

II

მონეულია ეს ფორმულა
ეკლის
წვერიდან.

რაც ხელს აქამდე
მსუბუქად უჩნდა,
დამძიმდება და
დაუვარდება.

და ფესვს გაიდგამს,
ამ ადგილის
ვარდი იქნება.

ოსტატნი კი ასე იტყვიან

ოსტატნი კი ასე იტყვიან:
"გამრუდებული".

მეც ასეთი მესიზმრა
მხეცი,
სამყაროს ჯიქი,
ნახტომისკენ-ნებაშივე გაშეშებული.

ნადავლს ვერასდროს მოიპოვებს
ასეთი ხახა,
დამნაყრებელ ჩასობას ეშვის.

ის მშვიდად მიდის
სარწყულებისკენ.

ნამდვილი სუფრა

მე ნამდვილ სუფრას
მოვიპოვებ,
ფიქალწნული კედელი რომ ჩამოიშლება,

და მასზე მთას ვწერ,
ფიქალმთას ვწერ, აჩხრიალებულს.

მერცხლები მოაგვირისტებენ
მთასაც და ვაზსაც, მთაზე რომ ხარობს.

მათი ბუდეა:
ვაზიანში
უფლის მხარი,

მათხოვრის მხარი.

ქვათა სუნთქვა

დიახ, საკუთარ თავს ვინც ივინყებს,
ქვის ქვაბურიდან
გრიგალი რომ ამოვარდება.
ბობოქარი, ქარების ღმერთი;
ენა იგი: დავინყებული.

გაფლანგული და
მერე ისევ ნამემკვიდრევი,
მეტყველებაში სიცოცხლისა სიზმარზე, ტანზე...

ხოლო ისინი მეტყველებენ:
მიდმოჩხრიალედ,
ქვები - ქვებთანვე, ლიტერები -
მყიფე, ძლიერი,
ქვაბურ უფსკრულში.

და გატყორცნიან გაოცებულის
თავზემოდ,
თავად რაც არ არიან,
მოსხლეტილ სუნთქვას.

დრონი

წვიმის მერე
ვარდების ცხიმს
წვეთ-წვეთები დაჰკუნწულენ.
მიყელყელაობს
ლოკოკინა:
აქ ისეთი მოცლილობაა,
ვით აკლდამებში.

ნათლის წყალობით
ყვავილობს თოვლი.
ალისფერ ჩრდილით თანხლებული,
ვზივარ ღარტაფში.
დამატყვევა
შროშანის და ასტრის
ბაასმა.
თოვლი
ვაშლივით
გემრიელია.

* * *

სწორედ რომ დროა,
ვარდმა თითები
მძინარს ქეჩოში ჩაავლოს და
მისი სახე
სიზმრის საზარ
რიჟრაჟში ჩარგოს.

* * *

შენ, ვინც არ გიცი, შენი იყოს
ეს გამოცანა; რუხი ვარდი საკუთარ თავს
უსასრულოდ აღემატება; მე აღარ ვეძებ
არც მიგნებას და არც - ძიებას (სივრცეში
ბურთი განაგრძობს ვარდნას); შენი იყოს
მთვარე, და, დაე, ანათოს იმან, რაც არ ანათებს ("შენ"
ახლა უკვე ჩამქრალია); ასე რომ, ცაში
ლაქა კიდია (ეს მზემ
თუ იცის? ის ქალღმერთი სულაც არ არის), მაშინ,
როს ბაგე, დადუმებული, შორეთიდან
მცირეოდენ სწავლობს ჩემს ბაგეს... ახლობელი
შორებელად გადაიქცევა; შორებელი იტანჯება
სიტყვაში და არ იტანჯება; საჭიროება
ვიდრემდეა და იტანჯება.
მკვდრისთვის
სიკვდილი
მთვარე როდია.

ეტიუდები

(ამონარიდი)

*

ღამე, რომელშიც
ალმასის მთა გაბრწყინებულა,
ყვავს და ბუღბუღს კი
საქანელად უქცევით
ახალი მთვარე.

*

შენს ხელისგულზე
როდი მთავრდება
ეს უგრძესი
წვიმის ძაფები.

*

სადაც ჯვარია
ქვიშის საათი,
ფესვს იდგამს ელვა.

*

ზრუნვა: ქარივით
შემოევლება

ის თვალმოკრული
ზღვის დასალიერს,
დაუდგება
მისივ ფსკერს
აფრად.

*

ნაკლული რისად?
არც ბავშვი გეტყვის
და არც - ფრინველი.

დრო, სხვამხრივ მიზნით შეპყრობილი,
უცებ სივრციდან
გაგესიტყვება.

გვერდით ჩაგივლის
გონება
ლამაზმუხლებიანი.

*

ზღვისპირს -
სიცილი, მათ
დაიჭირეს მეტყველი თევზი.
მაგრამ ის ამბობს
იმას, რასაც ყველა გულისხმობს.

*

მოკვალთულია
ეს ქვა, რომელსაც
ჩემს ხელში ვმალავ
და მე ვიცი იმავდროულად:
მისი ვარდნის
სავალზე ვდგავარ.

*

შემოსული
მის ჭორს
შეავსებს.
აღწერით
ძველი
სივრცე
იზრდება.
ირგვლივ კი ყოვლისმომცველია
განუმარტავი,
თხემით ტერფამდე
აუცილებლის.

*

მოულოდნელად
გამოცხადდნენ,
დაბადებულნი,

რათა იმას მისალმებოდნენ,
ვინც მათ შორისვე
მყოფობდა უკვე
და ბინადრობდა.

საჭიროება
შემოიქცა
საჭიროების ქეშმარიტებად.
სიკვდილი როდი
მოვიდოდა მოსილი. თუმცა,
ის, მშვენიერი,
გამოჩნდებოდა.

მაგრამ ეს არის

მაგრამ ეს არის თავის ქალა:

ზეცა; ნაგები

სახლი კართაგან,

რომელთა მცველნი

გამოდინან-შედიან მიწყევ,

ერთურთის საპირისპიროდ:

ტყუპნი.

ერთი მცველი რომ

შავი იყოს, მეორე -

თეთრი,

და ერთი კარი

იყოს ჩემი და

შენი სიკვდილი, ყველა კარიბჭე,

ხოლო მეორე -

შენი და ჩემი სიცოცხლე, ყველა

კარიბჭე: აი,

ეს წესრიგი

მინდობილია

უქუთუთოდ უგონო

უფალს,

არა ცეცხლოვან

მარადიულ

თვალს

მის ღამეში,

გამოქვაბულში,

რომელსაც რძის და
ფერფლის სუნი აქვს, და სადაც ვსუნთქავ
მთელი არსებით.

სივრცე.
სიმშვიდე
და ფორიაქი.
სივრცე კი არის ციხედარბაზი,
სივრცე მორიგი
სივრცის კარია,
გასაღებების ასხმა ჟრარუნებს დაუსრულებლად
მღელვარების თავს,

და შემოვივლებ
დროის უეჭველ
სიზმრებში
ყელზე
აღკაზმულობას,
ძვირფასი ქვების ბნელ ელვარებას,
სიკვდილს ყველა ჩვენთაგანისას,

რამეთუ აკი მაინც ჰგებებს
სახლში მალულად
ხრწნაც,
მათხოვრობაც,
დარჩენისთვის
სიღარიბით და მხურვალეობით ნიშანდებული,
ჟღერადობა
გახვრეტილ ხორხში.

ამ ადგილებში

შორს დარჩენილა ელევსისი, აკვამლული,
მტვრით დაფარული,
გარეადგილი...

თუმცა, ამ ადგილებს სწორედ იქიდან
მოვლენოდეს თითქოსდა იგი,
ჭექა-ქუხილი,

იმგვარად დაჰქმენს
ირგვლივ აშენბერგს,
და როგორც ყინულს,
სტყორცნის თავის
მჭექარე ისრებს,
და დააჩენენ ელვარებანი
ალაგს მოდებულ სარეველა უფერულ ბალახს,
რომლის სურნელიც, უმცაფესი, ტვინამდე გწვდება...

და ზედმინევნით გიჩვენებენ
ცეცხლნი ცისანი
ტყავს ცხოველისას, მიმოჭმუჭნულს,
გულისამრევად დაბუნუნებულს,
ვიდრე ბრძანებდეს მეხთატეხა:

შემოიქეც და
მისტოა აჩრდილნი
გამოიხმე ელევსისიდან!

* * *

აზროვნება, ზურმუხტისფერი
ან უფერული: ძაფი
ძვლებზეა დახვეული,
ეს ყოველი
შორიდან მოდის.

მაგრამ ხანდახან
თავს დავალწევ ადამიანებს
და,
გარიჟრაჟზე უნინარეს,
მივაყურადებ
ხაფ ხმებს
პირველი დედამინის
უსასოოდ უსუსური
ცხოველებისა.

მსურს გავიხსენო
სწორედ სანყისი
მე, ამ დაბნეულ,
ნაგვიანევ ჟამზე მოსულმა,
მცოდნემ იმისა,
რომ იქ, სადაც მე ვსახლობ ახლა,
ერთ დროს ზღვა იყო.

ძველი მოტივი

ფითრის ფერი აქვს
კუბოს ფიცარს
სავსე მთვარის ქვეშ,
შეფოთლილი ხეების ირგვლივ.
ჩემს ოთახში კი დარიალებს
ქარის სურნელი, და კმაყოფილი
ვიქნები, მაღლა,
აუჩქარები ბურთების ირგვლივ,
მქრქალი ნათებით,
თავაზიანად თანამგზავრი
ღრუბელი რომ გამოჩნდებოდეს.

ეტიუდი

სარკმლიდან
ვგზავნი
ბნელ გონებას,
მიდამოსთან
სალაპარაკოდ.

მეტყველება და დუმილი

საპირისპიროდ
ჩემდა ჰგეებს დუმილი
ქვისა: ამიტომაც
ვნერ
ლამის წინ ხმოვანს,

და ერთი ამბობს:
მძულს
მეტყველება,
ამიტომ ვდუმვარ,
მე არავისთან ვლაპარაკობ,
თვით ჩემივე თავთანაც - არა,

მთვარემ
ანათოს
ძველი
ფიგურა

(რომელმაც იცის,
აქედან
როდის გავემგზავრები).

ადამიანთა სიმღერა

რაკი არ ძალმიძს, სამნუხაროდ,
ასეთი დავრჩე,
მსურს, სიყვარულში
გონივრულად გავერთიანდე.

მე მსურს, გავიგო,
რაც უკვე მოხდა;
აბა, შეხედე: მნათობიც და
იერსახეც საკმარისად მოიძიება.

საიმედოობა

როცა ფრინველის
თითოეული, ზამთრისმიერი, ბუმბულის ღერო
მეორეს არის მინდობილი მთელი ზამთარი, -
კარგად იცნობენ ერთმანეთს ფრთები,
გამართულნი ფრენის შეგრძნებით.

ჩვენ წყვილი ფრთით და
ბუმბულით და ღინღლით გავფრინდით
სისუსტის მიღმა.

* * *

აქ - როგორ ვცხოვრობ
აქ ასე დიდხანს,
ცით დასაზღვრული,
ელვარე გარსით,
უგუნურებას
რომ აღვივებს
მთელ ზედაპირზე.

არა ადგილი ამალღებული.
მინიერი,
უფსკრულთუფსკრულში
იღვწის ვარსკვლავი.

როგორ ბრუნავს და
როგორ ტრიალებს,
დამდგარან და შესცქერიან
მცირე ხნის წინ მცირეოდენ განაოცი
ჩემი თვალები.

* * *

ზეცა
ჰგიებს ძირითადად
(ღმერთები - არა),
მაგრამ, აი, ეს უბედობა -
შესაძლებლის ვარსკვლავი -
ჰგიებს.

* * *

განა შენ გადაევლებოდი
ლამაზსახელა
ამ მთას,
მორწმუნევ
ამოუცნობის (როგორც ისინი
უხმობდნენ ამას)?

მჭვრეტი სისუსტის
ძვლების ძალა
ნაუნყებია
შენთვის ნამდვილის იგივესგან,
ყოველგანვე
განუ-
წყვეტლისგან.

სწორედ ამიტომ,
შენ აღმაცერ სინათლეში,
არსად წამსვლელ
ალაგზე
რჩები.

* * *

შუადღე, დიდი
მიდმოხმაური.

დაე,
ეს დრო ეკუთვნოდეთ
ჭრიჭინობელებს.
მათ აქვთ
ზღაპრულად
ჩუმი შტრიხი,
თავისთავადი,
ჭრიჭინობელებს!

* * *

იალ-კიალი,
ბრწყენის თვითთხრობა,
ქართრხეული ფოთლის წყალობით.

დგება საღამო,
მე კი ამ დროს,
ადამიანთა შორის ტანჯული,
მი-და-მო
დავალ.

* * *

მოვანესრიგებ ჩემს სანოლს
დროში,
მის სიმწვანეში,
მისივე თოვლში.

მე მადნობს
თოვლი; მევე მღებავს
სიმწვანე
თეთრად.

* * *

ჩემივ სანოღში,
ღამით,
ვარსკვლავზე,
რომლის ქროღვასაც
ვერ ვხეღავ თვალით,
ჩემი ოთახის
უნყინარ ბნელში,
ვერღასაგონ
გულისცემაზე
ხელღაკრეფიღი,
მაინც მივქრივარ -
სახლში მყოფი -
ამ სისხლიან სინყვღიადეში.

* * *

ცისარტყელა -
ჩამობინდული,
აი, სიძველე
აღახელს თვალებს,

მზერას შეავლებს
თავისუფალ, უსაზღვრო სივრცეს
და გგზავნის მისი

შესაძლებელი კიდეგანისკენ,
სადაც
ობრვაა
ყოველი სულის.

* * *

თაღში,
წარუვალ ნათებაში,
უფსკრული, ზეცა
იშვიათ მინას რომლითაც აკრავს,

შესაძლოა თავი იჩინოს
ბზარმა, ლიობმა, საიდანაც
მიღმიერი სიშავე
ჟონავს: საზარ-ეთერი.

* * *

ზეცისმიერი:
გულწრფელობა,
მენაკი იგი
ურჩხულებრივში,
რომლისგანაც ოსტატები
ფლობენ რიცხვის და
ურიცხვის ცოდნას.

ნარმომავლობა,
მაუწყე იგი;
საიდან არის
გულისგული,
შენ ეს მაუწყე...

ეს მაუწყე
სასრულობასთან
შემომკრთალ კიდეს.

* * *

ბოლოს
ორიდან
ერთი დასძენს:
მე
შეგეთვისე
შენივე მიტოვებულობაში.
ბოლოს
ორიდან
მეორე დასძენს:
ნახე, ყოველი, რაც ახლოს არის,
რარიგ შორს არის,
რარიგ შორს არის.

* * *

ზღვის კიდეზე,
ჰორიზონტით მოხაზული -
"კიდესთან", ჰგიებს
ეს სადღაც სხვაგან.

კიდესთან:
ბოლო გაჩერება თითოეულის.

ოჰ, ასე ითქმის!

ჩემს
თვალწინ არის
გორაკი და
მონაკვეთი
გორაკის ირგვლივ...

აი,
ინებე
უაზრობის ეს ყვავილი
კიდიდან გზისა.

* * *

ის, ტანი,
შრომას მიცემული,
არა სიზმარი
და სიზმარია.

შეავლე თვალი,
არაქაურს,
რომ
შეაკავო

და გაგაჩნდეს,
ახლობელი,
აქ,
უსაზღვროსთან სიახლოვეში.

* * *

აქ,
მოკაკვეული,
ორ არარსს შორის,
ვამბობ სიყვარულს.
აქ,
ბზრიალაზე შემთხვევითობის,
ვამბობ სიყვარულს.
აქ, დათრგუნული
ფუტურო ცვებით,
დედამინის
ჩალის ღერებს მოჭიდებული,
აქ, გაჩენილი
ტანჯვა-ნამებით,
ხრამთა
და ხრამთა ჩასახული,
ვამბობ სიყვარულს.

* * *

მეხსიერება, დანერილი
განმეორებით:

აკი, გითხარი
მრავალი წლის წინ,
რომ შევხვდებოდით
ისევ ერთმანეთს
გაურითმავში,
სადაც ტკივილი,
მინის ქერქზე არსებული,
იქცეოდა ბედნიერებად.

ეს, სიყვარული
კიდევ ერთხელ, ხოლო მერე,
როგორც წესი,
აღარასოდეს.

ბაგემდუმარედ
დროთა მერე
უპირობო
აღიარება.

* * *

მე ვერ გავიგებ,
თუ რაა მინა,
როცა მინად
გადავიქცევი.

მაშ, სიცოცხლეა
ყველაფერი,
სფეროებში
შემეცნების ხმოვანებაა.

* * *

ყოფიერებად ნოდებულ
ამ ხატს
მამად უვის
უფსკრულთუფსკრული.

დედას კი,
ერთობ გაბრწყინებულს,
გვრინი ჰქვია,
აქაც და იქაც.

გამოხსნილნი ვართ
არარას მიერ,
და არარაა
ის, რაც ჩვენ გვრჩება.

* * *

ერთმა,
ერთმა მასწავლებელმა,
ჯოხი დაჰკრა სანერ მაგიდას:

კვდომა, ეს არის
გრამატიკა!

მე გავიცინე.

სხეული
სიტყვით აღიქვი და სიტყვა –
სხეულით.

მე გავიცინე.

სული აღმომხდა.

გრეგორ ლაშენისთვის

* * *

შენ, მინაო, აღსავსეო თავისქალებით,
რას ვამბობ მე და ეს - თქმა -
რა არის?

სწორედ სიკვდილის ანგარიშია,
რაც უფლებების ძიებას ხდის
აუცილებელს.

უცნაურია ეს ყველაფერი,
და არსებობს
მადლიერება.

კაულ ცელანი

1920-1970

* * *

უფლება გაქვს, თოვლით
მშვიდად გამიმასპინძლდე:
ყოველთვის, როცა თუთის მხარდამხარ
განველიდი ზაფხულს,
ისმოდა მისი უკანასკნელი
ფოთლის ყვირილი.

* * *

არდასიზმრულის მიერ ნადევნი,
თხრის დაუძინრად გზისგამლევნი პურისქვეყანა
მთას სიცოცხლისას.

შენ მისი პურის რბილობიდან
ახლად გამოსრეს ჩვენს სახელებს,
რომლებსაც მე,
შენი
თვალის ალი-კვალი თვითეულ თითზე,
ვუსინჯავ
ადგილს, რომლის გავლითაც
შემიძლია ვიფხიზლო შენსკენ
ნათელ
შიმშილის კელაპტრით პირში.

* * *

კარის ღრეჩოში
ორნატებში ზეციური მონეტისა
შენ ტენი სიტყვას,
რომელიც მე მოვაშანდაკე,
მოცახცახე ჩემი მუშტებით
როცა ჩვენს თავზე სახურავი
ავამტვრიე, კრამიტ-კრამიტ,
მარცვალ-მარცვალ, იქ, მაღლივ, სილატაკის-
ნაჭუჭის სპილენძისებრ-
ციალის
გამო.

* * *

მდინარეებში ჩრდილოეთით მერმისისა
მე ვაგდებ ბადეს, შენ
დაყოვნებით რომ ამძიმებ
ქვათა მიერ წერილ
ჩრდილებით.

* * *

შენი გვიანი სახის წინაშე,
მარტოდმარტო-
მოარული შორის
ჩემდაც შემცვლელ ღამეთა,
მოვიდა რაღაც დასარჩენად,
რაც ერთხელ უკვე ჩვენთან იყო,
ფიქრის მიერ არ-
შეხებული.

* * *

დარდსწრაფნი განმჭოლ,
ჭრილობათა
მოელვარე სარკესთან ჩავლით:
აჰა, სიცოცხლის
ორმოცი ხე დაცურდება, ქერქშემოცლილი.

ეულო აღმა-
მცურავო ქალო, შენ
ითვლი ყველას, თითოეულ მათგანს
ეხები.

* * *

რიცხვები, ნნული
ხატებთან ხვედრის
და უკუ-
ხვედრის.

ზედ შეგდებული
თავის ქალა, რომლის
უძილო ძილისპირ მიმო-
ხლილი ჩაქუჩი
მსოფლიო რიტმით
განადიდებს ამ ყოველივეს.

* * *

სავალნი შენი ხელის მტევნის
ჩრდილთ-ნამსხვრევებში.

ოთხ-თითიანი-ორნატიდან
აღმოვთხრი ჩემთვის
გაქვავებულ ლოცვა-კურთხევას.

* * *

იდგე, ჩრდილში
ჭრილობისა ჰაერსა შინა.

იდგე-არვის-თვის-და-არაფრის-თვის.
შეუცნობი,
შენთვისვე
მხოლოდ.

ყოველივეთი, სივრცე რაშიც მოიპოვება,
თუნდაც
უენოდ.

* * *

სიფხიზლის მიერ დაჩხვერილი შენი სიზმარი.
თორმეტჯერადი ხრახ-
ნულით მისივ
რქას ჩანაჭდევი
სიტყვის ბეჭედი.

უკანასკნელი შეჯახება, მისგან მართული.

ფრი-
ალო, ვინრო
დღისხეობაში ბიძგმიცემული
ბორანი აღმით:

ის გამონვლილვითნაკითხულის
გადამტანია.

* * *

დაფთამზეები,
ლეგაშავი უდაბნოს თავზე.
ხე-
მაღალი აზრი
იკრებს სინათლის ბგერას: ჰგებენ
ჯერაც სიმღერები სასიმღეროდ იმიერ
კაცთა.

* * *

სიტყვის ნატანი, ვულკანური,
ზღვის ყაშყაშით გარემოცული.

ზემორე
მასა მონიალვრე
უბადრუკთა ნაშიერთა: მან
ალამი ააფრიალა - ხატის და ასლის
დროებაში ქედმაღლური გადაჯვარება.

ვიდრე შენ სიტყვის მთვარეს გარე-
ტყორცნი, იქიდან
მიქცევას უმზერს სასწაული
და გულის-
მსგავსი კრატერი
შობს და შიშველია დასაწყისთა,
მეფურ-
არსთა ხილულსაქმნელად.

* * *

გზამოშანთული
შენი ენის ელვარე ქარით
ჭრელი უბნობა და-
თმენილის - ას-
ენისწვერა ჩემი-
ლექსი, ეს არალექსი.

ამო-
ბურღული,
თავისუფლად
გზა კაცთაგანის-
სახოვან თოვლში,
მონანიეთოვლში, მიმართ
სტუმართმოყვარე
ოთახთა და მაგიდათა, ყინულოვანთა.

ღრმად
ჟამთაბზარში,
ფიჭაყინულის
თანაერთ
იცდის, სუნთქვისბროლი,
უეჭველი შენი
სამხილი.

COAGULA

აგრეთვე შენი
ჭრილობა, ვარდო.

და რქების შუქი იმავ შენი
რუმინული კამეჩებისა
ვარსკვლავის ნაცვლად
ქვიშასაგებ-ზე,
მეტყველ, ალისფერ-
ფერფლისამებრძლიერ
კოლბა-ში.

* * *

პასექის კვამლი, მალლამსრბოლი, შიგან ნაგზევით
ასოთამსგავსად
კლაკნილი ღერძის.

(არასოდეს ყოფილა ზეცა,
თუმცა ზღვა არის ჯერაც, ცაცხლოვანმენამული,
ზღვა.)

ჩვენ აქ ვართ, ჩვენვე,
გამოლწევით მოხარულნი, კარვის წინარე,
სადაც შენ თანამოყარიბე ენით აცხოვდი
პურს უდაბნოთა.

მზერის კიდეზე: ცეკვა
ორი ორლესულის,
გულისჩრდილის ბაგირსა ზედა.

ქვეშით კი ბუდე, მოწნული
აზრთა-
ბოლოებით - რომელ
სიღრმეში?

იქვე: გროშები მარადისობის,
დახრული, ჩვენდა
ყულფის გამნჭოლ შემონთხეული.

ჩქამი ქვიშისა სამი, სამი
მორიელი:
სტუმარხალხი, ჩვენთან ერთად
ერთ ნავსა შიდა.

* * *

ქუხილი: თავად
ჭეშმარიტებამ
შეაბიჯა
კაცთა შორის,
მეტაფორათქარბუქის
შუაგულ.

* * *

ლიხტენბერგისგან ნამემკვიდრევი
ხელსახოცი თორმეტი, სუფრა -
პლანეტებისგან დღეგრძელობა
ენის კოშკების, ირგვლივ
მკედრისებურდადუმებულ ნიშანთ-
ზონაში.

ყოფნისადმისდა

- არა ჰგებებს ზეცა, არც
მინა, და ორივ
ხსოვნა ჩამქრალია
ვიდრემდე იმავ
იფანსმინდობილ სინეგოგამდე -,

მისადვემყოფი,
ქალაქყრილით თავმოყრილი
თეთრი კომეტა.

ნაპრალი ხმისა, მისი
მფარველი,
ყოველივეში.

ძონისფერადდაკარგული
აზრთა-
დაფისა. ხმამაღლივ-

ქმნილნი მოთქმანი
ამის ზემორე, მოთქმა
ქვემორე ამის - ვისი
ხმა იგი?

ამითვე - ნულა იკითხავ,
თუ სად -
რომ ვყოფილიყავ თითქმის -
ნუ იტყვი სად, როდის, კვლავაც.

GIVE THE WORD

ტვინში ნაცემი - სანახევროდ? იქნებ, სამი მეოთხედით? -,
გასცემ, ბინდიდან თავდახსნილი, პაროლებს - ამათ:

"თათართისრები".

"ხელოვნური პიურე".

"სუნთქვა".

მეცხადებიან ერთიანად, არ მოაკლდება არა კაცი და
არა ქალი.
(თვით სიბმეტყველნიც აქ არიან და წინასწარბილებიც -
აქვე.)

მეცხადება ადამიანი.

ცრემლი შენს გვერდით, დედამინისვაშლისსიდიდე,
განმჭოლნახმაურ, განმჭოლნამგზავრ
პასუხის მიერ,

პასუხისა,

პასუხისა.

გახვრეტილი განმჭოლ - ვის მიერ?

"ხდება", შენ ამბობ,

"ხდება",

"ხდება".

ჩუმი კეთრი გწყდება სასიდან
და შენი ენის წვერი ნათელს მოიკრებს,
ნათელს.

LYON, LES ARCHERS

რკინისისარი, მონვართული,
აგურის ნიშში:
მომიჯნავე-ათასწლეული
გარეშექმნილა, უძლეველი,
უთვალთვალეbs
შენს მეგ ზურ თვალეbs,

ამიერ,
ნილნაყარი მზერებით,
აღვიძებ იმას, მომიჯნავე ვინც არის შენი,
იგი ხდება უმძიმესი,
უმძიმესი,

და შენც, ყველაფრით,
რაც გარეშედ ქცეულა შენში,
ხდები გარეშე,
სიღრმისეული,

ის ერთი
ლარი
ჭიმავს კუთვნილ ტკივილს თქვენს ქვემოთ,

მიზანი, უკვლოდ განმქვრეული,
ელვარეbs, მშვილდი.

* * *

შენ იყავი ჩემი სიკვდილი:
შემედლო შენი შეკავება,
მისხლტებოდა როცა ყოველი.

ირლანდიური

მომეც უფლება, განვლო
ხორბლის საფეხურები შენი ძილისკენ,
უფლება - განვლო
ძილის გზანვრილი,
უფლება - ტორფის დატეხვა შევძლო
ციცაბოზე გულისა,
ხვალვე.

* * *

ნამი. ხოლო მე შენთან ვინეჟ, შენ, ნაგავში,
მონამქრული მთვარე
უხვად გვაყრიდა პასუხს,

ჩვენ ერთურთს განვენამცეცებოდით,
კვლავ ერთ კოშტად ვიკვროდით მერე.

ღმერთმა გატეხა პური,
პურმა გატეხა ღმერთი.

* * *

ძალაუფლების, ძლიერების სამეუფონი.

მიღმა, ბამბუკში:
მყეფავი კეთრი, სიმფონიური.

ვინსენტისგან ნაჩუქარმა
ყურმა
მიზანს უნია უკვე.

* * *

მიაჭენებდა ღამე, ის კი გონს მოსულიყო,
ხოლო მის დროშად ქცეულიყო ობლის ფარაჯა,

არავითარი მცდარი გეზი,
უშეცდომო იყო უკვე მისი ჭენება -

რალაც ისეთი, რალაც ისეთი, თითქოს კვიდოში
ფორთოხლები იზრდებიანო,
თითქოს არ ცმოდა არაფერი გაჭენებულს,
გარეშე მისი,
დედის მუცლიდან მოყოლილი, სა-
იდუმლოდდახალული
პირველი
კანის.

ჰანს მარტუს
ინცენსპერგერი
დ. 1929

უტოპია

ძლიერებით აღსავსე დღე მხრებში იშლება
და ბრჭყალებით მიმოფლეთს ღრუბლებს.
მერძევე თავის სარძევე სონატებს
არაკუნებს: საქმროები ექსკალატორებით
ზეცისკენ მიდიან: ველურად მძლავრად
დააქნევენ შავ და თეთრ ქუდებს.
ფუტკრები გაფიცულან. რწმუნებულები
ღრუბლების გავლით ყირაზე დგებიან,
სამერცხულიდან რომის პაპები ჟღურტულევენ.
ყველგან გულაჩუყება და დაცინვა და
აღტაცება გამეფებულა. იალქნიან გემებს
შედგენილი ბალანსებით კრავენ.
კანცლერი მანანნალასთან კოჭს აგორებს
და ფსონად საიდუმლო ფონდს ჩამოდის. სიყვარული
პოლიციის მიერ ნებადართულია,
გამოცხადებულია ამნისტია
სიმართლის მთქმელთათვის.
ხაბაზები მუსიკოსებს ფუნთუშებს
ჩუქნიან. მჭედლები

რკინის ჯვრებით ნალავენ
ვირებს. როგორც ამბობს,
უხუვლია ბედნიერებას და ლომივით ბრდღვინავს.
მევახშენი, ვაშლის ყვავილით
და ბოლოკით შემკულნი,
გაქვავებულან. ხრეშად მიმოფშვნილნი,
ისინი შადრევნებს და ბალებს რთავენ.
ცაში ყველგან საჰაერო ბურთები ადიან,
სალაღობო ფლოტი გასასვლელად უკვე მზად არის:
აბა, ადით, მერძევეებო,
სასიძოებო და მანანნალებო,
გასწით! ძლიერებით აღსავსე
დღე
მხრებში იშლება.

მგლების დაცვა კრავებისგან

ძერამ კესანე ცოხნოს, არა?
ტურას რას სთხოვთ,
ტყავი გაიძროს, მგელს? რომ
კბილი თავად დაიძროს?
პოლიტრუკებს და პაპებს
რას უწუნებთ?
ბრიყვულად თვალეზაქაჩულები რას მიმტერებხართ
ცრუპენტელა ეკრანს?

განა, ვინ უკერებს გენერალს
შარვალზე სისხლიან ლამპასებს? ვინ
უმზადებს მევახშეს ყვერულს?
ვინ იკიდებს თავმომწონედ თუნუქის ჯვარს
მოზუყბუყე ფაშვზე? ვინ
იღებს ხელის გროშს, ვერცხლის ფულს,
მაყუთს, რომ მოკეტოს? აკი,
ბევრია გაქურდული, ქურდი კი ცოტა; განა, ვინ
უკრავს მათ ტაშს, ვინ
იბნევს სამკერდე ნიშნებს, ან
ტყუილი განა ვის სწყურია?

სარკეში ჩაიხედეთ: ლაჩრებო,
სიმართლის სიმძიმით დადედლებულებო,
სწავლის უარმყოფლებო, მგლებისთვის
აზროვნების გადამლოცველებო,
თქვენი უძვირფასესი სამკაული საცხვირე რგოლია,

ყეყეჩებზე გათვლილი სიცრუე, იაფფასიანი
ნუგეში, ნებისმიერი გამომძალველობა
თქვენთვის ჯერ ცოტაა.

თქვენ, კრავებო, დები არიან,
თქვენთან შედარებით, ყრანტალა ყვავები:
თვალეbs თხრით ერთმანეთს.
ძმობა სუფევს,
თუ სუფევს, მგლებს შორის:
ისინი ხროვებად დადიან.

დიდება ყაჩალებს: თქვენ კი,
თქვენივე გასაუპატიურებლად მიმპატიჟებლებო,
თქვენვე მიეგდებით ხოლმე მორჩილების
შმორიან სანოლზე. ნკმუტუნებთ და
ამ დროსაც ცრუობთ. თქვენ გსურთ,
რომ გჯიჯგნონ. თქვენ
ვერ შეცვლით ქვეყნიერებას.

ქვეყნის ენა

*stendebat namque varium iracundum iniustum
inconstantem, eundem exorabilem clementem
misericordem, gloriosum excelsum humilem,
ferocem fugacemque et omnia pariter.*

Plinius, Hist. nat. CCCV, CCCVI.

რა დამიკარგავს აქ,
ქვეყანაში, სადაც უწყინრად
მომავლინეს ჩემმა მშობლებმა?
ვარ მკვიდრი, თუმცა უნუგეშო,
მიმოკარგული,
ადგილობრივი ამ საამო უბედობაში,
თვითკმაყოფილ, ლამაზ ხაროში.

რა გამაჩნია მე აქ? ანდა, რა დამკარგვია
ამ სასაკლაო ველზე, ზღაპრულ ამ სალორეში,
სადაც ყველა და ყველაფერი აღმავალი, მაგრამ არა
წინმავალია,
სად მოყირჭებას საიმედოდ დაუდევს ბინა,
დელიკატესით მოვაჭრეთა მაღაზიებში ცარცივით
თეთრი სიღარიბე
ხრინწიანად სადაც ხრიალებს და შედღვებილი
ნალებიდან ამოიბლავლებს:
ყველაფერი აღმავალია!
სადაც ღარიბი მდიდრებისგან რაღაც ერთი მოგების
იქით სხვები - მდიდარი ღარიბები -

თავ-თავიანთ კინოსკამებს აღტაცებით აცამტვერებენ,
აქ დაცემიდან დაცემამდე ყველაფერი აღმავალია,
გადასახადთა ბალანსი სადაც იგალობებს ოსანას და
ნეტარ არიან-ს
და ბლავის: არა, საკმარისი სულაც არ არის
თავისუფალი დროის ქროლვა და გაქანება
თვალშეუვლები,
ეს უმცირესი ზარალია, ნახევარია,
არაფერს ნიშნავს, საკმარისი სულაც არ არის,
ყველგან და ყველგან რომ დაძრწიან სატარიფე
პარტნიორები
და იღერებენ დაბერილ მუშტებს და მოილხენენ
და მღერიან და ასე ამბობენ:
აქ ყველაფერი აღმავალია,
ჩინებულია მართლაც აქ ყოფნა,
აქ ხომ უკუსვლაც აღმავალია,
ერთი მმართველი აქ მეორე მმართველ ბატონს
ლოცვანით ბომბავს,
მსუბუქად დაშავებულები ანარმოებენ ომს მძიმედ
დაზარალებულებთან,
რასაც აქ ჰქვია უმოწყალო სათნოება ერთურთის
მიმართ,

და ეს მცირედი ბოროტებაა,
ეს არ მაკვირვებს,
მუშტრები ამას ეგუებოიან,
სწორედ აქ, სადაც ერთი ხელი მეორეს იძენს,
გულზე დავიდოთ ხელი, ჩვენ აქ თავი ქუდში გვაქვს,

აქ დავემკვიდროთ,
ამ არიულ ჯართის გროვაზე,
ამ მოღრჭიალე მანქანსადგომზე,
სადაც ნანგრევებს ნანგრევები ამოეზრდებათ,
ახალთახლები, ნანგრევები მარაგად და განვადებიტაც,
გამონწერიტაც, ჩამონწერიტაც:

დიდებულია მართლაც აქყოფნა,
მოხმარებულ მომხმარებელს,
რაც მცირედი ბოროტებაა,
სადაც თმა სცვივა,
გოფრირებული მუყაოთი და ცელოფნით სადაც
დაუფარავს წარმატებული თავისი თავი,
სადაც იგი, არარსებული, ორმოდან ყვირის:
აქ დავემკვიდროთ,

მკვლელთა ორმოში,
აქ, სადაც კედლის კალენდარი, სიჩქარისგან და
უმწეობისგან, თვითვე იფურცვლის
და სადაც ნაგვის ბუნკერებში ნამყო ფუვდება,
ხოლო მერმისი აკრაჭუნებს პროთეზის კბილებს,
ამის მიზეზი ის არის, რომ ყველაფერი აღმავალია,
ჩვენ ყველაფრისთვის მათეთრებელს ვიყენებთ ჭარბად,
და ეს ისეთი ჩვეულებრივი საქმეა, რომ სულ არ
მაკვირვებს,

ჩვენ ოქროს კვეთის სიზუსტით ვწვეართ
აქ, პოზიტივი სადაც აღწევს უმაღლეს ნიშნულს,

და ის სავაჭრო პალატების არის სუდარა,
მინა-ჯავშნის ქვეშ მოთავსებულს დასაკრძალად
მიასვენებენ,

სადაც, ბრმებს შორის, თავს კარგად ვგრძნობთ,
სადაც სავაჭრო ცენტრები და მორგები და იარაღის
საწყობები ჩვენი სახლია,
და ეს როდია ყველაფერი, ეს ხომ მხოლოდ ნახევარია,
ეს განზრახ დაკონსერვებული უდაბური ადგილებია,
წარმატებული სიშლეგია, ეს არის ცეკვა
გაცრეცილი წაუღას ქურქით, დამტვრეული მუხლებით
ცეკვა,
ამნეზიის მარადიული გაზაფხულის ჟამს,

ეს სხვა ქვეყნებზე ბევრად უფრო სხვა ქვეყანაა,
მე ამას ვნანობ, და რომ ვნანობ,
უმცირესი ბოროტებაა, რადგან სიმართლე ის არის
მხოლოდ,
რასაც ამ ქვეყნის მსხვერპლად ქცეული, ჩვეულებრივი
მკვდარი ხალხი
ქვესკნელიდან ამოიყვინებს, რაღაც უხმოს და
წარუმატებელს,
რაც ხმაგაუმტარ საფარს აწვება ქვემოდან და
დაფარავს და სწრაფად მუქდება,
დალაქავდება, დასველდება და გუბურად გადაიქცევა,
და ეს სავსებით ჩვეულებრივი გუბურაა ის, რაც მას
ტბორავს,

სახლის სულელებსაც დატბორავს და
ძმები გრიმების ლომჩიტასაც, ნაირბენვასაც
და მათ მშვენიერ რაპუნცელსაც, აქ ისინი აღარ არიან,
არც ქალაქები არსებობს უკვე, აღარც თევზები,
ამ გუბეში ამოიხრჩო ეს ყველაფერი,

სამსახურსა და საცხოვრის შორის ხანგრძლივ სავალს
შეტოვებული, მუყაითი და დაუცველი
ჩემი ძმებივით,
რარიგ განვიცდი მათ ბედს, ღვთისმოსავ ამ
მართლმსაჯულთა ბედსაც განვიცდი,
გაზისკაცების გამოც ვნუხვარ, მერე როგორ
დააბოტებენ ბევრნი და ბევრნი,
დასაპლომბი ხელსაწყობით, მძიმე-მძიმე ნაბიჯებით,
არარსებული ჩექმებით და უფსკრულის გავლით,
კეფაში მტკიცედ ჩაჭედდელიდამლით, თანახმად
განანესისა:

რომ ყოფილიყო ეს ხალხი მსგავსი სხვა ხალხებისა,
სულ სხვა, სავსებით ჩვეულებრივი იქნებოდა ეს
ქვეყანაც

და არა - ღამის და ნისლის მხარე,
არარსებულით გადავსებული,

მათ არ იციან, ვინ არიან, არც სურთ იცოდნენ,
ამ ქვეყნად მოხვდნენ
ამ ქვეყნიდან გაქცეულები
და გაქცეულნი უნდა იყონ კუბოს კარამდე:

რომ ყოფილიყო სხვაგვარად, მაშინ მათი შველაც
იქნებოდა შესაძლებელი,
იქნებოდა რჩევებიც და შინაგანი კმაყოფილებაც,
არ იქნებოდა ეს ყამირი, მტრული ქვეყანა!

რა დამიკარგავს აქ, რას ვეძიებ
და ვიჩიქნები ამ დაუდგარ და ბნელ გორგალში
ერთმანეთში გახლართული ორთაბრძოლის იარაღების,
ტკბობის ნიშნების,
ქუდში გასარჭობ ფრთებისა და სეზონური
ფასდაკლებების, განა რას ვპოვებ,
თუ არა ისევ ქრონიკულად, ქრონოლოგურად
მონქსრიგებულ სპორტულ დარბაზებს,
თუ არა საქმის მწარმოებლებს კაცობრივისთვის
ყაზარმებში ყაზარმების ყაზარმებისთვის:

რა მესაქმება აქ? რა უნდა ვთქვა?
რომელ ენაზე? ვის გასაგონად?
აქ არჩევანი დანასავით მესობა გულში,
ვნანობ, და ვიცი, ეს მცირედი ბოროტებაა,
და ის ყვირის და აღარ წყვეტს ყვირილს,
ცისკენ მიიწევს მცირე-მცირე შეყვირებებად,
უნდა, რომ უფრო დიდი ჩანდეს, ვიდრე არის
სინამდვილეში,
მაგრამ ეს მთელი სულაც არ არის;
მხოლოდ დ და მხოლოდ შემზარავი ნახევარია,
ეს საკმარისი არ არის ჯერაც:

რადგან შიმშილით ცოფშეყრილი ეს ქვეყანა
თავად ითხრის გამრჯედ სამარეს,
ეს ქვეყანა თავის თავს თვითვე გამოყოფია,
გული, შიგნიდან განწვალული და დარღვეული,
მინყივ უაზროდ მოწიკნიკე, ბომბი ხორცისა,
ჭრილობა სველი, არარსებული:

გერმანეთი, ჩემი ქვეყანა, უწმინდური გული ამ ხალხთა,
საკმაოდ სახელშელახული, ჟამით ჟამამდე,
ჩვეულებრივი ყველა ხალხის წარმოდგენაში:

მე და ჩემი ორი ქვეყანა, ჩვენ ვართ ერთურთს გაყრილი
ხალხი,
და მაინც აქ ვარ, შეუპოვრად, ამ ყველაფრის
მიუხედავად

და, მგლოვიარე, ვეკითხები ჩემს თავს:
მე აქ რა დამიკარგავს?

ის დამიკარგავს სწორედ,
რაც მე ენაზე მადგას,
რადაც სხვა, მთელი,
მთელ მსოფლიოს გაბედულად რაც ეხუმრება
და არ იხრჩობა ამ გუბურაში,

უცხო, განწვალულ ამ ხრიალს რაც დაუტანია,
გაზეთ ახალი გერმანიის დაპრესილ ხრიალს,
"ფრანკფურტერ ალგემეინეს" ხრიალს
(რაც მცირედი ბოროტებაა),

პირდამუნული ხრჩობა, რომელმაც სულ არ უწყის
საკუთარი თავის შესახებ,

რომლის შესახებ არაფერი მინდა ვიცოდე, სანიმუშო
ქვეყანა და
მკვლევების ხარო, სადაც სულით და გულით ჩააგდეს
ჩემი ნახევრად ცოცხალი ხორცი,
აქ ვრჩები ახლაც,
ვმეტოქეობ, უკან არ ვიხევ,
აქ დავრჩები ერთი ხანობა,
ვიდრე აქედან სხვა ხალხისკენ გავემუშრები,
და დავისვენებ მე სავსებით ჩვეულებრივ ქვეყანაში,
ოღონდ აქ არა,
ოღონდ არა აქ.

ლექსი ლექსების არმკითხველთათვის

ვისი ყვირილი გამოისმის ნაწყვეტ-ნაწყვეტი
ნისლის საკნიდან? ეს ვინ მოცურავს
ყელზე რეზინის რგოლჩამოცმული,
მარტის მაგარი ლუდის და სისხლის
მდულარე ტბორს გამოლწეული?

ისაა სწორედ,

ვისთვისაც მტვერში ვკანრავ ამ სიტყვებს,
ვინც მათ ვერასდროს ამოიკითხავს.

ვინ ჩამარხულა ერთიანად გაზეთებსა და
ქაქში? ვისა აქვს ურანი შარდში?
ან წებოვანი ფურთხით თათბირებს
მინებებული ვინ არის? ან ვინ
ამოვლებულა ტყვიაში?

ნახე,

ანტენით კეფადამშვენებული,
უტყვად იცოხნის ბინძური ტვინით.

რა მოვუხერხოთ დაგმანულ ყურებს,
ოდენ სარკალში ამოვლებულებს,
გამოხვეულებს ბირჟის ურიცხვ ბიულეტენში,
რეგისტრატურის პირქუშ შეკვრებად
პირადი ნებით ჩამოშტამპულებს?

ვირჯები

ჩლუნგი გამცემლების ყურთათვის, და მათ
მივმართავ ცივად, როგორც ღამე, დაბეჯითებით.

რა ღმუილია, ჩემს სიტყვებს რომ
ერთბაშად შთანთქმავს? ეს ხომ ყეფაა უნმინდური
საუნყებო იმ არნივების, რომლებიც
ცაში, მთლად უსულოდ დატოვებულში,
ჩვენ გვდარაჯობენ.

ღვიძლს,
ჩემსას და შენსას კორტნიან,
მკითხველო, ლექსებს რომ არ კითხულობ.

ვითომგარდაცვლილნი

საკორპორაციო უწყებებთან იცდიან
ვითომგარდაცვლილნი,
იცდიან ასე, უმწეონი, და ორივე ფილტვით მწეველნი,
მეტროლოგიის უწყებებთან და სამუშაო ბირჟებთან
მდგომნი.

გაფითრებული, უფერული აღტაცება ამ
ვითომმკვდართა,
მრავალი დაგისოსებული სარკმლის პირისპირ,
ვით ვეება გაზეთი ქარში.

მერე რარიგ აქიცინებენ ისინი კეფებს! რარიგ
გამრჯენი არიან და რა მხიარულნი! რა ოსტატურად
სცვივათ ხელიდან პერფობარათი,
თუნდაც ცოდვათა განტევების მონუმობები, თუნდაც
ჩეკები! სააქტო ჩანთით
ყველა მათგანი დაატარებს თავის შეჭრილ თმას,
და წყვილ წინდაში
ყველა მათგანს დაზოგილი ათი თითი აქვს.

და, უფრო მეტიც, ისინი ჭამენ, და თავ-თავისი
მოჩვენებითადმკვდარი ათი თითით ათლიან
მკვდარ ცხოველთა ძვლებს ხორცს, ხოლო ღამით,
რათა დააცხრონ ის, რაც გლოვობს მათ ფეხებს შორის
და გარემოს ყვირილით იკლებს, ფართოვდებიან,
სარკმლები რომ დაიხურება,
და ჩვენებათა მისაცემად წარსდგებიან ვითომმკვდარი
ეს მონმეები,

დილით კი ისევ ცხადდებიან, ისევ მწვევლნი
მთლად უსუსური ბაგეებით,
საპასპორტო ბიუროებთან,
გადაურჩენენ რათა დამარხვას.

მაგრამ ვინ ჩუქნის ამ საბრალოთ კოცნებს და ვაშლებს?
ვინ აღვიძებს და ვინ უწვდის მათ ნეგო-
ყვავილებს, ვინ იღებს ნიჩბით მათი მკერდიდან
ამ მთებს კვამლისას, ან ვინ ახვევს მათ
გაზეთებში, ვინ ირჯება და ამარილებს მათ მჭამელ
პირებს, ვინ ჩამოვარცხნის ფერფლს მათი თმიდან,
შიშს ვინ ჩამორეცხს მათ უფერულ-უდღეურ თვალებს,
ვინ ასაჩუქრებს, ათავისუფლებს, აჯადოებს, სალბუნს
სცხებს და გამოაღვიძებს
ვითომმკვდრებს მკვდართა სამეუფოდან,
მათ ვინ ამართლებს?

ბანკის სარკმლებთან ატუზულან, დათოვლილნი
გაზეთებით და საარჩევნო ბარათებით, და კვლავ
იცდიან
ცის ქვეშ, რომელიც, როგორც კინო გარეუბანში,
ხან განათდება, ხან ჩაბნელდება,
როგორც ეს ხდება მთავარ ფილმსა და კინოჟურნალს
შორის შუალედში,
ბრძოლის ველსა და საცხედრეს შორის,
გარდაცვლილთა მესების წინ, მოელიან, მოელიან
ვითომმკვდარნი მკვდრობის მონმოებებს,
და ეწევიან უფერული, გამრჯე ფილტვებით,
ფონს გადიან თავიანთ ქუფრ აღტაცებებში,
და მოელიან გარდაცვლილნი მათივ აღსასრულს.

ბრმად

გამარჯვებით აღსავსე
იქნება საქმე თვალხილულთა
მათ ცალთვალეები
მოასხდნენ კისერზე
ძალაუფლება ხელთ იგდეს
და ბრმა გაამეფეს

ჩაკეტილ საზღვართან დგანან
თვალდახუჭობანას მოთამაშე პოლიციელები
დროდადრო ანტისახელმწიფოებრივი
ხრიკებისთვის ძებნილ
თვალის ექიმს იჭერენ ხოლმე

ყველა მმართველ ბატონს
შავი სალბუნით დაუფარავს
მარჯვენა თვალი
ბრმათა გამძლოლი ძაღლების მიერ ნაპოვნ
უპატრონო მადიდებს და სათვალეებს
ნაპოვნი ნივთების უწყებაში აბლაბუდა დაპატრონებია

ბეჯითმა ახალგაზრდა ასტრონომებმა
შუშის თვალეები ჩაისვეს
შორსმჭვრეტელი მშობლები
თავიანთ შვილებს წინდანინ ასწავლიან
დაელმების პროგრესულ ხელოვნებას

მტერი თავისი აგენტების ხელით
ბორის წყალს აპარებს კონიუნქტივიტის გამოსანვევად
მაგრამ კეთილგონიერი მოქალაქეები
ვითარებათა გათვალისწინებით თავს ფხიზლად იცავენ
და არ ენდობიან თავიანთ თვალებს
სახეში იყრიან პილპილს და მარილს
აცრემლებულები ეხებიან ღირშესანიშნაობებს
და ბრმების ანბანს ეუფლებიან
ცოტა ხნის წინ მეფეს გამოუცხადებია
რომ ის მტკიცე რწმენით გაჰყურებს მომავალს

მოძღვრება სიტყვათწარმოების შესახებ

თვალეზდავსილი ძაღლები უკვე
მკვდარ პერანგებში განისვენებენ
გარს უვლის დაჭრილ მრეცხავთა გუნდი
სამედიცინო სნეულ დაზღვევებს

სახლნი ობოლნი და აღსავსენი
ბევრი შეშლილი ზედამხედველით
მკვდარ სიმღერებსაც ანათხოვრებენ
თუ თხოვენ უცხო თავშესაფრები

მაგრამ სნეული ძაღლები უმაღ
შეშლილ მრეცხავებს ტანთ შემოხდიან
ობოლ პერანგებს გატანილს მკვდარი
სამედიცინო დაზღვევებიდან

და თვალეზდავსილ სიმღერებს უცხო
ზედამხედველნი კვლავ გაურბიან
ბევრი დაჭრილი თავშესაფრიდან
ან უკვე ბევრი მკვდარი სახლისკენ

სამედიცინო სნეულ დაზღვევებს
შეხიზნულ დაჭრილ მრეცხავთა გუნდი
განსვენებულა თვალეზდავსილ და
მკვდარპერანგიან ძაღლებთან ერთად

სამედიცინო მკვდარ დაზღვევებში

მკვდარ სიმღერებში
მკვდარ სახლებში
მკვდარშესაფრებში

მკვდარი მკვდრები განისვენებენ

ტუსალი

გამომწყვდეულა ჩემს ხორცში
კაცი ლომის ტორებით
ნატიფი და დიდი თვალებით
ჩემს ძვლებში სუნთქავს
მოხუცი კაცი
სიკვდილი რომ ბოლოს ვერ უღებს
ჯიუტი ბავშვი
არაფრის რომ არ ეშინია
ჩემს სისხლში
ტუსალს ჩაუყვინთავს სმენად ქცეულა
გამომწყვდეული ჩემივ ხორცში
მომთმენია და იცის მოცდა
და მოგუგუნე ჩემს ყურებში
სათუთად მძლავრად
უნწყებებს გზავნის კაკუნ-კაკუნით
გავარვარებულ კაჭარში სახლობს
ჯიუტად როგორც ქვატეხია
არაფრის რომ არ ეშინია
თავს რომ დააღწევს
ლომის ტორებს
ყინულივით მყარი მკაფიო
და გამოჩნდება განაჩენივით
დიდი ქარივით სამართლიანი
სიკვდილი რომ ბოლოს ვერ უღებს
ჩემივე ძვლებში რომ სუნთქავს და
ამ ძვლებს დაამსხვრევს

მძინარე ზეინკალი

მძინარე, ჯაჭვის პერანგიანი, ფონს გავდივარ
ყინულოვან ზღვაში
იქ სადაც იგი უღრმესია
სასამდე მწვდება
გაყინული მარილი
და ვუხმობ

მძინარე

მძინარე ცეცხლოვან მარხილს მივაქროლებ და
ვნადირობ
თავექვე მთაზე
ღია სივრცეში
მქუხარე ზეცა
მკერდს მისველებს
და მე ბრაზით აღსავსე ვუხმობ

მძინარე

მძინარე სასიკვდილო უფსკრულში ვეშვები
სისხლიან პარაშუტზე
ჩამოკიდებული
პირს შავად მიღებავს
ავარდნილი მტვერი
და ბრაზით აღსავსე მოვუხმობ ზეინკალს

მოვუხმობ მძინარე

შეადუღე მეთქი სიბნელე!

ააფეთქე მეთქი ყინულის გორახები!

გახსენ მეთქი ჩემი მოჭრიალე გული!

მენიუ

ერთხელ, უსაქმო ნაშუადღევს, ამ დღეს
ჩემს სახლში ვარ და ვხედავ
შეღებულია სამზარეულოს კარი კარს მიღმა მოჩანს
ხახვის საჭრელი დაფა სარძევე
იქვე ლამბაქი კატის.
მაგიდაზე კი ტელეგრამა დევს.
არ წამიკითხავს მე ის.

ამსტერდამს იყო ერთ მუზეუმში
ერთ ძველ სურათზე ვნახე
შეღებულიყო სამზარეულოს კარი კარს მიღმა ჩანდა
სარძევე იქვე პურის კალათა
იქვე ლამბაქი კატის.
მაგიდაზე კი წერილი იდო.
არ წამიკითხავს მე ის.

სულ რამდენიმე კვირის წინ ვნახე
მოსკვას ერთ აგარაკზე
სამზარეულოს შეღებულ კარში
პურის კალათა ხახვის საჭრელი
დაფა ლამბაქი კატის.
მაგიდაზე კი გაზეთი იდო.
არ წამიკითხავს მე ის.

სამზარეულოს შეღებულ კარში
ვხედავ დაღვრილ რძეს, ვხედავ

ოცდაათწლიან ომებს და ხახვის
საჭრელ დაფაზე ცრემლებს
და ანტი-სარაკეტო-რაკეტებს
და სწორედ იქვე პურის კალათებს
იქვე კლასობრივ ბრძოლებს.

მარცხნივ კი ქვემოთ სულმთლად კუთხეში
კატის ლამბაქსაც ვხედავ.

CAMERA OBSCURA

ფიჭვისგან შეკრულ
ჩემს დროებით ოთხ კედელში
ოთხჯერ ხუთი ორნახევარი მეტრის
ამ ჩემს ციციქნა ოთახში
ვარ მარტოდმარტო

მარტოდმარტო ვარ შემწვარ ვაშლთან, სიბნელესთან,
სამოც-ვატიან-ნათურასთან,
ბუნდესვერთან, ღამის გუშაგთან
მარტო

ლურჯი შუშის პრესპაპიესთან,
კიბერნეტიკასთან, სიკვდილთან,
ორნამენტულ როზეტთან
მარტო

ღმერთიარსჩვენთან-თან
და კაუფბოირენში ვაიჰერვეგთან
(განეკ. შვაბეთის რეგ.)
საკუთარ ელენთასთან მარტო

ჩემს ნათლიმამა რაბმიულერთან,
ოცი წლის წინ გაზით გაგუდულთან,
მარტო წითელ ტელეფონთან,
და მრავალ ისეთ რამესთანაც, რისი შენიშნაც მსურს.

მარტო "პირად მცველებთან" ერთად,
მარტო ათას ვიგინდარასთან,
ბარგი-ბარხანასთან,
წინ და უკან ჩემივე უთავბოლო მიმოსვლასთან ერთად.

ოთხჯერ ხუთი ორნახევარზე მეტრის
უსასრულო ჩემს ოთახში
ვარ მარტო მოცული სპირალური ბურუსით
ხილვათა

ხილვათა ხილვათა
ხილვათა ხილვათა ხილვათა
ენციკლოპედიურთა და ცარიელთა
და უეჭველთა

მარტო ამ ჩემს ჯერაც ისევ შემორჩენილ ტვინთან,
რომელშიც მე ამოვიკითხავ შემწვარ ვაშლს,
სიბნელეს, ნათლიმამა რაბმიულერს,
და მრავალს, რისი დავინყებაც მსურს.

ქვის მაგიდაზე

I

იყო ამქვეყნად შენი მაგიდა
თვალი ჰქონდა და არტერიები
გააჩნდა ხსოვნა მარმარილოსი
არ მრუდდებოდა და იყო მტკიცე

და მაგიდაზე შენ გედო ხელი
სავსე ნიშნებით არტერიებით
გააჩნდა ხსოვნა მარმარილოსი
ამოუცნობი იდო და მტკიცე

ძველ წიგნებზე და
ახალთახალ გაზეთებზე

ერთი ჭიქა ახალი წყალი

II

მე ვკითხულობდი შენს მაგიდაში
მე ვკითხულობდი შენივე ხელში
(სრიალაში და ამოუცნობში)

და მე ვხედავდი სისხლს გაზეთებში
და სისხლს ვხედავდი შენივე ხელში
მე სისხლს ვხედავდი მარმარილოში

ვკითხულობდი და არ ვწყვეტიდი კითხვას
თითქმის ყველაფრის რაც უკვე მოხდა
შენს მაგიდაზე იყო ქვეყანა
და ერთი ჭიქა ახალი წყალი

სხვა

ვილაც იცინის
ზრუნავს
თმით და კანით დაფარული ჩემი სახე უპყრია ზეცის
ქვეშ

სიტყვებს აიძულებს პირიდან მცვიოდნენ
ვილაც ვისაც ფული ძრწოლა და პასპორტი გააჩნია
ვილაც ვინც კამათობს და შეყვარებულია
ვილაც მოძრაობს
ვილაც ფართხალებს

მაგრამ მე არა
მე სხვა ვარ
რომელიც არ იცინის
რომელსაც არა აქვს სახე ცისქვეშეთში
და არც სიტყვები თავის პირში
რომელიც უცნობია საკუთარი თავისთვის და ჩემთვის
მე არა: სხვა: ყოველთვის სხვა
რომელიც არც იმარჯვებს არც მარცხდება
რომელიც არ ზრუნავს
რომელიც არ მოძრაობს

სხვა
რომელიც გულგრილია თავისი თავის მიმართ
რომელზეც მე არაფერი ვიცი
რომელიც არავინ უწყის ვინ არის
რომელიც მე არ მეხება
სწორედ რომ მე ვარ

ბიბლიოგრაფია

ეს შენთვის დაინერა.
ხის ქერქვეშა კლავნები,
საფეთქელთა მიღმა მოცახცახე ნანერი,
გზანი ჭიანჭველათა.

ეს არ არის ხელოვნება.

იზოლირებულ ფირფიტაზე დაშტამპული მექანიზმი,
კომუნიზმი
პოლიპეპტიდების,
ელექტრონული ფურისულები,
პროგრამულად მართული ტოროლები.

აიღე და ნაიკითხე,
ბებერო თვითმკვლელო.

გენეტიკური მანიფესტები,
პერმუტაციები, ლილინი.
თითოეული კრისტალი არის ცჰეფ დ'ოეუვრე.
ჭრიჭინათა თვალების კონსტრუირება
არ არის ხელოვნება,
მაგრამ მსოფლიო იმპერიები უფრო მარტივად არის
აგებული.

ეს ჭინჭარი
შესაძლოა პრუსტიცაც იყოს:

უკუგების სისტემა, მეორე საფეხურის,
ულტრასტაბილური.

ვიდრე წიგნი შენს ხელთ მოხვდებოდეს,
იგი საკითხავად
აღბათ უკვე ძალიან რთულია.

ჭრიჭინები
უჩვენოდ გაძლებენ თუ არა,
ჩვენ ეს არ ვიცით.
გასათვალისწინებელია.

განაგდე წიგნი
და წაიკითხე.

მშვიდობიანი კაცის საფლავზე

აი, ეს კაცი სულაც არ ყოფილა ხალხის მეგობარი,
გაურბოდა თავყრილობებს, სავაჭრო სახლებს, არენებს.
თავის მსგავსთა ხორცს არ მიირთმევდა.

ქუჩებში დააბიჯებდა ძალადობა,
ლიმილით, არა შიშველ-ტიტველი.
ზეცაში კი ყვირილის ხმები გაისმოდა.

ადამიანთა სახეები არ იყო მკაფიო.
ისინი დაიშალა
მანამ, სანამ მეხი იჭექებდა.

ერთადერთი, რისთვისაც ის მთელი სიცოცხლე
იბრძოდა,
სიტყვებით და კბილებით, მძვინვარედ,
დაუნდობლად, მხოლოდ საკუთარი ძალებით:

იყო რაღაც, რასაც ის საკუთარ სიმშვიდეს ეძახდა
და მოიპოვა კიდევ, თუმცა პირი აღარ გააჩნია
მის ჩონჩხს, რათა ეს რაღაც შეიტკბოს.

MIDDLE CLASS BLUES

არაფერი გვაქვს სამდურავი.
გვაქვს საქმე.
ვართ მაძლარნი.
ვჭამთ.

იზრდება ბალახი,
ეროვნული შემოსავალი,
ფრჩხილები თითებზე,
წარსული.

ცარიელია ქუჩები.
ჩინებულია ხელშეკრულებები.
დუმან სირენები.
ეს უკვე დავინყებას ეძლევა.

გარდაცვლილებმა დატოვეს ანდერძი.
წვიმამ იკლო.
ომი ჯერ არ გამოცხადებულა.
ეს არაა საჩქარო.

ვიკვებებით ბალახით.
ვიკვებებით ეროვნული შემოსავალით.
ვიკვებებით თითის ფრჩხილებით.
ვიკვებებით წარსულით.

არაფერი გვაქვს დასამალი.

არაფერი გვაქვს წასაყრუებელი.
არაფერი გვაქვს სათქმელი.
გვაქვს.

საათი მომართულია.
ურთიერთობები მონესრიგებულია.
თეფშები წყალში გავლებულია.
ბოლო ავტობუსი ჩავლილია.

ის ცარიელია.

არაფერი გვაქვს სამდურავი.

რაღას მოველით?

ექვები

აღინიშნება თუ არა ფრედ, საერთოდ და მთლიანად,
სამუდამოდ და ყოველთვის, დროითი თამაში
თეთრი და შავი კამათლებით?
იმავედროულად, აღინიშნება თუ არა: ცოტა ნაგებული
გამარჯვებული
და ბევრი ნაგებული ნამგები?

დიახ, ამბობენ ჩემი მტრები.

მე ვამბობ: თითქმის ყველაფერი, რასაც ვხედავ,
შეიძლება სულ სხვაგვარი ყოფილიყო. მაგრამ რა
ფასად?

პროგრესის ყველა ნაკვალევი სისხლიანია.
არის კი ყველა ეს ნაკვალევი სწორედაც პროგრესის?
ჩემი სურვილები უბრალოა.
უბრალოდ აუსრულებადი?

დიახ, ამბობენ ჩემი მტრები.

მდივანი ქალბატონები ცოცხლობენ.
მენაგვეებმა არაფერი იციან.
მკვლევარები თავ-თავიანთ კვლევებში ჩაფლულან.
მჭამელნი ჭამენ. ყველაფერი რა ჩინებულია.

ამასობაში კი ჩემს თავს ვეკითხები:
ხვალ კიდევ ერთი დღე დადგება?

ეს საწოლი საკაცია?
მართალია თუ არა ეს კაცი?

არის თუ არა ნებადართული დაეჭვებებში დაეჭვებაც?

არა, თქვენს რჩევას, რომ თავი ჩამოვიხრჩო,
რარიგ კეთილი მიზნებითაც უნდა იყოს ნაკარნახევი,
ყოფილ ვერ ვიღებ.
ხვალ კიდევ ერთი დღე დადგება (მართლა?),
თვალის გასახელად და აღმოსაჩენად:
რაღაც კარგის, სათქმელად: მე უსამართლოდ
მოვიქეცი.

ტკბილია დღე, როცა თავისთავადცხადი
თავისთავად ცხადი ხდება, საერთოდ და მთლიანად!
მერე რარიგი ტრიუმფია
იმ მერმისის შეტკობა, კასანდრა, რომელმაც უარგყო!
რაღაც ახალი, რაც კარგი იქნებოდა.
(ძველი და კარგი ჩვენთვის ცნობილია...)

ყოფილებით ვუსმენ ჩემს მტრებს.
ვინ არიან ჩემი მტრები?
შავები თეთრს მეძახიან,
თეთრები კი - შავს.
სიამოვნებით ვისმენ ამ ყველაფერს. ეს შეიძლება
ნიშნავდეს, რომ:
სწორ გზაზე ვდგავარ.
(არსებობს სწორი გზა?)

ჩემს თავს არ ვჩივი. იმათ ვჩივი,
ვისთვისაც ჩემი ეჭვი სულერთია.
სულ სხვაა მათი საზრუნავი.

ჩემი მტრები სახტად მტოვებენ.
მათ ხომ ჩემთვის მხოლოდ კარგი სურთ.
ყველაფერი მიეტევენოდა იმას, ვინც კმაყოფილი
იქნებოდა
საკუთარი თავით და მათით.

ცოტაოდენი გულმავინყობა ადამიანს პოპულარულს
ხდის.

ერთადერთი "ამინ",
სულერთია რომელ კრედოზე დაფუძნებული,
და მათთან ერთად მყუდროდ ვიჯდებოდი
და შევძლებდი დროითის დალოცვას,
თავის ჩამოხრჩობას, საერთოდ და მთლიანად,
დარწმუნებული, და - შერიგებული, უეჭველად,
მთელ ქვეყნიერებასთან.

ხოლო კლდოვანი ეს კუნძული ცარიელია.
მხოლოდ შუქურის ოსტატთა და ლოცმანთათვის -
სამი სახლი, ხით შეკრული სამი სათავსო;
თეთრი, წითელი, თეთრი. ფოსტა -
თვეში ერთხელ; ქარპირა მხარეს -
აძაგრული ღვია და, იქვე,
გონჯი ხურტკმელი.

IV

ეს ამის მეტს არაფერს ნიშნავს.
არც მოასწავებს რამეს ამის მეტს.
არავითარი ამოხსნა და ხსნა.
შუქი, რომელიც იქ ანათებს,
შუქია და სხვა არაფერი,
რაც ნიშნავს იმას, რომ: იქ შუქია,
იქ ადგილია, სადაც შუქია,
სადაც შუქია, არის ადგილი.

ისტორიული პროცესი

ყურე გაიყინა.
თევზსაჭერი ნავები ველარ მოძრაობენ.
ეს არაფერს ნიშნავს.
შენ თავისუფალი ხარ.
შეგიძლია სადმე მიეგდო.
შეგიძლია ისევ წამოდგე.
ეს შენს სახელს არაფერს ავნებს.
შეგიძლია გაუჩინარდე
და ისევ დაბრუნდე.
ეს შესაძლებელია.
მას მერეც კი როცა ვინმე კვდება
მის სახელზე წერილები მოდის.
ბევრიც არაფერია სადარდებელი.
შეგიძლია დაიძინო.
ეს შესაძლებელია.
ყინულმჭრელი ერთ ღამეში აქ იქნება.
ჰოდა თევზსაჭერი ნავებიც ამოძრავდებიან.
სავალი ვინროა.
ღამით ისევ გაიყინება.
ეს არაფერს ნიშნავს.
ეს შენს სახელს არაფერს ავნებს.

ლიქენთუნყება

I

ქვა რომ მეტყველებს,
გასაკვირი სულაც არ არის.
მაგრამ ლიქენი?

II

საკუთარ თავს აღწერს ლიქენი,
ჩაენერება, იდუმალი
ანბანით წერს
სიტყვაუბვ დუმილს:
raphis scripta.

III

ის დედამინის
ნელიადი უწყებაა,
ეს უწყება არასდროს მოდის:
ის ყველგან უკვე-მოსულია,
თუნდაც ცეცხლოვან მიწაზე და
საფლავის ქვებზე.

IV

"ვის შეგიძლიათ ამის ნაკითხვა!"

ამ გამხმარ ფილტვზე
უფრო იოლად იშიფრება
ძველი სიბრძნე, პაპირუსი,
სილუეტური პორტრეტი, ტვინი.

V

უიარალოდ
იბრძვის იგი სიცოცხლისთვის
და არ მარცხდება.
(მე მას თქვენც გამჩნევთ:
არკი გჯერათ,
რასაც მე ვამბობ.)

VI

არ მოხდება, ლიქერმა რომ წაიბორძიკოს.
არ ცუდდება მისი ნაღვანი.
გავიგე, განასაზოგადოვა
მან, ხოტბის ღირსმა კომუნისტმა ქალმა,
თავისი სანარმოო საშუალებები.

VII

ამ ჩვენი არეულობებით ყელამდე სავსეს
ხშირად მწყურია,
თვალი ვკიდო ლიქენის იერს.
დამიდგით მთა და

დაგანახებთ, რასაც ვგულისხმობ.

VIII

ისლანდიურო ხვიფლო, ჭადარავ,
ჩვენს საოჯახო აფთიაქში
ვინ შემოგაგდო?
აუღელვებლად გვეხმარები,
სისხლს რომ ვახველებთ.

IX

იტყვიტ, რა უნდა, რას მიელტვის,
რა ლიქენი აიხირაო?
ახლა დადგეს და ხვიფლი ცოხნოს,
ჩვენ დრო არ გვაქვსო.

X

აი, ლიქენს კი
დრო ბევრი აქვს,
ათასწლოვანი
თქვენს ფეხქვეშ რომ წევს,
ბარბაროსას ქუსლმაც
ტკეპნა, მაგრამ ლიქენს
მისი ქუსლი სათვალავშიც არ ჩაუგდია.

XI

მხედართა სასტიკ
ბრძოლებს როდი შეუღებავთ
ძონისფერი ხვიფლი ძონისფრად,
ის მაშინაც ასეთი იყო.

XII

უსისხლო ფილტვი, ჟანგისფერი,
ზაფრანისფერი, მარჯნისფერი, ფორთოხლისფერი,
ნითლად ფერილი იისფერი, ატმისფერი და
ჭარხლისფერი,
და ყველაფერი - რუხ ნიადაგზე,
შპიტცბერგენის კუნძულების
რუხ ნიადაგზე.

XIII

არც ერთი ჩვენი ჭეშმარიტება არ ამჟღავნებს ასეთ
სიმტკიცეს.
სწორედ ლიქენი ფარავს მკვდარ მერქანს,
აგურის ღორღებს, კერპებს და ლავას,
არის ტაძრების დაქცევის და ნანგრევების
ჭირისუფალი.
ჩრდილოური ირმის ხავსი,
თითქმის თეთრი, მაგრამ არა სრულიად თეთრი.

XIV

არ ვიცი, კლდეს თუ შეუძლია
ლიქენს აღუდგეს.
როდი აფეთქებს კლდეს ლიქენი,
მასზე სახლდება,
დასახლებულ ადგილად აქცევს.

XV

როგორც ვიყავით, ნიშნავდა, რომ არც რა ყოფილა.
როგორც ახლა ვართ, ნიშნავს არაფერს.
უთქმელადაც გასაგებია. როგორც
ვიქნებით სამომავლოდ,
საუცხოო იქნება ისიც,
ეჭვგარეშეა.

XVI

მაგრამ თქვენ ხომ სულ არ გჯერათ,
რასაც მე ვამბობ.
რაო, ბეჯითად ჯერაც ისევ არ მოგიჩხრიკავთ
თქვენი ტვინი და თქვენი წვერი?

XVII

ჰო, მართლა, ჩვენი ეს ლიქენი,
ლამის არის,

გადაგვავინცდა.
ნათლისლიქენო, მზიურო ხვიფლო,
დარჩიჩვენთან,
შენ, დიადო მესსიერებავ.

XVIII

ზეციტმოვლენილ მანანაზე ვოცნებობთ ყველა.
მაგრამ მანანა ვინ გააჩინა?
ეს მცირედთა ცოდნაა მხოლოდ.
სნორედ ლიქენმა.

XIX

საუცხოო-მეთქი, ნარმოვთქვი.
ჯერჯერობით კი, ნათელია,
ჩვენი მზადყოფნა ლიქენისას
ვერ შეედრება.
უთქმელადაც გასაგებია.

XX

მე არ ვიცი მანანას გემო.
თუმც, საუცხოო რომ იქნება,
ექვგარეშეა.

ქარის მოხელთება

ზოგი სიტყვა
მსუბუქია
ვერხვის თესლივით

ზე ავა
ქარით შექცეული
ქვე დაეშვება

ძნელად თუ ჰკიდებ თვალს
შორს ფენილს
როგორც ვერხვის თესლს

ზოგი სიტყვა
ასუსტებს მიწას
შესაძლოა მოგვიანებით

ჩრდილს შობს
ფერმკრთალ ჩრდილს
ან სულაც არ შობს

ჩრდილსამეუფო

I

მე აქ კიდევ ერთ ადგილს ვხედავ,
თავისუფალ ადგილს,
აქ, ჩრდილში.

II

და ეს ჩრდილი
არ იყიდება.

III

ზღვაც
მიმოიფენს ჩრდილს, შესაძლოა,
დროც მიმოიფენს.

IV

ჩრდილთა ომები
თამაშებია:
არც ერთი ჩრდილი
მეორე ჩრდილს ნათელში არ გამოუჩნდება.

V

ჩრდილში მცხოვრების
მოკვლა ძნელია.

VI

მცირე ხნით
ჩემს ჩრდილს დავუტევებ,
მხოლოდ მცირე ხნით.

VII

ვისაც სურს შუქი ისეთი ნახოს
როგორიც არის
უკან უნდა დაიხიოს
და ჩრდილს შეუდგეს.

IX

ჩრდილი
ამ მზეზე უფრო ნათელი:
გრილი ჩრდილი თავისუფლების.

X

ჩემი ჩრდილი
ჩრდილში სრულად უჩინარდება.

XI

ჩრდილში
ჯერაც არის ადგილი.

სილუეტი

ვხატავ თოვლს.
ვხატავ დაჟინებით
ვხატავ შვეულად
დიდი ფუნჯით
თოვლს
ამ თეთრ გვერდზე.

და ვხატავ მინას.
ვხატავ მინის
ჩრდილს, ვხატავ ღამეს.
არ მძინავს.
ვხატავ,
ასე ვხატავ მე მთელი ღამე.

თოვლი აცვივა
შვეულად და დაჟინებით,
რასაც მე ვხატავ.
დიდი ჩრდილი
დაეცემა
ჩემივ სილუეტს.

ამ სილუეტზე
ვხატავ
ღამის
დიდი ფუნჯით
ჯიუტად ვხატავ
ჩემს ერთ ბენო ჩრდილს.

ყვავილების დღესასწაული

მე ვჩუქნი ყვავილებს.
მე ყვავილის თესლს მიმოვაბნევ.
მე ვრგავ ყვავილებს.
მე ვაგროვებ ყვავილებს.
მე ვკრეფ ყვავილებს.
მე ვკრეფ ფერად-ფერად ყვავილებს.
მე მათ ვგლეჯ.
მე ვპუტავ ყვავილებს.
მე მათ ვაცამტვერებ.
მე ვნასკვავ ყვავილებს.
მე ვკონავ ყვავილებს.
მე გამომყავს ყვავილები.
მე ვიგონებ ყვავილებს.
მე მათ ვაჩენ ჰაერიდან.
მე ვახერხებ, რომ ყვავილები თაიგულებად იქცნენ, ათ-
ასნაირ, წრიულ თაიგულებად, სულ უფრო მალეობად და
მალეობად.

მე ვამზადებ ყვავილებისგან ყვავილწულს, ზენარს, თა-
იგულს, ყვავილების სანოლს, ხელის მტევანს.
მე მათ ვნასკვავ.
მე მათ ვკონავ.
მე მათ ბალახით ვრთავ.
მე მათ ფოთლებით ვრთავ.
მე ყვავილებისგან ჭრელ გველს ვაკეთებ.
მე ვყნოსავ ერთ-ერთს.

მე მათ ვცნოსავ.
მე ვზრუნავ, რომ ის ერთი ყნოსავდეს ყვავილებს.
მე იმ ერთს ვჩუქნი ყვავილებს.
მე მას ვჩუქნი ყვავილებს.
მე ვხუნძლავ იმ ერთს ყვავილებით.
მე მას ჭრელი გველით, ყვავილებისგან დანნული ყელსა-
ბამით ვხუნძლავ.
მე მას ყვავილების ყელსაბამით ვხუნძლავ.
მე მას ირგვლივ ყვავილნულს ვუნყოფ.
მე ვხუნძლავ მას ყვავილნულით.
მე ვმოსავ იმ ერთს ყვავილებით.
მე მას ყვავილებში ვხვევ.
მე მას ერთიანად ყვავილებით ვფარავ.
მე ვანგრევ იმ ერთს ყვავილებით.
მე მას ვანგრევ ყვავილებით.
მე ჭრილობებს ვაყენებ იმ ერთს, ყვავილებით ვაყენებ ჭრ-
ილობებს.
მე ვანგრევ იმ ერთს ყვავილებით.
მე მას ვანგრევ.
მე მას ყვავილებით ვაყენებ ჭრილობებს.
სასმელით, საჭმლით, ყვავილებით, თუთუნით, ტანსაცმლ-
ით, ოქროთი.
მე მას ვნუსხავ, მე მას აღვაგზნებ ყვავილებით, სიტყვებ-
ით.
მე მას ვნუსხავ.
მე ვამბობ:
"მე მას ყვავილებით ვეაღერებ.
მე იმ ერთს ვაცდუნებ.

მე მას დიდხანს ვებაახები.
მე შევძრავ მას სიტყვებით.
ყვავილებით”.

მე ვხუნძლავ იმ ერთს ყვავილებით, ან ვპუტავ ყვავილებს,
ან გამომყავს ყვავილები, ან ვაჩენ ყვავილებს ჰაერიდან
და ვაძლევ მასვე, ისე, რომ ეს დღესასწაულია.
მე იმ ერთისთვის ხელში ყვავილების მიცემას არ ვწყვეტ.
ან მე მას ვხუნძლავ ყელსაბამით, ქრელი გველით.
ან მე მას ვხუნძლავ ყვავილწნულით, სიტყვების წნულით.
ან მე მას ვნუსხავ.
არის რაღაც, რასაც მე მას ვაძლევ.
ან მე კვლავაც სხვას არას ვაძლევ, თუ არა ყვავილებს,
ყვავილებს, ყვავილებს.

ცარიელი სახლი

ვაი წყლის ლაქას სამზარეულოში
გალუნულ წურწურას
და ციგას სარდაფში!
ერთგულ სასკოლო რვეულს 1936 წლის
ყველა დაკანრულ ტანგოს გრამფირფიტას
სასიყვარულო წერილებით სავსე ფეხსაცმლის ყუთებს
ვაი! ვაი! ვაი!

არაფერი იძვრის

წარსულში დიდი დაბრუნება

მხოლოდ მაშინ როცა მატარებელი ჩაიქროლებს
დაგდაგებენ ამ სახლის მინები

სარკმლიდან
ბალის ცხაურს მიღმა გადავიმზერო
მკვდრები თუ ცოცხლები

ყავადანი
მოთუხთუხე ქშენით
ჩვენ როდი მოგველის

წყლის დონის შესახებ უწყებებსა
და სპორტულ მიმოხილვას შორის
დისკო-ჟოკეი

ერთ ძველ გრამფირფიტას ათავსებს
ჩემს თავში

ჩვენ აქ აღარ ვართ

ბოთლი რომელსაც მაღაზია არ იბარებს
სიტყვა რომელიც ქვას ხეთქს

მტვერში დევს
უთო მაშინდელი
და იუნყება
მარადიულ მშვიდობას

ბულდოზრის მოსვლამდე

შავ-თეთრი ნახატი

ჰერმან ვაილის მიხედვით

თეთრი ცარცი, რომელიც მე ხელში მიჭირავს,
ბატონებო, შედგება,
როგორც იცით, მოლეკულებისგან.
მოლეკულები შედგება ნაწილაკებისგან,
სიმძიმისგან, მოცულობისგან, კვარკული
უცნაურობისგან და ბრუნვის იმპულსისგან:
ნაკვალევებისგან, რომელსაც ისინი წარმოქმნიან
ბუშტულოვან კამერაში
და ქრებიან, ჩემს ხელში,
ამ უსასრულო ფორმულებში,
რომლებსაც თქვენ იცნობთ ან არ იცნობთ,
ბატონებო, და რომლებსაც მე ამ
შავ კედელზე გამოვხატავ
ცარცით, ცარცით, ცარცით.

ხელახალი აღზრდის სირთულეთა გამო

მართლაც რომ უბადლოა
ყველა ეს დიდი გეგმა:
ოქროს საუკუნე
ღვთაებრივი მეუფება დედამინაზე
სახელმწიფოს გადაშენება.
ყველაფერი რა თვალსაჩინოა.

ოღონდ, ხალხი რომ არ არსებობდეს!
ხალხი ყოველთვის და ყველგან ხელისშემშლელია.
ხალხია ერთმანეთში ყველაფრის ამრევი.

საქმე კაცობრიობის გათავისუფლებას ეხება
ისინი კი დალაქთან გარბიან.
იმის ნაცვლად რომ შთაგონებულები ავანგარდს
ცუნცულით აედევნონ
ამბობენ: კარგი იქნებოდა ახლა კათხა ლუდი.
იმის ნაცვლად რომ სამართლიანი საქმისთვის
იბრძოლონ
ისინი ვენების გაგანიერებას და წითელას ებრძვიან.
გადამწყვეტ წამს
ისინი საფოსტო ყუთს ან სანოლს დაეძებენ.
ათასწლიანი მეუფების დადგომამდე ცოტა ხნით ადრე
ისინი ჩვრების გამოხარშვით დასაქმებულან.

ყველაფერი იმსხვრევა ხალხის გადამკიდე.
შეუძლებელია მათთან ერთად სახელმწიფოს შექმნა.

ერთი ტომარა რწყილიც კი არაფერია მათთან
შედარებით.

წვრილბურჟუაზიული მერყეობა!
მომხმარებელ-იდიოტები!
წარსულის გადმონაშთები!

არადა, ხომ ვერ ამოხოცავ!
ხომ არ შეიძლება მთელი დღეების განმავლობაში
არწმუნო ისინი!

არადა, ხალხი რომ არ არსებობდეს
უკვე ყველაფერს სხვა სახე ექნებოდა.

აი, ხალხი რომ არ არსებობდეს
ყველაფერი თვალისდახამხამებაში შეიცვლებოდა.
აი, ხალხი რომ არ არსებობდეს!
აი, მაშინ!
(ჰოდა, არც მე შეგანუხებდით მაშინ ამ ყველაფრით.)

სამშვიდობო კონგრესი

ეშვება თვითმფრინავი, რომლის ბორტზეც ასი
მატყუარა იმყოფება.

ყვავილებით სავსე ხელებით ეგებება მათ ქალაქი,
ნავთობის და ოფლის სუნით,
აზიის ველებიდან მონაბერი ქარით.

პროფექტორებით გარემოცული მატყუარები თხუთმეტ
ენაზე

წარმოთქვამენ: არ გვინდა ომი.
მდუმარედ ვეთანხმები მატყუარებს.
მატყუარები ჭეშმარიტებას ლაღადებენ, მაგრამ
რაში სჭირდებათ ორმოცდაათი საათი
ამ ერთადერთი წინადადების სათქმელად?

როცა ისინი ქალაქს ტოვებენ, ყვავილები
გარუხებულა.

საფერფლეები პირთამდეა სავსე
სოლიდარული ნამწვებით,
სიგარების ურყევი ბოლოებით
და დაუმარცხებელი ნარჩენებით.
საფურთხებლებში მშვიდობა ლივლივებს.

თეთრ სახლში, პროფექტორების შუქზე,
პატიოსანი ადამიანები სწორედ ამ დროს აცხადებენ
სხვა სიმართლეს: ომი მნიფდება.
მხოლოდ მატყუარები არიან ურყევი.

თეთრ სახლში ყვავილები ახალია,
საფურთხებლები - დეზინფიცირებული
და საფერფლეები - ბომბებივით სუფთა.

ქარი სწრაფად გადაუვლის ქალაქს,
აზიის ველებიდან მოსული ქარი. ასე უსტვენს
დამცირებული ქალიც, რომელიც იბრძვის თავისი
სიცოცხლის გადასარჩენად.

სიხარული

მას არ სურს მასზე ვლაპარაკობდე
ის არ არის აღნიშნული შავით თეთრზე
ის ვერ იტანს წინასწარმეტყველთ

ის ყველაფერს რაც გაჯირჯვებულა თავიდან იშორებს
ის არ ცრუობს
ის მეამბოხეა

ის ერთადერთია ვინც მე გამამართლებს
ის ჩემი გონებაა
ის მე არ მეკუთვნის

ის უცხოა და შეუპოვარი
მე მას ვმალავ
როგორც სირცხვილს

ის დევნილია
მას ვერავინ გაიყოფს
არავის ძალუძს მისი ფლობა

მე არაფერს ვფლობ
მე მას ყველაფერს ვუზიარებ
ის წავა ჩემგან

მას სხვა დამალავს
გამარჯვებით აღსავსე ლტოლვილს
ხანგრძლივ ღამეში

ერთი-მეორის მიყოლებით

ჯერ თოვლი.

ბოლო თოვლის მერე
პირველი მშობიარობა.

ბოლო მშობიარობის შემდგომი ტკივილების მერე
პირველი ზიარება.

ბოლო ჭუჭყის მერე
პირველი სიყვარული.

ბოლო სიტყვის მერე
პირველი ვალი.

ბოლო პფენინგის მერე
პირველი მსოფლიო ომი.

ბოლო განვევის მერე
პირველი პროკურორი.

ბოლო ინტერნაციონალის მერე
ნიურნბერგის პირველი საფეხბურთო კლუბი.

ბოლო პერანგის მერე
პირველი დახმარება.

ბოლო სიბრიყვის მერე
პირველი ვიოლინო.

ბოლო ღირსებების მერე
მამლის პირველი დაყვივლება.

ბოლო ქაქის მერე

ბოლოსდაბოლოს

პირველი თოვლი.

გათანაბრება

რახანია სიტყვა "ბრძოლა" გადავაფასეთ

ჩვენი მცირე-მცირე ლალატებით ხომ ყველაფერი
განუწყვეტლივ აღმავალია
თითქმის წინააღმდეგობების გარეშე

პირწმინდა გამარჯვებები
რომლებიც ტკბილ გამარჯვებებად იღვრება

რამდენი საწოლის გვერდითი ბჯენი!
ვინ მოახერხებს
ერთბაშად ყველა მათგანის დახერხვას?
მერე რამდენი მუქთახორა!
ვინ დაიფრენს მათ
ერთ ლამეში?

ყველა ეს განსხვავება
საძილე საშუალებებსა და საფხიზლე საშუალებებს
შორის

მემარცხენე და მემარჯვენე მეძავებს შორის
ზოგჯერ აჭარბებს უნარს
დიფერენციაციის ჩემეული შესაძლებლობისა

გაეხვიო შენივე თავში
სადაც სინათლე ვერ შემოაღწევს
შესაძლოა იყოს კიდევ უმაღლესი ცდუნებებს შორის

უმცირესი ცდუნება კი არის ცდუნება
ნაიკითხო უარყოფითი დიალექტიკა
და იმავდროულად მხედველობიდან არც სამუშაო
ბაზარი გამოგრჩეს

სწორედ ასეთ ორთვალთან არსებად
წარმოვიდგენ ჩემს თავს დიდი ძალისხმევის ფასად

ზოგჯერ მთელი ჩემი მოკრძალებით ვფიქრობ
რომ ციკლოპი ვარ

მერე კი ისე გადის დღეები
რომ ყურმილს არ ვიღებ

სიმღერა იმაზე რაც ყველაფერს ეხება და რაც უკვე ვიცით

რალაც რომ უნდა ვიღონოთ და თანაც ახლავე
ჩვენ ეს უკვე ვიცით
მაგრამ ჯერაც რომ ადრეა რალაც რომ ვიღონოთ
მაგრამ უკვე გვიან რომ არის რალაც რომ ვიღონოთ
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ კარგად ვართ
და რომ ყოველთვის კარგად ვიქნებით
და რომ ამას არავითარი მიზანი არა აქვს
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ დამნაშავე ვართ
და რომ არაფერ შუაში ვართ დამნაშავე რომ ვართ
და რომ დამნაშავე ვართ იმიტომ რომ არაფერ შუაში
ვართ

და რომ ჩვენ ეს გვაკმაყოფილებს
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ იქნებ უკეთესი ყოფილიყო პირი დაგვემუნა
და რომ ვერ დავმუნავთ
ჩვენ ეს უკვე ვიცით
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ვერავის დავეხმარებით
და რომ ვერავინ დავეხმარება

ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ჩვენ ნიჭიერნი ვართ
და რომ არჩევანი ჩვენზეა არაფერს და კვლავ
არაფერს შორის
და რომ ჩვენ ეს პრობლემა საფუძვლიანად უნდა
გავანალიზოთ
და რომ ჩვენ ჩაიში ორი ნატეხი შაქარი უნდა ჩავაგდოთ
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ჩვენ ჩაგვრის წინააღმდეგი ვართ
და სიგარეტი რომ ძვირდება
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ჩვენ ამას ყოველთვის წინასწარ ვჭვრეტთ
და რომ ჩვენ ყოველთვის მართლები აღმოვჩნდებით
და რომ ამას აზრი არ ექნება
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ეს ყველაფერი მართალია
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ეს ყველაფერი სიცრუეა
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ არის ეს ყველაფერი
ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ დათმენა არათუ ყველაფერი არ არის არამედ
საერთოდაც არაფერია

ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ჩვენ ამას დავითმენტ

ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ეს ყველაფერი სულაც არ არის ახალი

და რომ ცხოვრება მშვენიერია

ჩვენ ეს უკვე ვიცით

ჩვენ ეს უკვე ვიცით

ჩვენ ეს უკვე ვიცით

და რომ ჩვენ ეს უკვე ვიცით

ჩვენ ეს უკვე ვიცით

რონდო

მეტყველება იოლია.

მაგრამ სიტყვებს ვერასდროს შეჭამ.

მაშ, პური გამოაცხვე.

პურის ცხობა ძნელია.

მაშ, გახდი ხაბაზი.

მაგრამ პურში ვერ იცხოვრებ.

მაშ, სახლები აშენე.

სახლების შენება ძნელია.

მაშ, გახდი მშენებელი.

მაგრამ მთაზე სახლის აშენება შეუძლებელია.

მაშ, მთა გადადგი.

მთების გადადგმა ძნელია.

მაშ, გახდი წინასწარმეტყველი.

მაგრამ ფიქრების წაკითხვა შეუძლებელია.

მაშ, იმეტყველე.

მეტყველება ძნელია.

მაშ, გახდი ის, ვინც ხარ

და განაგრძე ბუტბუტი,

უსარგებლო არსებავ.

ორი შეცდომა

ვადიარებ, რომ თავის დროზე
ბელურები ვესროლე ზარბაზნებს.

მიზანს ვერც ერთი რომ ვერ მოხვდა,
ამას მეც ვხედავ.

საპირისპირო არც არასდროს მიმტკიცებია,
უკეთესი იქნებოდა სრული დუმილი.

ძილი, ჰაერის ჩასუნთქვა და ლექსების წერა:
ეს ყველაფერი თითქმის არ არის დანაშაული.

ხეთა შესახებ სახელგანთქმულ საუბარზე
სრული დუმილი.

ბელურებისთვის ზარბაზნების დაშენას კი დაერქმეოდა
შებრუნებული შეცდომა და სხვა არაფერი.

საყმანწვილო ავადმყოფობები

ეს გიგანტური ძუძუთა ბავშვი
თავისი ორმოცდაათი წლის ასაკში
ყველა კონტინენტს რომ
ერთად საჭიროებს საბავშვო მანეჟად
და ჯერ კიდევ მეტყველების დარღვევებით
ეგზემით და ყვიანახველათი
ჭიებით და სისხლიანი საფენებით.

რა გასაკვირია: მის მშობლებს ხომ
ცდა არ დაუკლიათ
ჩანასახშივე მის მოსაშორებლად
გადამღძვალ მისი ექიმები
ყველა ცხენის დოზას ერთმანეთის მიყოლებით
უნიშნავენ
ის კი მაინც უწყვეტად იზრდება

ეს არის მხოლოდ: შეუძლია კი ამ ჩვილ გოლიათს
მის მფარველებს თავი დააღწიოს?
რატომ არის რომ ისინი მას პირს უმუნავენ?
ან ვთქვათ ხელებს რატომღა უბამენ?
რატომ არ აძლევენ სირბილის უფლებას?
ასი წლის რომ მოიყრება ის კრეტინი იქნება
ან პირველი ადამიანი.

ჩვეულების ძალა

*ჩვეულება შეცდომას მშვენიერს ხდის.
ქრისტიან ფიურსტეგოთ გელერტი*

I

ჩვეულებრივ ადამიანებს ჩვეულებრივი
არაფერი სცხიათ ჩვეულებრივი ადამიანების.
და პირიქით.
ჩვეულებრივი ადამიანები უჩვეულოდ მიიჩნევენ იმას,
რომ ისინი უჩვეულოდ მიაჩნიათ.
ისინი უკვე აღარ არიან ჩვეულებრივი ადამიანები.
და პირიქით.

II

ერვევიან იმას,
რომ ყველაფერს ერვევიან.
ამას ჩვეულებრივ
სასწავლო პროცესს უწოდებენ.

III

მტკივნეულია, როცა
ნაჩვევი ტკივილი აღარ არსებობს.
რარივ დაღლილია მისი სიჯანსაღის
ჯანსაღი სული!

თუ, მაგალითად, ერთი უბრალო ადამიანისთვის ძნელია
იყოს უბრალო ადამიანი,
სხვა კომპლექსური პიროვნება
თავის სიძნელებს ისე ამოილულულულებს,
თითქოს ფარისეველი ლოცულობდეს.
ყველგან ეს მარადიული ახალბედები,
რომლებიც რა ხანია ფონს გასულან.
ზიზღიც ძვირფასი ჩვეულებაა.

IV

იქ ჯერ-არყოფნას
ნაჩვევი ვართ.
იქ-ჯერარყოფნა
დაუნერელი კანონია.
ჩვეულებათა მონა
ნაჩვევ კუთხესთან ხვდება
დანაშაულისჩადენასმიჩვეულს.
გაუგონარი შემთხვევა.
ჩვეულებრივი ქაქი.
კლასიკოსები ნაჩვევი იყვნენ,
ამ ყველაფერზე ნოველები ეცხოთ.

V

ჰაეროვნად დაფუძნებია ძალის ჩვეულება
ჩვეულების ძალას.

HOMMAGE À GÖDEL

მიუნჰაუზენის თეორემა, ცხენი, ჭაობი და ქოჩორი,
მომხიბლავია, მაგრამ ნუ დაგავინცდება:
მიუნჰაუზენი მატყუარა იყო.

გიოდელის თეორემა ერთი შეხედვით
რამდენადმე შეუმჩნევლად მოქმედებს, მაგრამ
დაფიქრდი:
გიოდელი მართალია.

"ყოველ საკმარისად მომცველ სისტემაში
შესაძლებელია ისეთი წინადადებების ჩამოყალიბება,
რომლებიც თვით ამ სისტემაში
არც დასაბუთებადია და არც უარყოფადი,
თითქოს თვით სისტემა
იყოს ინკონსისტენტური."

შენ შეგიძლია შენი საკუთარი ენა
შენი საკუთარი ენითვე აღწერო:
მაგრამ არა ამომწურავად.
შენ შეგიძლია შენი საკუთარი ტვინი
შენი საკუთარი ტვინითვე იკვლიო:
მაგრამ არა ამომწურავად.
და ა. შ.

საკუთარი თავი რომ გაამართლოს,
ნებისმიერი მოაზრებადი სისტემა

საკუთარი თავისგან უნდა ტრანსცენდირდეს,
ე. ი. საკუთარი თავი დაანგრიოს.

"საკმარისად მომცველი" ან არა:
წინააღმდეგობრიობის თავისუფლება
არის ნაკლის გამოვლენა
ან წინააღმდეგობა.

(სარწმუნოება=ინკონსისტენტობა.)

ყოველი მოაზრებადი მხედარი,
მაშასადამე, მიუნჰაუზენიც,
მაშასადამე, შენც ხარ სუბსისტემა
საკმარისად ტევადი ჭაობის.

და ამ სუბსისტემის სუბსისტემაც
თავადვეა ქოჩორი,
რეფორმისტებისა და მატყუარების
ეს სანეველა.

ყოველ საკმარისად მომცველ სისტემაში,
მაშასადამე, აქაც, ამ ჭაობში,
შესაძლებელია ისეთი წინადადებების ჩამოყალიბება,
რომლებიც თვით სისტემაში
არც დასაბუთებადია და არც უარყოფადი.

ამ წინადადებებს მოკიდე ხელი
და ამოიღე!

სკერცო

ბელურაა ხელში რომ გყავს
მაგრამ ხელი ფრთა როდია
სხვენში მტრედი შეგისახლდა
მაგრამ სახლი სხვენს როდი აქვს
ჩიტებისგან რა ხეირი?
არც რა ჩემთვის არც რა შენთვის
ცა მდუმარედ გადმოჰყურებს
შურისგებას დანყვილებას შუქს და შიმშილს
(და ვინც არ დუმს – ბელურაა)

კანდიდი

როცა ინფოგადამცემები წრიპინებენ,
შენ ვაზაში ყაყაჩოს ასწორებ.
როცა პომპეის ლავა ღუპავს,
შენ თუთუნს მიქებ.
როცა სამი კანცლერი ქვეყანას ყიდის,
შენ ჩაის ასხამ მონდომებით.
როცა ქალაქი ცამტვერდება,
შენ ნაკადულში სიგებს იჭერ.
როცა სამყარო ფეთქდება,
შენ შენს თაფლს წურავ ნება-ნება.

არაფერია ადამიანზე მეტად ძლევამოსილი;
ე. ი.
სპირალური გალაქტიკა, კულტურის კრიზისები,
მსოფლიო ომები
სხვა არაფერია, თუ არა ეფემერული უმნიშვნელობა,
დროის ნამქერი,
ბავშვური სიცელქეები.

მნიშვნელოვანი ის არის, რომ მონკარუნე სარკმლის
მინა

მონდომებით დაფარო თიხით (შევთანხმდით):
როცა შავ ჭირს გაახსენდები,
გვიან მოგძებნის;
საუკუნე საუკუნეს ენაცვლება, გოგონებს კი
დღესაც სიხარულს ჰგვრის ფერადი სამოსი.

მნიშვნელოვანი ის არის, რომ მხარს
საკადრისი მოსასხამი გიმშვენებდეს (შევთანხმდით):
როცა გემი დაილენება,
ის ამას გვიან იგრძნობს;
კულტურა კულტურას ცვლის და ვისაც შენ უყვარხარ,
იმას ისევ სიხარულს ჰგვრის მიმზიდველი შენი
პროფილი.

მნიშვნელოვანი ის არის, რომ შენ ყლორტები
შესაბამის ხეზე დაამყნო (შევთანხმდით):
როცა ჯალათები ჩამორეკავენ,
ისინი დაგვიანებით მოვლენ;
გამყინვარების რამდენმა დრომ განვლო, ბავშვებს კი
ტკბილი გარგარი ისევ ისე უყვართ.

დემონიზმი? რიგითი დილეტანტიზმია.
კატასტროფები? ისტორიის მონაჩმახია,
გადალახული თიხის დოქებით, პროფილებით,
სულაც შენი გარგრებით, კანდიდ.

სექტემბრის საღამო პორეკკალაში

შემოდგომის სათოვლით აღსავსე ცაში
წმინდა ლავრენტი
უსარგებლო ცრემლებს აფრქვევს,
კობალტს და რკინას:
შხერებზე
ტელურიტულ კოჭებს
გადაუმღერს ჭრიჭინობელა

მნუხრი ზეციდან დაშვებული
ქრება ყურეში

აბლავლებულან სირენები
კრეისერები
ჭუჭყიანი ქორწილისთვის
აღკაზმავენ მთქნარებით ფალოსს

ამაოა
კობალტის და რკინის ცრემლები

კიბო აღისფრად ანთებული
იცდის ლანგარზე
ცეცხლიო ბრძანებს ადმირალი
ერთიანად თეთრით მოსილი
და შთანთქავს მყისვე

გასროლებს შორის

მონაცვლებს ადგილს ჭრიჭინა
თრთის სათოვლია შემოდგომის
გოდებს ლავრენტი
თეთრით მოსილი
მკვლევები სვამენ

ნამსვრევებად ქცეულ შხერებს
გადაუმღერს ჭრიჭინობელა

შემეცნებითი მოგზაურობა

პატრასში მილიონრები შიმშილობენ
ზეცა მინის ქუდად ქცეულა
ალექსანდრე მესამის ხიდის ქვეშ ხალიჩის ბერტყვა
კანონით ისჯება
ჩალის ფასად იყიდება ჩრდილოეთის ერთი კუნძული
ხერესში ორჯერ ხუთი კბილით კოცნიან ერთმანეთს
ჰოლანდიაში კარუსელს „ცხენის წისქვილი“ ჰქვია
ესპანეთში - „კვაჭი ბიძაშვილი“
არსებობს უკარისსახელო ქვეყნები და ქვეყნები
სადაც ვაზი არ ხარობს
ერთგან რომ საფოსტო ყუთები ლურჯია სხვაგან
ყვითელია როგორც კვერცხის გული

ვენეციაში ლაგუნაზე მხოფავებად მკვდრები ჰყავთ
ამოკერილი პირებით როგორც ბურგბერნჰაიმსა
და ბევერლი ჰილზში და ლპებიან ბასკაიის
ყურესა და კასტილიის შიშველ მიწებში
ენის წვერზე მომდგარი ლექსები

ეს და ბევრი სხვა ინფორმაცია მოგზაურობისას
შევაგროვე
ო ქვეყნიერებავ მართლაც რომ საკვირველნი არიან
სავალნი შენნი
აღსავსენი სიკვდილით და მოულოდნელად აღსავსენი
ხალიჩების ბერტყვით და ტიტებით
როგორი ჭკუისსასწავლია შენს შესამეცნებლად ჩვენი
მიმორბენა
ძველი ჩექმებით და ყოველდღიურად მოვლილი თავით.

hotel fraternité

ვისაც არა აქვს ფული კუნძულის შესაძენად
ვინც კინოს წინ დარაჯობს „ზაზას დედოფალს“
ვინც ბრაზისგან და დარდისგან ფლეთს თავის ბოლო
პერანგს
ვინც დუბლონს მალავს დახეული ფეხსაცმლის
შესაკეთებლად
ვინც თავის თავს გამომძალველის პრიალა თვალში
ათვალიერებს
ვინც კარუსელზე კბილებს აღრჭიალებს
ვინც წითელ ღვინოს აქცევს ქვასავით სანოლზე
ვინც წერილებით და ფოტოებით ცეცხლს აბრიალებს
ვინც სანაპიროსთან ამწეთა ქვეშ ზის
ვინც ციყვს ანაყრებს
ვისაც ფული არა აქვს
ვინც თავის თავს განჭვრეტს
ვინც კედლებზე აკაკუნებს
ვინც ყვირის
ვინც სვამს
ვინც არაფერს აკეთებს

ჩემი მტერი
ჩაცუცქულა შვერილზე
სანოლზე კარადაზე
ყველგან იატაკზე
ჩაცუცქულა
ჩემსკენ მზერამომართული
ჩემი ძმა.

მითითებები უკანასკნელი ნების აღსასრულებლად

სახიდან დროშა მომაშორეთ, მელიტინება:
მაგაში ჩემი კატა გაახვიეთ და იქ დამარხეთ,
ჩემი ქრომატული ბალი სადაც იყო.

ამხსენით მკერდიდან თუნუქის გვირგვინი, ასე რომ
ფლრიალებს:
სტატუების სანაგვეზე გადაუძახეთ,
ლენტები კი კახპებს უსახსოვრეთ, მოიპრანჭებიან.

ლოცვები ტელეფონით წამიკითხეთ, ოღონდ სადენი
გადაჭერით:
ან პურის ნამცეცებით სავსე ცხვირსახოცში შეახვიეთ
რუში მობინადრე სულელი თევზებისთვის.

ეპისკოპოსი შინ დარჩეს და კარგად გამოთვრეს:
რომი დაუდგით ხელკასრით,
ქადაგება მაგრად მოაწყურებს.

და დამიხსენით ქანდაკებებისგან და ცილინდრებისგან:
ლამაზი ბაზალტით კი ის შესახვევი მოკირწყლეთ,
რომელშიც არავინ სახლობს,
ჩიტების შესახვევი.

ჩემს ჩემოდანში ბევრი აჭრელებული ქაღალდია, ჩემი
ციცქნა ბიძაშვილისთვის:

დირიჟაბლები დაამზადოს, ხიდიდან წყალში ლამაზად
რომ ჩაასრიალებს
და დინება ჩაძირავს მერე.

რაც მორჩება: ქვედა საცვალი სანთებელა ლამაზი
ოპალი
და მალვიძარა, მეძველმანე კალისტენეს უნდა აჩუქოთ,
და საკადრისი ხელის ფულიც ზედვე დაურთოთ.

რაც შეეხება ხორცის აღდგომას და მარადიულ
ცხოვრებას
ამაზე, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, თავად ვიზრუნებ:
ეს ჩემი საქმეა, ხომ მართალს ვამბობ? სულ კეთილად
ბრძანდებოდეთ.

ერთი-ორი ღერი სიგარეტი კიდევ დამრჩა ლამის
მაგიდაზე.

სიყმაწვილისდროინდელი შიშის გახსენება

ღამე რაა და ჭინჭრის საწოლი
ხელი ვარდივით გიშარიშურებს
მან გაიცინა ჩემს ყელთან ერთხელ
ბრმა გული დაწვა ღვიის არაყმა
ცეცხლოვანია ჩემი იახტა

ცოტო რაგოუსე-ს შვერილის კირში
შენი ნაკბენი ზღვის მარილს ანდე
ო მოტეხილი ფეხი მიჩვენე
შენს ბნელ გულს უდის ქაფურის სუნი
სისხლში დაფლული ბლუზს აგრიალებს

ო შეიძულე ყრუ შიბოლეთი
მიეც სილალე ჩემს ბოლო საათს
სტვენით ვლოს მეტროს მატარებელი
რარიგ დიდია მოსაცდელეები
ადაფდაფდება კელნერთა ლოცვა

დაკითხვა შუალამით

სად იმყოფები, ხელით ჩემს ხელს ჩაჭიდებულო,
შენ, მეგობარო ქალო, რომელ თაღებს
გაივლის, როცა ზარები კოშკებისა
თავ-თავიანთ ზმანებებში ნამსხვრევებად
გადაქცეულან,
ეგ შენი გული?

სად და რომელი განაკაფით დაშურებულხარ
შენ, ვის ნაზ ღანვებს ფრთხილად ვეხები, მაინც
რომელი
თავბრუდამხვევი ღამის ბალახი გეაღერსება,
სიზმარეული რა ფონია,
ფეხს რომ გისველებს?

სად შარიშურობ, ცარიელი ცა რომ რუხდება,
უძვირფასესო,
ზმანებათა ლელქაშს რომ განვლი, ეაღერსები
რომელ კარებს, რომელ აკლდამებს, ვის მაცნეს
უცვლის
კოცნას შენი შეუმჩნევლად მთრთოლვარე
ბაგე?

სად მოვიძიო ის ფლეიტა, შენ რომ ყურს უგდებ,
სად – ის ღრიალი თმას უჩუმრად
რომ გიფრიალებს, და ვწევარ ხელფეხშეკრულივით
და ვაყურადებ და ვფხიზლობ და სად განიმქრა

შენი ნაკრტენი?

სად, რა ტყეებში გაუხვევიხარ,
შენ, მეგობარო ქალო, ჩემს ხელს ჩაჭიდებულო,
ზმანებას შენსას?

წერილი დაბადების დღისთვის

ბებერი ხარ: ბებერი: ფოთოლივით გიჭკნება ქუთუთო:
საფეთქლები გიობდება: ხშირი ხავსი
როგორც ეჭვი ამძიმებს ნეკნებს: კენჭს
რანდავენ სისხლძარღვები: შეშუპება
როგორც უბედურება: როგორც სოკო დაძმარებული:
ორგანოებში
სარცხვინელივით იბერება თეთრი ნანაზარდი:
როგორც იღუმალი კენკრა: მღუმარედ: როგორც
ვარდი
შუბლზე: როგორც სირსველი დამყაყებულ სისხლში:
გაყვითლებული თესლი: აუჩქარებლად: ფერფლივით
აუჩქარებლად
ექაჩება სოკო ძაფებს თავის ტვინში: ობობებივით
მოდებიან ბაგეებს სიბრძნე და ჯავრი
არტერიების სველ ბადეში ერთმანეთს ხრავენ
ზიზღი და სიძუნწე: ყურში ტკილი აღწევს: სიზმრებში
კირი: რაკრაკებს ცარცი: ჯირკვლების სიღრმეში
დაფლული გული აკაკუნებს: ბებერი: დახმარების
სათხოვნელად:
ბებერი: შენ ხარ ბებერი ხარ შენ: ბებერი.

სულისმოთქმა და ხსოვნა

ჩემი პფენინგი ზღვის ფსკერზე მწვანობს
ჩემს სიყვარულს ცივ მთებში ჟანგი მოკიდებია
ჩემმა ძმობილმა ცისტერნაში წყურვილისგან დალია
სული

ჩემი მეგობრობა შვავს დაუტანია
წერილები დანახშირებულან
დასკინტავს და დაჰყაპყაპებს იმათ თოლია

დავანთოთ, მე და ჩემმა ჩრდილმა,
ერთ უბადრუკ ხეობაში ცეცხლი
ელვით შევერცხლილი მკვდარი ჯოხსამიჯნებით
ძველი დაფნებით და ნატანი ტოტებით
გავთბეთ ჩვენ, მე და ჩემი ჩრდილი,
და შევსვათ ბნელი ღვინო
იმათ მოსაგონრად
ვისაც უკვე აღარ სწყურია.

სიკვდილის გახსენება

აღკიბიადე ჩემო ზიარო
დიდი ხანია რაც შორს წასულხარ
დაშურებულხარ ჩემთვის უცნობ გზებს
ოჰ რეგატის დროს ბორტზე აღარ ხარ
და კალმახებსაც უკვე მარტო უნდა ვიჭერდე
და თვით ყავის ფქვაც აღარ მახარებს
და უკვე წვიმაც ვერ დაგასველებს
დარდიანი ვარ როცა გროგს ვუკვეთ

აღკიბიადე ჩემო ზიარო
რაც შორს წასულხარ დიდი ხანია
ჩემს კარადაში ბინა უდევს იმ ძველ სალამურს
სადმე სხვაგან კი (იქნებ შემორჩა ცარიელი ადგილი
ბლოკნოტს)

ოთახში რასაც მე ვერ ჩავწვდი ჯერაც ბოლომდე
წვანან წითელი ჩვენი კატა და პატარძალი
ყველა ლუდხანა დაცლილია და ხმამაღალი
ღამეები კი მწვანე სინათლით

აღკიბიადე ჩემო ზიარო
დიდი ხანია რაც შორს წასულხარ
ძვირფასო, უნდა დაგივიწყო ბოლოსდაბოლოს
ხდება დროდადრო თავს მაცხრება კიდევ ერთი
ძილგამტყდარი წვეთი სიტყვისა
დარტყმა ჰალსტუხი საკვები ხრინწი
თეთრი ჩიტების მფრთხალი ხივილი

თანაც ვმოხუცდი და რიყის ქვას მიგავს ღიმილი
ტკბობით მოველი შორ მხარეში იმ ჩვენს შეხვედრას

იმ მსუბუქ ტალღებს
ალკიბიადე
ალკიბიადე ჩემო ზიარო

სოციალური პარტნიორი სამხედრო მრეწველობაში

კბილთა ღრჭენის გამომწვევი სანახაობაა
ქონიანი ტახები ტერასებზე
მდიდრულ სასტუმროთა, გოლფის მოედნებზე
დამსვენებლები თქვლეფისგან და ქურდობისგან,
რჩეულნი ღვთისა.

უძნელესია

შენი გაძლება, არარაობავ,
წვიმაგაუმტარ ლაბადაში გამოხვეულო, მბურღავო,
წვრილო ბურჟუავ, კანონმორჩილო, ასესორო,
შეგირდო,
შენი ყვითელი იერსახე ნაღველს დაუხრავს:

მძალევ, სწორედაც ცხვირით სათრევად გა-
ჩენილო, უსიცოცხლო ქარით ქუდამოვსებულო,
შენივე ხელბორკილებს რომ ჭედავ,
შენივე სიკვდილის მეანე ქალო,
კონდიტერო იმ შხამისა, შენვე
რომ უნდა მოგიღოს ბოლო.

რა თქმა უნდა,

ბევრი გპირდება, რომ სიკვდილს
აღკვეთს. მის წინააღმდეგ ლაშქრობისკენ
მოგიწოდებენ შენ ეს მკვლელები.
ბრძოლას კი შენ აგებ და არა
ბოროტმოქმედება: ის, უბრალოდ,
სხვადასხვაფრად იღებავს ნიღაბს:
შავი რჩება სისხლი მსხვერპლისა.

ვაშლის დატირება

აქ იდო ვაშლი და
აქ იდგა მაგიდა
ეს იყო სახლი და
ეს იყო ქალაქი
აქ სძინავს ქვეყანას.

ვაშლი, იქ რომ მოჩანს,
ეგ – დედამიწაა
ლამაზი ციური სხეული
ვაშლები და ვაშლისმჭამელები
რომელსაც ესხა

სამოციანი წლების გახსენება

სიყვარულით და შრომით მხიარულნი
მიცემულნი, უშიშრად
მიცემულნი ჩვენივე ფორიაქს,
უზრუნველად მიცემულნი
ჩვენივე ზრუნვას

ვსხლტებოდით,
ვფრენდით და ისევ ვეშვებოდით,
ნაპირები კიდევ ერთხელ გვხვდებოდა ხსნილი

წყნარი იყო ჩრდილოეთის საღამოები
ივნისში, უდარდელად წიკნიკებდა თითბრის საათი
კუნძულებზე, მსუბუქად დაქროდა ნათელი სიცილი,
მსუბუქად დაქროდნენ მცირედნი ყვირილნი, მსუბუქად
დაქროდა ივნისის მუსიკა ნათელ ოთახებში
ღამ-ღამობით, იდგა გულმავინყი ხის სახლი,
შემოკავებული, რომელშიც სიბნელე არ იყო,
მშვიდად, მშვიდად იწვა ნავი ხიდთან, წყნარად
მიმოდოდნენ მეგობრებს შორის საუბრები,
წყნარად სხლტებოდნენ თეთრი ხმები,
თითქოს ბედნიერებისთვის მიეგნოთ, წყნარად
იდგნენ წიგნები, კლდეები, ლავგარდანზე
იდგა ნათელი არაყი ცეცხლოვანი.

უდარდელად გავუსხლტით
სხლტომის დროს,

უშიშარნი ასე რომ უვიცნი
მდუმარენი ასე რომ მოლაყბენი
მხიარულნი ასე რომ უმონყალონი:
ასე რომ გავქრით
იმ წლებიდან.

კლდეები,
უფუცად უშიში
მოლაყბედ მდუმარე
უმონყალოდ მხიარული:
კვლავაც სიცოცხლეში სუფევენ კლდეები.

ჰაერზე მსუბუქი

არც ისე მძიმე
წონა აქვთ ლექსებს.
მე ვფიქრობ, როცა
ცაში მიქრის ჩოგბურთის ბურთი, მსუბუქია,
ვიდრე ჰაერი.

ჰელიუმი - თავისთავად,
შთაგონება, ეს ფუთფუთი
ჩვენს თავის ტვინში,
ასევე – წმინდა ელმის ცეცხლი
და რიცხვები ნატურალური.

არარსის წონას უტოლდება ლექსების წონა;
რაც შეეხება ტრანსცენდენტებს,
მათ კეთილშობილ ბიძაშვილებს,
მიუხედავად იმისა, რომ მათი რიცხვი უთვალავია,
სათქმელად არც ღირს.

თუ არ მეშლება, იგივე ითქმის
იმ მაგნიტის შარავანდედზეც,
ჩვენ რომ ვერ ვხედავთ,
და – წმინდანთა უმრავლესობის შარავანდედზეც,
და ეს უკლებლივ ყველა ვალსის ჰანგსაც ეხება.

როგორც დარდი დავიწყებული,
როგორც ბოლო სიგარეტის

მოლურჯო ბოლი,
მართლაც არის
„მე“ ჰაერზე უფრო მსუბუქი.

და, როგორც ჩემთვის ცნობილია,
არის კვამლი სამსხვერპლო მხეცის,
რომელიც ღმერთებს კეთილად უჩანთ,
ყოველთვის ცისკენ ასწრაფებული.
დირიჟაბლიც ამასთანავე.

სხვაც მრავალია,
რაც ლივლივებს.
უმსუბუქესს ინონის, ალბათ,
ისიც, რაც ჩვენგან შემორჩება,
მინა როცა დაგვისაკუთრებს.

საკალენდრო გამონათქვამები

მდუმარე არის ღვიძლი.
მსუბუქი არის მტვერი.
ხე როდი არის ფუტურო.
ყრუნი არიან ღმერთნი.

თავად თესს ქარს და თავადვე
იმკის ქარიშხალს მერე
ადამიანი, უნესო
და არც მთლად გონიერი.

ურცხვია ძალაუფლება.
სიშლეგე ხარობს მისით.
ღრუბლები არის ლამაზი.
სასიკეთოა ძილი.

მავანი სჩადის, რაც ძალუძს.
მავანს სიკვდილი ძალუძს.
ეს არაფერსაც არ ნიშნავს.
მავანი საზრისს არ ფლობს.

ხანდაზმულია მიწა.
თბილია კალთა მიწის.
მკვდრები ცივები არიან.
არარა არის დიდი.

**ავტორის შენიშვნები შემდეგი გამოცემიდან:
Hans Magnus Enzensberger, Gedichte 1955-1970. Suhrkamp
Verlag Frankfurt am Main 1971**

ქვეყნის ენა. პლინიუსი წერს ერთი ათენელის დაკარგული ნაშრომის შესახებ, რომელშიც საუბარია მისი ხალხის ხასიათზე: "მას (ანუ პარაზიუსს) სურდა ისინი (ანუ მისი ქვეყნის ხალხი) ისე წარმოედგინა, როგორც ის მათ წარმოუდგებოდა: კერძოდ ჭრელი, ფხუკიანი, უსამართლო, ოპორტუნიზმისკენ მიდრეკილი; ამასთანავე, გავლენებს იოლად დაქვემდებარებადი, გულჩვილი, გულითადი; მალლამხედი, განათლებული, უხამსი, მძვინვარე, მხდალი - და ეს ყველაფერი ერთბაშად და ერთდროულად."

ლიქენთუწყება. Graphis scripta: ლიქენნერილი. "ვის შეგიძლიათ ამის წაკითხვა!": ბიუხნერის ვოიცეკი-დან, ექიმის სცენაში. წითლად ფერილი იისფერი და ატმისფერი: საღებავი ფერები, რომლებიც ლიქენიდან იქნა მიღებული. მანანა: "ისრაელიტელების მიერ უდაბნოში ნაგემი მ. არ-ა-ბეთსა და ძირითადად სინასთან გავრცელებული ბუჩქიდან, *Tamarix mannifera* Ehrbg. (იხ. *Tamarix*) უნდა წარმომავლობდეს; მაგრამ სავარაუდოა ისიც, რომ ბიბლიაში ნახსენები ეს მ. სამხრეთ აფრიკისა და წინა აზიის უდაბურ ადგილებში გავრცელებული მანანლიქენი (იხ. *Spaerithallia*) იყო." (ბროკჰაუზი, მეთოთხმეტე გამოცემა.)

ყვავილების დღესასწაული. ლექსი ერთ აცტიკურ ტექსტს უბრუნდება, რომელიც ბერნარდინო დე საჰაგუნის

Codex florentinus-ში მოიპოვება. მნიშვნელოვანი გამოცემა ამერიკელებმა Arthur J. O. Anderson-მა და Charles E. Dibble-მ უზრუნველჰყვეს (Santa Fe, New Mexiko 1951-1963).

შავ-თეთრი ნახატი. ჰერმან ვაილი (1885-1955), გერმანული წარმოშობის მათემატიკოსი, 1933 წლიდან ემიგრანტი ამერიკაში.

Hommage à Gödel. დიდმა მათემატიკოსმა კურტ გიოდელმა, დაბადებულმა 1906 წელს ბრუნში და 1953 წლიდან პრინსტონში მოღვაწემ, თავისი თეორემა შემდეგ სტატიაში გადმოსცა: *Principia Mathematica-isa da monaTesave sistemebis formalurad gadauWreli winadadebebis Sesaxeb*. Monatshefte für Mathematik und Physik, ტომი 38 (1931), გვ. 173-198.

მთარგმნელის მიმღვნები

გეორგ თრაკლის ლექსთა თარგმანები მორიდე-
ბით და პატივისცემით ეძღვნება ჩემს მეგობარს,
ბელა ნიფურიას.

ჰანს არპის ლექსთა თარგმანები ეძღვნება ყვე-
ლა იმ პოეტს, რომელსაც ლექსი არასდროს და-
უნერია და გული სწყდება ამის გამო.

ერნსტ მაისტერის ლექსთა თარგმანები ეძღვნე-
ბა ჩემს მეგობარს, **Uli Rothfuss**-ს, მისი ვაჟის -
Janmarc Rothfuss-ის - დაღუპვით გამოწვეულ
მის ტკივილში თანაგრძნობის ნიშნად.

ჰაულ ცელანის ლექსთა თარგმანები ეძღვნება
ჩემს მეგობარს, **Elisabeth Chabuel**-ს.

ჰ. მ. ემცენსბერგერის ლექსთა თარგმანები ეძ-
ღვნება ჩემს მეგობარს, **Magdalena Sprich**-ს.

ცნობები ავტორთა შესახებ

გეორგ თრაკლი 1887 წელს დაიბადა ზალცბურგში. 1897 წელს მშობლებმა შეიყვანეს გიმნაზიაში. იმის გამო, რომ ცუდად სწავლობდა, გიმნაზიის მე-4 საფეხურის გამეორება მოუწია, მაგრამ სწავლა მაინც ვერ დაასრულა და ატესტატის გარეშე დარჩა. გიმნაზიაში სწავლის წლებშივე მიეჩვია ნარკოტიკულ ნივთიერებებს (მორფიუმს, ოპიუმს, ვერონალს). 1905 წელს ფარმაკოლოგიას ეუფლებოდა ზალცბურგის აფთიაქში "თეთრი ანგელოზი". აქ მას ნარკოტიკული ნივთიერებების მოპოვება კიდევ უფრო გაუიოლდა. 1910 წელს სამხედრო სამსახურში ერთწლიან მოხალისედ ჩაენერა და სანიტარულ განყოფილებაში აღმოჩნდა. მომდევნო წლებში თრაკლი ამაოდ ცდილობდა სტაბილური სამსახურებრივი მდგომარეობის მოპოვებას ზალცბურგში, ვენასა და ინსბრუკში. 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ის, როგორც სამხედრო აფთიაქარი, ფრონტზე აღმოჩნდა. ომის საშინელებამ, დაჭრილ და დახოცილ ჯარისკაცთა რეალობამ და ირგვლივ გამეფებულმა უნუგეშობამ მისი დეპრესია კიდევ უფრო გააღრმავა და თრაკლმა თავის მოკვლა სცადა. იგი მაშინვე სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, რათა მის სულიერ მგომარეობას დაკვირვებოდნენ. სწორედ იქ, 1914 წლის 3 ნოემბერს, პოეტი კოკაინის ზედმეტი დოზის მიღების შედეგად გარდაიცვალა. თრაკლმა თავისი პირველი ლექსები 1908 წელს გამოაქვეყნა, მისი პირველი პოეტური კრებული 1913 წელს გამოიცა, მეორე კი – 1914 წელს, მისი გარდაცვალების მერე. თრაკლის პოეზია ფრანგი სიმბოლისტების, პირველ რიგში რემბოსა და ბოდლერის ძლიერ გავლენას განიცდიდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მან სა-

ინგო ლედერმანის დატირება

მკვდარია იგი, ვინც ორღანებს აჟღერებდა,
ეალერსებოდა.

ტყავის სამოსიანმა ხელსავსე მოამბემ
უნწყება მოიტანა და ხელის ფული გამოიმუშავა.

ზაფხულის ქუჩების საამო მტვერი. სოფელი,
ისეთი, როგორიც ჩვენი სოფლებია. სალენი მანქანები.
სისხლიანი ძუკნა. უავდრო სალამო.

შენ ვერავის შეეზიარები, ვერც ერთ ქვრივს,
ვერც ერთ ძალღს. ვინც შადრევნებს იცნობდი, ორღანს
აჟღერებდი.
ცრემლით სავსე პირით, ქვიშით სავსე პირით.

კუთარი პოეტური ესთეტიკა შექმნა. თრაკლის პოეტურმა სამყარომ უდიდესი გავლენა მოახდინა მთელ გერმანულენოვან პოეზიაზე.

ჰანს არპი 1886 წელს დაიბადა ელზასში, რომელიც იმ დროს გერმანელების კუთვნილება იყო. მამამისი კილელი თამბაქოს მეფაბრიკე იყო, დედა – ელზასელი მომღერალი და პიანისტი. მიუხედავად იმისა, რომ არპის მშობლიური ენა გერმანული იყო, ის ფრანგულენოვან გარემოში იზრდებოდა და ადრეული ასაკიდან ორიგინალში ეცნობოდა ფრანგულ ლიტერატურას. ის არ იყო ბეჯითი მოსწავლე, მაგრამ გატაცებით კითხულობდა ფრანგ პოეტებს (მისი ესთეტიკის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონიეს რემბომ და ლოტრეამონმა), გერმანულ რომანტიკოსებს. 1900 წელს ის შტრასბურგის გამოყენებითი ხელოვნების სკოლაში შევიდა, 1904-1908 წლებში კი ვაიმარის საქსონური ხელოვნების სკოლაში და პარიზის ჟიულიენის აკადემიაში სწავლობდა. 1912 წელს მიუნხენში გაიცნო ვასილი კანდინსკი და ჟურნალ "ლურჯი მხედრის" წევრებს დაუახლოვდა. გამოუცხადა თუ არა გერმანიამ ომი საფრანგეთს, არპმა პროტესტის ნიშნად სამშობლო დატოვა და პარიზში გადასახლდა. 1915 წელს მას ჯაშუშობაში დასდეს ბრალი და საფრანგეთი დაატოვებინეს. გერმანიის არმიაში გამწესებას არპი შეშლილობის სიმულაციით გადაურჩა. 1916 წელს ციურიხში, ჰუგო ბალთან, ტრისტან ტცარასთან, რიხარდ შიულზენბეკთან და მარსელ იანკოსთან ერთად დადაისტური მოძრაობა დააფუძნა, რომლისთვისაც არასდროს უღალატია. 1922 წელს მან ცოლად შეირთო მხატვარი სოფია ტოიბერი, რომელსაც 1915 წლიდან იცნობდა. 1926 წელს არპმა საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო და მეუღლესთან ერთად პარიზთან ახლომდებარე მედონში დამკ-

ვიდრდა. 1943 წლის ზამთარში სოფია ქვანახშირის ღუმლიდან გამოსული კვამლით გაიგუდა, რამაც არპის ხანგრძლივი დეპრესია გამოიწვია. ამის მერე ის კიდევ უფრო ჩაულრმავდა მისთვის ძვირფას შუა საუკუნეების გერმანელ მისტიკოსებს, მაისტერ ეკჰარტსა და იაკობ ბიომეს. 1959 წელს, მარტოობით დაღლილმა არპმა ცოლად შეირთო თავისი დიდი ხნის მეგობარი მარგარეტ ჰაგენბახი, რომელსაც ის და სოფია 30-იანი წლებიდან იცნობდნენ. არპი 1966 წელს, ლექსის წერის დროს გარდაიცვალა ბაზელში. მისი ლექსები მხოლოდ ერთი მხარეა მისი პოეზიის, რომლის მეორე ფრთასაც ქანდაკება წარმოადგენს.

ერნსტ მაისტერი 1911 წელს დაიბადა ჰასპე-ჰაგენში. სწავლობდა ჰასპეს მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო გიმნაზიაში. 1930 წელს მაისტერი, მამის დაჟინებული მოთხოვნით, მარბურგში ევანგელისტური თეოლოგიის შესწავლას შეუდგა, მაგრამ მალე ფაკულტეტი შეიცვალა და ფილოსოფიისა და გერმანისტიკის შესწავლას შეუდგა. მისი მასწავლებლები იყვნენ კარლ ლოვითი და ჰანს გეორგ გადამერი. შერყეულმა ჯანმრთელობამ მაისტერს დისერტაციეზე მუშაობის შესაძლებლობა არ მისცა. 1934 წელს მან სწავლა განაგრძო ფრანკფურტში, 1939 წელს კი ჰაგენში დაბრუნდა მამამისის ფაბრიკაში სამუშაოდ. 1940 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, 1942 წელს ტყვედ ჩავარდა. გათავისუფლების მერე შინ დაბრუნდა. 1950 წელს სწავლა განაგრძო ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში და სცადა ნიციშეზე დიდი ხნის წინ დაწყებული დისერტაციის დასრულება, მაგრამ ერთი წელი არ იყო გასული, რომ ისევ ჰაგენში დაბრუნდა და მამამისის ფაბრიკაში შეუდგა მუშაობას. ამის მერე აკადემიური კარიერის გაგრძელებაზე აღარ უფიქრია. მიუხედავად იმ-

ისა, რომ მაისტერმა თავისი პირველი პოეტური კრებული ჯერ კიდევ 1992 წელს გამოსცა, მისი ყველა უმნიშვნელოვანესი კრებული 50-იანი წლების მერე გამოვიდა. ის, ასევე იყო დრამატურგი და მხატვარი, პერიოდულად ენცობოდა მისი გამოფენები გერმანიის ქალაქებში. მაისტერი 1979 წელს გარდაიცვალა. ამ დროს მას უკვე მიღებული ჰქონდა გერმანიის არაერთი მნიშვნელოვანი პრემია. პოეტის შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია ნიცმეს და მარტინ ჰაიდეგერის ნააზრევმა. მაისტერის ფილოსოფიური ლირიკა გერმანული ფილოსოფიური პოეზიის გზას აგრძელებს. 1981 წლიდან გერმანიაში არსებობს მისი სახელობის პრემია, რომელიც ენის წინაშე განსაკუთრებული პასუხისმგებლობისთვის ორ-სამ წელიწადში ერთხელ ენიჭებათ გერმანულ პოეტებს.

პაულ ცელანი 1920 წელს დაიბადა ჩერნოვიცში (მაშინ რუმინეთის, ამჯერად კი უკრაინის ტერიტორიაზე), გერმანულენოვანი ებრაელების ოჯახში. ის ჯერ გერმანულ, მერე კი ებრაულ, რუმინულ და უკრაინულ გიმნაზიებში სწავლობდა. 1938 წელს მედიცინის შესასწავლად საფრანგეთში გაემგზავრა, მაგრამ ერთ წელიწადში კვლავ რუმინეთს დაუბრუნდა და რომანისტიკის სწავლას შეუდგა. 1940 წელს ჩერნოვიცში საბჭოთა ჯარები შევიდნენ, 1941 წელს კი ბუკოვინა და მისი დედაქალაქი გერმანელებმა დაიპყრეს. 1942 წელს ცელანის მშობლები ტრანსნისტრიის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს, სადაც მამამისი ტიფმა იმსხვერპლა, დედამისი კი დახვრიტეს. თვითონ ცელანი 1943 წლამდე იძულებით სამუშაოებს ასრულებდა შრომით ბანაკებში. რუსების მიერ რუმინეთის აღების მერე ის ჩერნოვიცში დაბრუნდა და იძულებით შეწყვეტილი სწავლა განაგრძო. მალევე გადავიდა სასწავლებლად ბუქარესტში, 1947 წელს კი ავსტრიაში გაიქცა, საიდ-

ანაც პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. ცელანი თავს, ძირითადად, თარგმანებით ირჩენდა (იგი რუსული, ფრანგული და რუმინული პოეზიის კონგენიალური თარგმანების ავტორია). პოეტის მატერიალური მდგომარეობის სტაბილურობაში დიდი როლს ასრულებდა მისი მეუღლე, ძირძველი ფრანგი არისტოკრატების ჩამომავალი ჟიზელ ლესტრანჟი. 60-იანი წლების მერე ცელანის სულიერი მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა. მან რამდენჯერმე სცადა თავის მოკვლა, გონების დაბინდვის მომენტებში კი საშიშროებას უქმნიდა ცოლ-შვილის სიცოცხლესაც. რამდენჯერმე იყო სტაციონირებული ფსიქიატრიულ კლინიკაში. 1970 წელს მან თავი დაიხრჩო სენაში. ცელანის შემოქმედება ფრანგი სიმბოლისტების და გეორგ თრაკლის ესთეტიკიდან ამოიზარდა. მისი პოეტური აზროვნების წყობაზე და, საერთოდ, ფუნდამენტური პოეტური ყოფიერების მისმიერ გაგებაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია ფრიდრიხ ჰოლდერლინის და რაინერ მარია რილკეს ცხოვრებამ და შემოქმედებამ, ასევე – მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიამ.

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი 1929 წელს დაიბადა კაუფბოირენში. მისი სასკოლო წლები მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობას დაემთხვა. ომის მერე, როცა სიმნიფის ატესტატი აიღო, საკუთარი თავის და ოჯახის (მათ შორის - ორი უმცროსი ძმის) სარჩენად შავ ბაზარზე ვაჭრობა, ბარმენობა და თარჯიმნობა უწევდა. "გერმანელი ხალხის სასწავლო ფონდის" სტიპენდიის მოპოვებამ შესაძლებლობა მისცა, ლიტერატურათმცოდნეობა და ფილოსოფია შეესწავლა ერლანგენში, ფრაიბურგში, ბრესლაუში, ჰამბურგსა და პარიზში (სორბონში). 1955 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1957 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი პოეტური კრებული "მგლებ-

ის დაცვა", რომელმაც მას უდიდესი წარმატება მოუპოვა ჯერ გერმანიაში, მერე კი – მთელ ევროპაში. ამავე წელს, როგორც თავისუფალი მწერალი, გაემგზავრა ნორვეგიაში, 1959 წელს კი – რომში. 1963 წელს, 33 წლის ასაკში, მიიღო გერმანიის უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო – გეორგ ბიუხნერის პრემია. 1968 წელს, უესლიანის უნივერსიტეტის (კონექტიკუტი) სტიპენდიატმა ენცენსბერგერმა, ამერიკის საგარეო პოლიტიკის მიმართ პროტესტის ნიშნად, სტიპენდიაზე უარი თქვა და კუბაში ჩავიდა, სადაც ერთი წელი დაჰყო. 70-იან წლებში მან, ფრანკფურტის კრიტიკული სკოლის გავლენით, ჩამოაყალიბა მედიის კრიტიკული თეორია, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. მიჩნეულია, რომ ენცენსბერგერის პოლიტიკურმა ლირიკამ საუკეთესოდ გააგრძელა ბრეხტის ტრადიცია, მისმა ესსეისტურმა ნააზრევმა კი გერმანიის ინტელექტუალურ ცხოვრებაზე არსებითი ხასიათის ზეგავლენა მოახდინა. ენცენსბერგერი ასევე ცნობილია, როგორც გამომცემელი და მთარგმნელი, დრამატურგი და ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტების ავტორი.

სარჩევი

გეორგ თრაკლი

წიგნიდან ლექსები (1913)

მუსიკა მირაბელის ბაღში	7
მწუხრის მელანქოლია	8
მშვენიერი ქალაქი	9
მიტოვებულ ოთახში	11
ავდრიანი მიმწუხრი	12
შემოდგომაზე	13
ჩემი გული სალამოობით	14
გლახები	15
სიცოცხლის სული	16
გასხივოსნებული შემოდგომა	17
ტყისპირი	18
სამახსოვრო ჩანაწერების ძველ წიგნში	20
გარდასახვა	21
კაცობრიობა	22
De profundis	23
ვირთხები	25
ფსალმუნი	26
კრიალოსნის საგალობლები	29
<i>დისადმი</i>	29
<i>სიკვდილის სიახლოვე</i>	30
<i>ამინ</i>	31
მწუხრის სიმღერა	32

ლამის სიმღერა	33
ჰელიანი	34
<i>წიგნიდან სეპასტიანე სიზმრად (1915)</i>	
ბავშვობა	40
დროთა საგალობელი	42
გზად	44
სანახი	46
ყრმა ელისისადმი	47
ელისი	48
ჰოჰენბურგი	50
სეპასტიანე სიზმრად	51
ჭაობთან	55
გაზაფხულზე	56
სალამო ლანსში	57
ბერთამთაზე	58
კასპარ ჰაუზერის სიმღერა	59
ლამით	61
სონია	62
სიმშვიდე და მდუმარება	63
ანიფი	64
დაბადება	65
აღსასრული	66
სიყრმის ჟამს გარდაცვლილისადმი	67
მწუხრი სულისა	69
დასავლეთის სიმღერა	70
ფერისცვალება	72
თბილი მშრალი ქარი	73
მგზავრი	74

კარლ კრაუსი	75
დადუმებულთადმი	76
ვნება	77
სიკვდილის შვიდხმიანი საგალობელი	79
ზამთრის ღამე	81
ვენეციაში	82
განსანმენდელი	83
მზე	85
დატყვევებული შაშვის გალობა	86
ზაფხული	87
ზაფხულის მიწურული	88
ნელინადი	89
დასავლეთი	90
სულის გაზაფხული	93
ბნელში	95
მიცვალებულის გალობა	96
<i>ჟურნალ DER BRENER-ში გამოქვეყნებული (1914/15)</i>	
ჰელბრუნში	98
გული	99
ძილი	101
ავდარი	102
სალამო	104
ღამე	105
ნაღველი	106
შინ დაბრუნება	107
აღმოსავლეთში	108
გვრინი	109
გროდეკი	110

<i>სიცოცხლეში გამოქვეყნებული სხვა ლექსები</i>	
განთიადის სიმღერა	111
სიზმრადმარები	113
სული ღამისა	114
<i>დანატოვარი 1909-1912</i>	
მელუზინა	115
გვრინი	116
უფრო და უფრო მეტად ბნელდება	117
<i>დანატოვარი 1912-1914</i>	
დეღირიუმი	118
ძველი ჭის პირთან	119
ძველ ბალს ეტრფის მდუმარება განსვენებულის...	120
ლურჯმა ღამემ უნაზესად გაანათა ჩვენი შუბლები...	121
ო, ბინადრობა შებინდული ბალის დუმილში...	122
მნუხრის ჟამს	123
დაიკოს ბალი	124
ქარი, თეთრი ხმა, დაბანგულის საფეთქელთან...	125
ასერიგ წყნარად ჟღერენ მიმნუხრზე...	126
დაბურული ტოტებიდან გაზაფხულის ცვარ-ნამი...	127
ო, განფოთილი წიფლები და მოშავო თოვლი...	128
ჟამი გლოვისა	129
ღამეული მოთქმა	130
თხოვნა	131
მნუხრის ჟამს	132
ნითელ სახეებს შთანთქავს ღამე...	133
ფსალმუნი	134
სიცოცხლის ხანა	136
მზესუმზირები	137

ჰანს არპი

შტრასბურგული კონფიგურაცია	141
ვაი ჩვენი კეთილი კასპარი მოკვდა...	144
ვარსკვლავებიდან შავი ქარები ჯაჭვებივით...	146
დიდგვაროვანი ქალბატონი საზეიმოდ ტუმბავს...	147
გადაყლაპული ბიჭუნები...	148
რკინის ტოლჩებიდან...	149
ფოთლოვან ტყეებში...	150
ნამმზომი	151
საჭიროება	152
დაბნეული ანგელოზების საქმენი და უხამსობანი	153
ვარდები მიაბიჯებენ ფაიფურის ქუჩებზე	155
ადამიანი ფლეიტისტია	156
სიბნელე ხდება უფრო ბნელი	158
ვაკე	159
ტყვიის ბრტყელი ღრუბელი	161
თოჯინები	163
ადამიანები	167
თაგვები და კატები	173
სად	175
მომზირალი	176
სამწუხაროდ არა	177
Who is who	178
ადამიანს ეხება საქმე	180
ლოცვა	182
დაინყო...	183
ოცნების მარადიული ყვავილები	184

ერნსტ მაისტერი

ადამიანთა მონოლოგი	189
L'HOME MACHINE BLEUE II	190
მოკაკვული	191
სიბნელე	192
სიგრილე	193
ყველაფერი საკუთარ თავს დაფუძნებია...	194
მელანქოლია	195
ყვირილის პირველი გალაღება	196
დიდი ხუთშაბათი	198
ხელჩართული შეტაკება ვარდების ველზე	200
ბოსელში ბ.-სთან	201
კურდღლების ზამთარი	203
თევზის დაქუცმაცება	205
ჩალის თაიგული	206
გარმონის ნაკეცებში	207
დადგება დრო და ის კატა შენში...	209
APRÈS APRÈSLUDE	210
ნარმოთქვამს ბავშვი	211
სხვა სახლი დამხვდა	212
ახლა	214
ლურჯი ფერი	216
FERMATE	217
ადგილობრივი	218
უცებ	219
მწყემსი ქალი	220
მე ვნახე	221
მეხსიერება	222

ანდაზა	224
მე	225
დაცული და გამომწყვდეული	226
შენამოქმედის ზეცა	227
სანაპირო	228
მნუხარება	229
გადმოთქრიალდა კოცონიდან...	230
იცინოდნენ...	231
სიდამპლე დასტურყოფილია...	232
ზოგჯერ...	233
რაც ღმერთნი იყვნენ ერთ დროს, ისინი...	234
ვიყავი სამწყსო	235
ნაყვინთავებ ქუხილთა მერე	236
ჩვენება	237
დაკითხვა	238
მთვარე	239
შესაძლოდ მყუდრო	240
ზამთრისეული	241
უბრალო შესაქმე	242
ბავშვი	243
იმ ჰარმონიაში	244
მინას არ ძალუძს მეტყველება	245
მორიელი	246
ღამურების სტვენა	247
ფრინველთღრუბელი	248
ჩალის სინათლე	249
შაშვი	250
ღამეული	252

თქვენ, ტიტებო, ნარგიზებო	254
თანამდევნი ვარსკვლავი	255
მე ვიტყვი მოსვლას	256
ოსტატნი კი ასე იტყვიან	257
ნამდვილი სუფრა	258
ქვათა სუნთქვა	259
დრონი	260
სწორედ რომ დროა...	261
შენ, ვინც არ გიცი, შენი იყოს...	262
ეტიუდები (ამონარიდი)	263
მაგრამ ეს არის	267
ამ ადგილებში	269
აზროვნება, ზურმუხტისფერი...	270
ძველი მოტივი	271
ეტიუდი	272
მეტყველება და დუმილი	273
ადამიანთა სიმღერა	274
საიმედოობა	275
აქ – როგორ ვცხოვრობ...	276
ზეცა...	277
განა შენ გადაეცლებოდი...	278
შუადღე, დიდი...	279
იალ-კიალი...	280
მოვანესრიგებ ჩემს სანოლს...	281
ჩემივ სანოლში...	282
ცისარტყელა...	283
თალში...	284
ზეცისმიერი...	285

მართლაც და მეტად...	286
არაფერია...	287
რამეთუ ყველაფერი ასე მიედინება	288
ხელმეორედ...	289
შენ, სიკვდილზე...	290
ბოლოს...	291
ზღვის კიდეზე...	292
ის, ტანი...	293
აქ...	294
მეხსიერება, დაწერილი...	295
კერძი...	296
ჩვენ სიშორეთა ნყალობით...	297
მარადისობა...	298
თხრობა...	299
მე ვერ გავიგებ...	300
ყოფიერებად წოდებულ...	301
ერთმა...	302
შენ, მიწაო, აღსავსეო თავისქალებით...	303

კაულ ცელანი

შავი ფიფქები	307
ამაოდ ხატავ სარკმელზე გულებს...	309
მარიანა	310
ქონის სანთელი	311
დრო-ჟამით ხელებმოვსებული...	312
შუალამე	313
თეთრად მოგიჩანს ბნელში ტანი, ხეო ვერხვისა...	314
ქვიშა ურნებიდან	315

ღრჭიალი რკინის ქალამნებისა...	316
ბნელი თვალი სექტემბერში	317
ქვა ზღვიდან	318
საფრანგეთის გახსენება	319
შერდილული ქალბატონის სიმღერა	320
ელვა ღამისა	322
წელიწადები შენით ჩემამდე	323
სიშორის ქება	324
მთელი ცხოვრება	325
გვიან და ღრმად	326
Corona	328
სიკვდილის ფუგა	329
ყარიბობისას	332
ეგვიპტეში	333
ნებელჰორნში	334
სილურჯეს, ჯერაც მისი თვალის მადიებელს...	335
ვინც, შენსავით და ყველა მტრედევით...	336
ცეცხლის ნაჭდევი	337
ვინც გულს მკერდიდან ღამისაკენ აასწრაფებს...	338
ბროლი	339
სუდარა	340
ღია ზღვაში	341
მარტო ვარ, მწიფე სიშავბნელით სავსე ჭიქაში...	342
ტოლჩები	343
ყოველთვის-სა და არასდროს-ს შორის...	344
ასე ვიძინებ, ხოლო თვალი მრჩება ფხიზელი...	345
ისე შეცვლილხარ, სხვა ხარ ისეთი...	346
საიმედო ციხესიმაგრე	347

წამოიშალა უთეთრესად მტრედების გუნდი...	348
ძილი და საკვები	349
თანამგზავრი	350
თვალეები...	351
მარადისობა	352
ზვირთცემა	353
გულებიდან და თავებიდან...	354
დაუცხრომელო გულო, ვისთვისაც...	355
თითქოს ვარცხნიდეს ქალის ცხედარს...	356
რაკი, სიტყვებით დაბრმავებული...	357
ლანდშაფტი	358
სიჩუმე!	359
წყალი და ცეცხლი	360
დათვალე ნუში...	362
მსმენოდა	363
ნაჯახებით მოთამაშე	364
ტახად სახული	365
ასიზელი	366
ცვალებადი გასაღებით	368
აქ	369
ნატურმორტი	370
და მშვენიერი	371
ტყიანი	372
მნუხრი სიტყვათა	373
ფერდობი	374
ვიცი	375
მინდვრები	376
ხსოვნა	377

ღამით დაბერილი	378
პოლ ელუარის სახსოვარი	380
შიბოლეთი	381
ჩვენ გხედავთ	383
კენოტაფი	384
თქვი შენც	385
ჟამნითელი ტუჩებით	387
Argumentum e Silentio	389
მევენახენი	391
TENEBRAE	393
ყვავილი	395
სითეთრე და სიმსუბუქე	396
თოვლის სანოლი	398
ღამე	399
ხელი	400
ლანდშაფტის ჩანახატი	401
ვინროდნარმართვა	402
მინა ჰგიებდა მათში, და...	410
სიტყვა შესახებ სიღრმის-კენ-სვლისა...	411
ღვინოს და გაუჩინარებას...	412
ციურიხი, კაფე “ყარყატი”	413
სამიდან მესამე, ოთხიდან მეოთხე	415
მერე რამდენი ვარსკვლავეთი...	416
შენი...	418
ორივ ხელისკენ, მეზრდებოდნენ...	419
თორმეტი წელი	421
გავედი ყველა ჩემი ფიქრით...	422
შემოდგომის უტყვი სუნები...	423

ფსალმუნი	424
ტიუბინგენი, იანვარი	425
ქიმიური	426
მანათობელი ხე	428
კაჭარი	430
ეს...	431
MANDORLA	432
არავისად მიკრული ლოყით...	433
ნათელნი...	435
ანაბაზისი	436
სატყორცნი ჯოხი, სუნთქვის გზებზე...	438
დღისით	439
უფლება გაქვს, თოვლით...	440
არდასიზმრულის მიერ ნადევნი...	441
კარის ღრეჩოში...	442
მდინარეებში ჩრდილოეთით მერმისისა...	443
შენი გვიანი სახის წინაშე...	444
დარდსწრაფნი განმჭოლ...	445
რიცხვები, წნული...	446
სავალნი შენი ხელის მტევნის...	447
იდგე, ჩრდილში...	448
სიფხიზლის მიერ დაჩხვერილი შენი სიზმარი...	449
ძაფთამზებები...	450
სიტყვის ნატანი, ვულკანური...	451
გზამოშანთული...	452
ნავსადგური	453
COAGULA	456
პასექის კვამლი, მადლამსრბოლი, შიგან ნაგზევით...	457

ქუხილი: თავად...	459
ლიხტენბერგისგან ნამემკვიდრევი...	460
Give The Word	462
ერთხელ...	463
მომოხმაურში, მსგავსად ჩვენი დასაწყისისა...	464
Lyon, Les Archers	465
შენ იყავი ჩემი სიკვდილი...	466
ირლანდიური	467
ნამი. ხოლო მე შენთან ვინექ, შენ, ნაგავში...	468
ძალაუფლების, ძლიერების სამეუფონი...	469
მიაჭენებდა ღამე, ის კი გონს მოსულიყო...	470
ჩემში თავს როგორ გადაიშენებ...	471
მე ჯერაც ძალმიძს შენი დანახვა: ექოსი...	472
მარადისობებს მის სახეში...	473
დამშვიდობებთდაფოთლილი ირლანდიელი...	474
დამდგარი წელი...	475

ჰანს მაგნუს ენცენსპერგერი

უტოპია	479
Hôtel Fraternité	481
გამარჯვება	482
უფროსკლასელთა საკითხავ ნიგნში	483
მგლების დაცვა კრავებისგან	484
ქვეყნის ენა	486
ლექსი ლექსების არმკითხველთათვის	494
ვითომგარდაცვლილნი	496
ბრმად	498
მოდვრება სიტყვათნარმოების შესახებ	500

ტუსალი	502
მძინარე ზეინკალი	503
მენიუ	505
Camera Obscura	507
ქვის მაგიდაზე	509
სხვა	511
ბიბლიოგრაფია	512
მშვიდობიანი კაცის საფლავზე	514
Middle Class Blues	515
ეჭვები	517
სიყვარულის დატირება	520
გაუჩინარებულნი	521
შუქურა	522
ისტორიული პროცესი	524
ლიქენთუნყება	525
ქარის მოხელთება	531
ჩრდილსამეუფო	532
სილუეტი	534
ყვავილების დღესასწაული	535
ცარიელი სახლი	538
შავ-თეთრი ნახატი	540
ხელახალი აღზრდის სირთულეთა გამო	541
სამშვიდობო კონგრესი	543
სიხარული	545
შინაგანი ცხოვრება	546
ერთი-მეორის მიყოლებით	548
გათანაბრება	550
სიმღერა იმაზე რაც ყველაფერს ეხება	552

რონდო	555
ორი შეცდომა	556
საყმანვილო ავადმყოფობები	557
ჩვეულების ძალა	558
Hommage à Gödel	560
სკერცო	562
კანდიდი	563
სექტემბრის საღამო პორკკალაში	565
შემეცნებითი მოგზაურობა	567
hotel fraternité	568
მითითებები უკანასკნელი ნების აღსასრულებლად	569
სიყმანვილისდროინდელი შიშის გახსენება	571
დაკითხვა შუალამით	572
გთხოვთ შემოხვიდეთ კარები იკეტება	574
დამშვიდობება ოთხშაბათთან	576
წერილი დაბადების დღისთვის	578
სულისმოთქმა და ხსოვნა	579
ინგო ლედერმანის დატირება	580
სიკვდილის გახსენება	581
სოციალური პარტნიორი სამხედრო მრეწველობაში	583
ვაშლის დატირება	584
სამოციანი წლების გახსენება	585
ჰაერზე მსუბუქი	587
საკალენდრო გამონათქვამები	589
ჰ. მ. ენცენსბერგერის შენიშვნები	590
მთარგმნელის მიძღვნები	592
ცნობები ავტორთა შესახებ	593

INHALT

GEORG TRAKL

Aus dem Sammelband GEDICHTE (1913)

Musik im Mirabell	7
Melancholie des Abends	8
Die schöne Stadt	9
In einem verlassenen Zimmer	11
Der Gewitterabend	12
Im Herbst	13
Zu Abend mein Herz	14
Die Bauern	15
Seele des Lebens	16
Verklärter Herbst	17
Winkel am Wald	18
In ein altes Stammbuch	20
Verwandlung	21
Menschheit	22
De profundis	23
Die Ratten	25
Psalm	26
Rosenkranzlieder	29
<i>An die Schwester</i>	29
<i>Nähe des Todes</i>	30
<i>Amen</i>	31
Abendlied	32
Nachtlied	33
Helian	34

Aus dem Sammelband SEBASTIAN IM TRAUM (1915)

Kindheit	40
Stundenlied	42
Unterwegs	44
Landschaft	46
An den Knaben Elis	47
Elis	48
Hohenburg	50
Sebastian im Traum	51
Am Moor	55
Im Frühling	56
Abend in Lans	57
Am Mönchsberg	58
Kaspar Hauser Lied	59
Nachts	61
Sonja	62
Ruh und Schweigen	63
Anif	64
Geburt	65
Untergang	66
An einen Frühverstorbenen	67
Geistliche Dämmerung	69
Abendländisches Lied	70
Verklärung	72
Föhn	73
Der Wanderer	74
Karl Kraus	75
An die Verstummen	76
Passion	77
Siebengesang des Todes	79

Winternacht	81
In Venedig	82
Vorhölle	83
Die Sonne	85
Gesang einer gefangenen Amsel	86
Sommer	87
Sommersneige	88
Jahr	89
Abendland	90
Frühling der Seele	93
Im Dunkel	95
Gesang des Abgeschiedenen	96
<i>Veröffentlichungen in der Zeitschrift DER BRENER (1914/15)</i>	
In Hellbrunn	98
Das Herz	99
Der Schlaf	101
Das Gewitter	102
Der Abend	104
Die Nacht	105
Die Schwermut	106
Die Heimkehr	107
Im Osten	108
Klage	109
Grodek	110
<i>Sonstige Veröffentlichungen zu Lerzeiten</i>	
Das Morgenlied	111
Traumwandler	113
Nachtseele	114
<i>Der Nachlass 1909-1912</i>	
Melusine	115

Klagelied	116
Immer dunkler	117

Der Nachlass 1912-1914

Delirium	118
Am Rand eines alten Brunnens	119
Die Stille der Verstorbenen liebt den alten Garten...	120
Die blaue Nacht ist sanft aus unsren Stirnen...	121
O das Wohnen in der Stille des dämmernden Gartens...	122
Am Abend	123
Schwesters Garten	124
Wind, weiße Stimme, die an des Trunknen...	125
So leise läuten...	126
Der Tau des Frühlings der von dunklen Zweigen...	127
O die entlaubten Buchen und der schwärzliche Schnee...	128
Stunde des Grams	129
Nächtliche Klage	130
Bitte	131
Am Abend	132
Rote Gesichter verschlang die Nacht...	133
Psalm	134
Lebensalter	136
Die Sonnenblumen	137

HANS ARP

strassburgkonfiguration	141
weh unser guter kaspar ist tot...	144
schwarze winde hängen wie ketten von den sternern...	148
verschlungene knaben blasen das wunderhorn...	148
lachende tiere schäumen aus eisernen kannen...	149
in den laubwäldern zirpen die laubsägen...	150

Sekundenzeiger	151
die notendurft	152
unwesen und treiben verwirrter engel	153
Rosen schreiten auf Straßen aus Porzellan	155
Der Mensch ist ein Flötenbläser	156
Dunkler wird das Dunkle	158
Die Ebene	159
Puppen	163
Menschen	167
Mäuse und Katzen	173
Wo	175
Der Seemann	176
Leider nein	177
Who is who	178
Um den Menschen handelt es sich	180
Gebet	182
das große endlose fest...	183
Ewige Traublumen	184

ERNST MEISTER

Monolog der Menschen	189
L'HOMME MACHINE BLEUE II	190
Der Gerückte	191
Das Dunkel	192
Die Kühle	193
Alles beruht auf sich...	194
Melancholie	195
Ausflug des Schreis	196
Gründonnerstag	198
Nachkampf auf einem Rosenfeld	200

Im Stalle zu B.	201
Hasenwinter	203
Streuung eines Fisches	205
Aus Stroh ein Strauss	206
In den Falten der Harmonika	207
Einmal wird die Katze...	209
APRÈS APERÈSLUDE	210
Ein Kind sagt	211
Es war da ein anderes Haus	212
Jetzt	214
Das Blau	216
FERMATE	217
Eingeboren	218
Plötzlich	219
Hirtin	220
Ich sah	221
Gedächtnis	222
Sprichwort	224
Das Ich	225
Geborgen und gefangen	226
Himmel der Kreatur	227
Küste	228
Schwermut	229
Weisses Markt...	230
Sie lachten...	231
Verbriefft ist Moder...	232
Manchmal...	233
Was Götter waren einst...	234
Ich war eine Herde	235
Nach tunkenden Donnern	236

Zeigen	237
Verhör	238
Mond	239
Womöglich wohnlich	240
Winterlich	241
Einfache Schöpfung	242
Ein Kind	243
Auf jenen Harmonien	244
Der Grund kann nicht reden	245
Skorpion	246
Das Pfeifen der Fledermäuse	247
Vogelwolke	248
Strohernes Licht	249
Drossel	250
Nächtlich	252
Euch, Tulpen, Narzissen	254
Stern der Reise	255
Ich sage Ankunft	256
Die Meister aber sagen	257
Wirkliche Tafel	258
Atem der Steine	259
Zeiten	260
Es ist die Stunde...	261
Den ich nicht weiss, nimm du...	262
Etüden (Auszug)	263
Es ist aber	267
Hierorts	269
Denken, grün...	270
Altes Motiv	271
Etüde	272

Reden und Schweigen	273
Menschenlied	274
Sicherheit	275
Hier – wie...	276
Himmel...	277
Sprängest du denn...	278
Mittag, großes...	279
Das Geflimmer, das...	280
Ich mache mein Bett...	281
In meinem Bett...	282
Regenbogen ...	283
In dem Gewölbe, dem...	284
Das Himmlische...	285
Wohl ein...	286
Nichts...	287
Denn alles geht so	288
Sich nicht...	289
Du mein...	290
Am Ende sagt...	291
Am Rande des Meers...	292
Er ist, der Leib...	293
Hier...	294
Wiederholend...	295
Eine Mahlzeit...	296
Wir leben...	297
Ewigkeit...	298
Die Erzählung...	299
Was Erde sei...	300
Es schlug einer...	301
Die Gestalt, die...	302

Du Erde voller Schädel... 303

PAUL CELAN

Schwarze Flocken	307
Umsonst malst du Herzen ans Fenster...	309
Marianne	310
Talglicht	311
Die Hand voller Stunden, so kamst du zu mir – ich sprach...	312
Halbnacht	313
Espenbaum, dein Laub blickt weiß ins Dunkel...	314
Der Sand aus den Urnen	315
Ein Knirschen von eisernen Schuhn ist im Kirschbaum...	316
Dunkles Aug im September	317
Der Stein aus dem Meer	318
Erinnerung an Frankreich	319
Chanson einer Dame im Schatten	320
Nachtstrahl	322
Die Jahre von dir zu mir	323
Lob der Ferne	324
Das ganze Leben	325
Spät und tief	326
Corona	328
Todesfuge	329
Auf Reisen	332
In Ägypten	333
Ins Nebelhorn	334
Vom Blau, das noch sein Auge sucht, trink ich als erster...	335
Wer wie du und alle Tauben Tag und Abend...	336
Brandmal	337
Wer sein Herz aus der Brust reißt zur Nacht	338

Kristall	339
Totenhemd	340
Auf hoher See	341
Ich bin allein, ich stell die Aschenblume	342
Die Krüge	343
Nachts, wenn das Pendel der Liebe schwingt ...	344
So schlafe, und mein Aug wird offen bleiben...	345
So bist du denn geworden	346
Die feste Burg	347
Der Tauben weißeste flog auf: ich darf dich lieben!..	348
Schlaf und Speise	349
Der Reisekamerad	350
Augen...	351
Die Ewigkeit	352
Brandung	353
Aus Herzen und Hirnen...	354
Unstetes Herz, dem die Heide die Stadt baut...	355
Sie kämmt ihr Haar wie mans den Toten kämmt...	356
Da du geblendet von Worten...	357
Landschaft	358
Stille!	359
Wasser und Feuer	360
Zähle die Mandeln...	362
Ich hörte Sagen	363
Mit Äxten spielend	364
In Gestalt eines Ebers	365
Assisi	366
Mit wechselndem Schlüssel	368
Hier	369
Stilleben	370

Und das Schöne	371
Waldig	372
Abend der Worte	373
Die Halde	374
Ich weiss	375
Die Felder	376
Andenken	377
Nächtlich geschürzt	378
In Memoriam Paul Eluard	380
Schibboleth	381
Wir sehen dich	383
Kenotaph	384
Sprich auch du	385
Mit zeitroten Lippen	387
Argumentum e Silentio	389
Die Winzer	391
TENEBRAE	393
Blume	395
Weiss und leicht	396
Schneebett	398
Nacht	399
Eine Hand	400
Entwurf einer Landschaft	401
Engführung	402
Es war Erde in ihnen...	410
Das Wort vom Zur-Tiefe-Gehen...	411
Bei Wein und Verlorenheit, bei...	412
Zürich, ZUM STORCHEN	413
Selbdritt, selbviert	415
Soviel Gestirne, die...	416

Dein...	418
Zu beiden Händen, da...	419
Zwölf Jahre	421
Mit allen Gedanken ging ich...	422
Stumme Herbstgerüche...	423
Psalm	424
Tübingen, Jänner	425
Chymisch	426
Flimmerbaum	428
Erratisch	430
Es ist nicht mehr...	431
MANDORLA	432
An Niemand geschmiegt mit der Wange...	433
Die hellen...	435
Anabasis	436
Ein Wurfholz, auf Atemwegen...	438
Bei Tag	439
Du Darfst mich getrost...	440
Von ungeträumten geätzt...	441
In die Rillen...	442
In den Flüssen nördlich der Zukunft...	443
Vor dein spätes Gesicht...	444
Die schwermutsschnellen hindurch...	445
Die Zahlen, im Bund...	446
Wege im Schatten-Gebräch...	447
Stehen, im Schatten...	448
Dein vom Wachen stößiger Traum...	449
Fadensonnen	450
Wortaufschüttung, vulkanisch...	451
Weggebeizt vom...	452

Hafen	453
COAGULA	456
Osterqualm, flutend, mit...	457
Ein Dröhnen: es ist...	459
Lichtenbergs Zwölf mit dem Tischtuch...	460
Give The Word	462
Einmal...	463
In den Geräuschen, wie unser Anfang...	464
Lyon, Les Archers	465
Du warst mein Tod...	466
Irish	467
Tau. Und ich lag mit dir, du, im Gemülle...	468
Mächte, Gewalten...	469
Ihn ritt die Nacht, er war zu sich gekommen...	470
Wie du dich ausstirbst in mir...	471
Ich kann dich noch sehn: ein Echo...	472
Die Ewigkeiten fuhren...	473
Die Irin, die abschiedsgefleckte...	474
Das angebrochene Jahr...	475

HANS MAGNUS ENZENSBERGER

Utopia	479
Hôtel Fraternité	481
Sieg der Weichseln	482
Ins Lesebuch für die Oberstufe	483
Verteidigung der Wölfe gegen die Lämmer	484
Landessprache	486
Gedichte für die Gedichte nicht lesen	494
Die Scheintoten	496
Blindlings	498

Wortbildungslehre	500
Der Gefangene	502
Der schlafende Schlosser	503
Küchenzettel	505
Camera Obscura	507
Auf einen steinernen Tisch	509
Der Andere	511
Bibliographie	512
Auf das Grab eines friedlichen Mannes	514
Middle Class Blues	515
Zweifel	517
Nänie auf die Liebe	520
Die Verschwundenen	521
Leuchtfeuer	522
Historischer Prozeß	524
Flechtenkunde	525
Windgriff	531
Schattenreich	532
Schattenbild	534
Das Blumenfest	535
Das leere Haus	538
Schwarz-Weiß-Zeichnung	540
Über die Schwierigkeiten der Umerziehung	541
Friedenskongreß	543
Die Freude	545
Innenleben	546
Eins nach dem andern	548
Ausgleich	550
Lied von denen auf die alles zutrifft und die alles schon wissen	552
Rondeau	555

Zwei Fehler	556
Kinderkrankheiten	557
Die Macht der Gewohnheit	558
Hommage à Gödel	560
Scherzo	562
Candide	563
Septemberabend vor Porkkala	565
Bildungsreise	567
Hotel Fraternité	568
Letztwillige Verfügung	569
Erinnerung an die schrecken der Jugend	571
Befragung zur Mitternacht	572
Bitte einsteigen Türen schließen	574
Abschied von einem Mittwoch	576
Geburtstagsbrief	578
Rast und Gedenken	579
Klage um Ingo Ledermann	580
Erinnerung an den Tod	581
Sozialpartner in der Rüstungsindustrie	583
Nänie auf den Apfel	584
Erinnerung an die sechziger Jahre	585
Leichter als Luft	587
Kalendersprüche	589
Bemerkungen von HME	590
WIDMUNGEN DES ÜBERSETZERS	592
ÜBER DIE AUTOREN	593

Dato Barbakadse
Ergebnisse
Band VI

Tbilissi
2014

წიგნში წარმოდგენილი ყველა ტექსტის კორექტორია და-
თო ბარბაქაძე. მანვე დააკაბადონა და მოამზადა წიგნი გა-
მოსაცემად. ავტორს ეკუთვნის, აგრეთვე, საგამომცემლო
კონცეპცია და დიზაინი.

წიგნის ერთი ეგზემპლარის ბეჭდვის და ყდაში ჩასმის ღი-
რებულებამ შეადგინა 39,50 ლარი.